ლიტერატურული გაზეთი

№69 2 - 15 მარტი 2012 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი



მამუკა წიკლაური
გაუფილტრავი ფიქრები
II

მიხო მოსულიშვილი
სერიიდან „სიტყვათნახატები“
III

დოდო ჭუმბურიძე
ციკლიდან: წვიმა მოთიბულ მდელოზე
IV-V

გურამ დოჩანაშვილი
კაცი, სახელად ნოე
VI-VII

გია ხომერიკი
სიცოცხლე
IX

ჯარჯი ფხოველი
ხელის-გულის ანაბეჭდები
X-XI

ინტერვიუ მაკა ლდოკონენთან
XII

ინტერვიუ გიორგი ალიბეგაშვილთან
XIII

თამარ იაშვილი
თამაში წესების გარეშე
XIV

ერთი ფაფუკი შენიშვნა

იოსებ გრიშაშვილი საიათნოვაზე დაწერილ ცნობილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში, საიათნოვას მკვლევარებს აშკარა შეცდომებზე მიუთითებს და ერთგან ღირსეული თავმდაბლობით წერს: „ეხლა კი დავკმაყოფილდეთ ამ ფაფუკი შენიშვნითო...“

მართლაც რომ შესაშური მოკრძალებაა ოპონენტი მკვლევარების მიმართ – არ გეწყინოთ, ძალიან მსუბუქ და ფაფუკ შენიშვნად მიიღეთ ჩემი აზრიო...

ამ თვალსაზრისით რომ გადავხედოთ დღევანდელი ჩვენი „პოლიტიკოსებისა“ და „კულტუროლოგების“ კამათს – პირდაპირ ელდა გვეცემა. ჩვენთან გამომავალი გაზეთების სვეტები და კომპიუტერული საიტები არც სხვის ღირსებას უფრთხილდებიან და არც საკუთარს. ეგ კი არა, თავსაც იწონებენ ლანძღვა-გინებაში მიღწეული ლექსიკური ნოვაციებით...

ოთხნი

ვინა სთქვა? – ენამც გაუხმეს, –
წოწრეს პაპაი ბერია;
ბერია, არც რა ბერია,
სიბერე ვერ მორევია,
ცხენზე შეჯდება – ქორია,
დაიქვეითებს – მგელია.

როგორც ვხედავთ მაგარი „ბიჭი“ ყოფილა წოწრეს პაპა, მაგრამ ეს დიდებული ლექსი მარტო მის სადიდებლად არაა გამოთქმული. იქვეა ქორი – თავისი ქროლვით რომ ალამაზებს მთებს და ხეობებს და იქვეა მგელიც – გულმაგრობითა და მუხლმაგრობით რომ გაუთქვამს სახელი.

სამნი – ქორი, მგელი და წოწრეს პაპა ალამაზებენ და ამშვენებენ ერთმანეთს, თუმცა... აქ მეოთხეცაა – პოეტი, ვინც ეს ლექსი შექმნა და სამღერლად, გულის მოსაფხანად დაუტოვა სამამაცო გზებით მავალ თაობებს...

ადამიანის დეგრადირების წინააღმდეგ

ალბერ კამიუ, ერთ-ერთ ინტერვიუში, ჟურნალისტს ეუბნება: „...მე კი ადამიანისა და ისტორიის ერთობას ვამტკიცებ — ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი სინათლე და სიმჭვირვალე შევძინო ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და წინ აღვუდგე საკუთარი თავისა და სხვების დეგრადირებას“.

რა ბევრისმთქმელი სიტყვებია! — ლიტერატურის მთავარი ამოცანა, ალბათ, ისაა, რომ წინ აღუდგეს ისტორიის მთლიანობის დახლეჩვას და არ დაუშვას ადამიანის გამოცალკევება წარსულიდან და მომავლიდან... არ დაუშვას აი, ამგვარი აზრების გაბატონება ადამიანის გონებაზე: „ძველი ადამიანი მოკვდა, ახალი ჯერ არ დაბადებულა“ (ფრ. ნიცშე).

...თუმცა, ეს „არ დაუშვას“, ალბათ, იმას უფრო ნიშნავს, რომ ლიტერატურას ის ტვირთი აჰკიდო, რისი ზიდვაც მას არ შეუძლია... ჩვენს თვალწინ ხომ „ერების ინტეგრირების“ ვერაგული ოპერაცია ტარდება, რომლის საბოლოო „რეზულტატი“ ერების მაქსიმალური შემცირება იქნება...

ლიტერატურამ კი უნდა იბრძოლოს. ამ შემთხვევაში, მე ქართული ლიტერატურის აუცილებელ ბრძოლაზე ვლაპარაკობ და ამ ბრძოლის სანიშნო სვეტად კვლავ ილია ჭავჭავაძე დგას. მას კი, აი, ასე წარმოედგინა ისტორიის სისხლხორცეული ერთიანობა: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“.

მუხა და ლექსი

ქართული მუხა უფრო მაღალი მთის ფრიალოებს და კლდოვან, საქარე ქედებს ეტანება. იგი, ძირითადად, ზღვის დონიდან 1700-2400 მეტრ სიმაღლეზე ხარობს. მეტყევეები მიუთითებენ, რომ რაც უფრო მაღალ ზონებშია მუხა გაზრდილი, მით უფრო მაგარი და გამძლეა მისი მერქანი. ალბათ, ქარებთან და ქარიშხლებთან გამუდმებულ ბრძოლებში უფრო კაჟდება და მაგრდება ის. ვფიქრობ, აქედან მოდის ქართული მუხის გამძლეობაც – იგი 800 წლამდე ცოცხლობს.

ბევრი რამით ჰგავს ქართულ მუხას



მამუკა წიკლაური

გაუფილტრავი ფიქრები

ქართული ლექსი. უკვდავი ქართული ლექსებიც კლდოვანი ნიადაგებიდან და მკაცრი ამინდებიდანაა ამოზრდილი, მათი სიმტკიცე და გამძლეობაც სალ კლდეებს ჩაბღაუჭებული ფესვებიდან და ქარებთან მებრძოლი ტოტებიდან მოდის. ჩვენი პოეზიის მთავარი ხაზიც დანისლულ ეპოქებზე და ერის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებზე გადის. ეს უმძიმესი გზა გაიარა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ტრადიციამ და ამ ტრადიციაზეა აღმოცენებული მთელი ჩვენი პოეზია: ქართა ქროლვაში, ზვავთა სხლტომაში იბადებოდა და იბადება ქართული ლექსი...

ცდას რა უდგია წინ?!

— მოდით, ბოლოს და ბოლოს, ვწეროთ ისე, როგორც ვფიქრობთ და ვიაზროვნოთ უფრო ნათლად, ვიდრე, ჩვეულებრივ, ვაკეთებთ ამას! რა თქმა უნდა, ამას ადვილად ვერ მიეჩვევი, მაგრამ ცდას რა უდგია წინ?! — ამას არცთუ ირონიის გარეშე ამბობს ბალტიისპირელი მწერალი ფრიდბერტ ტუგლასი.

დიახ, ირონიას ურევს ამ ნათქვამში მწერალი, რადგანაც სწორედ გულწრფელობა და ნათლად წერაა მწერლობის უმთავრესი პრობლემა; სწორედ გულწრფელობა და ნათლად წერა საზღვრავს ერთმანეთისგან მწერლობასა და ანტიმწერლობას; სწორედ გულწრფელობა და ნათლად წერა განაპირობებს მწერლის ინდივიდუალობას.

ვცადოთ, ცდას, მართლაც, რა უდგია წინ?!

რევოლუცია იცინის

საფრანგეთი რომ რევოლუციის ცეცხლში გაეხვია, 1792 წლის 21 სექტემბერს გაიხსნა კონვენტი, რომელიც შემდგომ, რობესპიერის ხელში, ტერორის იარაღად იქცა. კონვენტის სხდომის დასაწყისში, ერთმა დეპუტატმა, ერთი შეხედვით, სასაცილო წინადადება შეიტანა: მიესაჯოს სიკვდილით დასჯა ყველას, ვინც სიკვდილით დასჯის წინადადებას აყენებსო...

1992 წელს, ჯაბა იოსელიანმა „სახელმწიფო საბჭოს“ სხდომაზე იხუმრა: ჩვენ უფრო მკაცრნი უნდა ვიყოთ! რევოლუცია ვინმეს ლობიოს ჭამა ხომ არ ჰგონიაო?!

ხუმრობდნენ და იცინოდნენ...

სისხლი კი ბევრი დაიქცა – საფრანგეთშიც და საქართველოშიც...

აგვისტო, 2008

ტრივიალური თქმისა არ იყოს, იმედი მართლაც, სულ ბოლოს კვდება. იმედი დღესაც არსებობს ჩვენი და ქვეყნის გადარჩენისა. ჩვენს თვალებში მაინც ირეკლება იმედი, როგორც უდაბნოში დაკარგული ადამიანის თვალებში – თვითმფრინავი...

იმედი მაინც არსებობს – უფალი გვიხსნის სკვითების მეფის მუქარისაგან.

„დუმილი ჩემთვის წყევლა იყო“

საბჭოთა მწერლის უსასოო მდგომარეობაზე ზუსტად მიუთითა ილია ერენბურგმა: „დუმილი ჩემთვის კულტი არ ყოფილა... დუმილი ჩემთვის წყევლა იყო. დიახ, მე ბევრი ბოროტმოქმედების შესახებ ვიცოდი, მაგრამ არ შემეძლო წინ აღვდგომოდი მათ...“

ქარები, ქარები...

ვაპირებდი, პოემა დამეწერა ქარებზე, მაგრამ... აი, ახლა უბის წიგნაკში ამ პოემის შავ მონახაზს, ჩანასახს, გეგმას წავაწყდი. თავები ჩამიწერია: „გაზაფხულის ქარები“, „ზამთრის ქარები“, „სიყვარულის ქარები“, „მგლოვიარე ქარები“, „სასაფლაოს ქარები“, „ისტორიის ქარები“, „მესაფლავე ქარები“...

...ეჰ, ამ პოემის დამწერი მე აღარა ვარ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოსდა ბავშვი ჩამაკვდა ხელში.

ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მეგზური

ტომას ელიოტი „ათი ესეი“, 2007 წ.

ერთ საჟურნალო დიალოგში ვახტანგ ჭელიძე ამბობდა – მთარგმნელმა მინიმუმ ორი ენა მაინც უნდა იცოდეს კარგად: ენა, რომლიდანაც თარგმნის და – ენა, რომელზეც თარგმნის, მაგრამო, – აგრძელებს ვახტანგ ჭელიძე – ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ეს ორი ენა თანაბრად უნდა იცოდეს მთარგმნელმა! არა, აქ უპირატესობა ენიჭება იმ ენას, რომელზეც ვთარგმნით, რადგანაც სწორედ ამ ენაზე იწყება ნაწარმოების ახალი სიცოცხლეო...

იმავე დიალოგში, რომელიც ბატონ ვახტანგსა და ჩემს შორის, ჟურნალ „საუნჯის“ რედაქციის შეკვეთით შედგა, საყოველთაოდ აღიარებული მთარგმნელი ფართოდ შეეხო პრობლემას: როგორ უნდა შევარჩიოთ სათარგმნელი მწერალი და მისი ნაწარმოები. ამ კონტექსტში მან გაიხსენა ილია ჭავჭავაძის ნათქვამი ცნობილი პოლემიკიდან, რომ კაზლოვის „შეშლილი“ დედანშიც არ უქნია ღმერთს და მისი ქართულად თარგმნა ვის რაში სჭირდებაო?!

ლიტერატურის ამ გამოჩენილი ოსტატის ნათქვამი როსტომ და პაატა ჩხეიძეების პრინციპულმა პოზიციამ და თავდადებულმა ნაშრომმა გამახსენა – ჩვენს წინაშეა ესეისტური ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშები. ეს ნიმუშები მონათლულია ქართული ენის მადლით და მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისა, რადგანაც ეს ჟანრი, ესეისტიკა, სწორედ ახლა იდგამს ფეხს ჩვენში...

...ზემოთ მივანიშნე და აღარ გავაგრძელე აზრი იმის შესახებ, რომ მკითხველი არა მარტო თარგმანის მაღალი დონის გამო ეტანება ჩხეიძეების ნაშრომს. ჩემი აზრით, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ მთარგმნელები არჩევენ და თარგმნიან იმას, რაც ჩვენი ლიტერატურის განვითარებას წაადგება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი თუ ძველი თაობის მწერლების დაოსტატებისთვის და მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციების წარმოჩენისათვის.

ჩვენს წინაშეა დიდი პოეტისა და ლიტერატორის ტომას ელიოტის ათი ესსე. მე, პირადად, ჩემს პირად საჩუქრად ვთვლი ამ წიგნს და მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს – როსტომსა და პაატას, რომ ჩემამდე მოიტანეს ეს ლიტერატურული ნაღვაწი, რომელიც სამართლიანად ითვლება საუკუნის განძად; მადლობას ვუხდი მწერლებს, რომლებმაც, ჩვენს დროში, დიდი ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მეგზურობა იდეს თავს.

დიმიტრი ყიფიანი

მე-19 საუკუნის ცნობილ „საბანკო პოლემიკაში“ დიმიტრი ყიფიანიც ჩარეულა თავისი დიდი ავტორიტეტითა და სპეტაკი სინდისით: „საქვეყნო საქმისთვის რომ გული არ მეწვოდეს, გაგიჩუმდებოდით, მაგრამ ახლა კი ველარ გაგიჩუმდებით და იქნება თქვენი ჭექა-ქუხილიც ავიტანო როგორმე“.

ასეთი იყო იგი – დიმიტრი ყიფიანი, იქ ვერ გაჩუმდებოდა, სადაც სიტყვა უნდა თქმულიყო და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ თვისებას შეეწირა კიდეც.

„დემოკრატია“

ოთარ მამფორიას უთქვამს (ან მიაწერენ): ჩვენი დემოკრატია განსაკუთრებული რამაა – ლაპარაკის უფლებას გვაძლევენ, ხელფასსა და პენსიას კი – არა...

ეს „შედევრი“ შევარდნაძის „მეორე ზეობისას“ შეიქმნა.

გერმანელის საფლავი

გუდამაყრის ხეობის დასაწყისი სოფლის, ბახნის მიდამოში არის ერთი უცნაური ტოპონიმი, „გერმანელის საფლავი“. ეს სახელწოდება ტყეში სოლივით შეჭრილ ერთ ველს ჰქვია და ამ ველზე მართლაც დევს ერთი გრძელი და ბრტყელი საფლავის ლოდი, რომელსაც გერმანული წარწერა აქვს...

ამ ქვასთან დაკავშირებულ ამბავს მოსე – ჩემი დედისძმა მომიყვა:

დასასრული მე-8 გვერდზე

მწვერვალი, საიდანაც უკან ვეღარ ბრუნდებიან

თითქოს ნაცნობი მწერლის გულახდილი, მაშინვე ჩაწერილი ლაპარაკი:

„თუ სწორად იარა, ეგ კარგი მწერალი იქნება...

ვითომ, რაღა უნდა შეეშალოს ამის მერე და...

სიყალბეებმა შეიძლება მოიმატონ და სინაღდეებმა დაიკლონ. ამ დროს რაღაც სიმაღლეზე ადიხარ და თუ იქ სუნთქვა აღარ გეყო, ვეღარ გაქაჩავ, უკან უნდა დაბრუნდე...

ეგ ადგილები უკვე გავლილი მაქვს და იქიდან ვიცი...

მაგ დროს მე გალოთების საშიშროება მქონდა და ძველმა მეგობრებმა გადამარჩინეს მაშინ, თორემ უკვე ციროზით და „ცე“ ჰეპატიტით ვიქნებოდი მკვდარი. თუმცა ეს ძველი ამბავია, უკვე ჩავლილი...

ლოთობას არც ეხლა ვუკლებ?..

მე სადაც ვარ, აქ სუნთქვა ჭირს და წინ ძალიან ფრთხილად უნდა იარო, სიმთვრალე ვეღარ გიშველის...

ახლა უკვე ის სიმაღლეა, რომ ან დაიწერება დიდი წიგნი, ან ვერა და მოიტეხს კაცი კისერს...

უკან არ უნდა იყურო, რომ — აბა, რა გავაკეთეო... წინ უნდა გაიხედო, მწვერვალისკენ. სულ წინ უნდა იარო და თუ შეძელი და ახვედი იმ შენ მწვერვალზე, უკვე მორჩა, – შენი მიზანიც ეგ იყო და უკან დაბრუნებაზე აღარც უნდა იფიქრო, ვეღარ შეძლებ...

ეგეთი მწვერვალებიდან უკან ვეღარ ბრუნდებიან.

როგორ წიგნივით გელაპარაკები?...

მგონია, რომ მარტო მე მაქვს „ყნოსვა“, მაგრამ არაა ეგრე?

მთაში რომ ვიარებოდი, სუ აქერცლილი მქონდა ცხვირი მზისგან – მთის მზე სულ სხვანაირად მწველია ხოლმე... ალბათ, ყნოსვაც იქ მივაკარგე, ამპარტავნობასთან ერთად... მე მარტო ალპინისტების სიარული ვიცი – როგორ უნდა იარო მთაში...

არა, არა, მე ვერ ვივლი გრაფ ტოლსტოისავით სტეპებში – გადაშლილ და უკიდეგანო ალაგებზე. მე ვერტიკალში ვმოძრაობ, ან მაღლა-მაღლა უნდა ავიდე, ანდა ქვემოთ ჩავვარდე და, თუ კისერი არ მოვიტეხე, ისევ ზემოთკენ გავაგრძელო სიარული...

იაპონელი მფრინავი „კამიკაძეები“ იყვნენ ეგრე მეორე მსოფლიო ომისას, მარტო დანიშნულების პუნქტამდე უსხამდნენ ბენზინს, რომ მტრის გემებზე თავიანთი თვითმფრინავებიანად აფეთქებულიყვნენ...“

არსაიდან არსაითკენ
(სოკრატეს აპოლოგია)

ჰეი, ბობორიკო!

მორჩი, რა!

მორჩი მაგას და, მომისმინე, რას ვკითხულობ:

„სოკრატეს დასჯა – სამას ოთხმოცდაცხრამეტ წელს ქრისტეს შობამდე...“

აი, აქ რას წერენ:

„განსჯათა პირდაპირობამ და თანამედროვეთა კრიტიკამ სოკრატეს ბევრი მტერი შესძინა, რომელთაც ბრალი დასდეს ახალგაზრდობის გარყვნაში და სახელმწიფო რელიგიის უარყოფაში“.

ბრალდების ტექსტს ქსენოფონტე აცხადებს თავის ნაწარმოებში „მოგონებები სოკრატეზე“:

„სოკრატე დამნაშავეა იმაში, რომ კი არ აღიარებს სახელმწიფოს მიერ ცნობილ ღმერთებს, არამედ ამკვიდრებს სხვა, ახალ ღმერთებს; აგრეთვე დამნაშავეა იმაში, რომ რყვნის ახალგაზრდებს“.

სასიკვდილო განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა, როცა სოკრატემ უარი თქვა მეგობრების მიერ შეთავაზებულ გაქცევაზე.

გაიგე?

შეეძლო საპატიმროდან და მშობლიური ქალაქიდანაც გაქცევა, მაგრამ დარჩა, – იმიტომ დარჩა, რომ ნაღდ სიკვდილზე წასულიყო!

ბევრი გეგულება ეგეთი?

სასამართლოს განაჩენით, სოკრატემ მშვიდად დალია ციკუტის შხამით სავსე თასი და რამდენიმე წუთში აღესრულა, ბოლომდე სრულ გონებაზე მყოფი.

მიხო მოსულიშვილი

სერიიდან „სიტყვათნახატები“

ეგ შენი ყმუილი იმას ვეღარაფერს უშველის და, ტყუილად არ გინდა!

ამ ქმედებით სოკრატემ დაამტკიცა, რომ არა მარტო დიდი მოაზროვნე იყო, არამედ თავისი პოლისის მოქალაქეც. აქ, შეიძლება, „მოქალაქე“ მთლად ზუსტი არ იყოს, და „ცივილური ადამიანი“ სჯობდეს.

რა ვერ გაიგე?

მე გელაპარაკები ნიჭიერი სოკრატეს მოვალეობაზე, როგორც ათენის მოქალაქისა!

ვერა მეთქი, ვერ გაიქცეოდა!

ვერაფრით გაიქცეოდა საპატიმროდან!

როგორ თუ რატომ?

პასუხისმგებლობა ჰქონდა თავისი ქალაქის, საზოგადოების თუ ერის წინაშე, - აი, ამიტომ!

მიხვდი?

და მთავარი, რაც მინდა გითხრა, ეს არის:

თავისი ნიჭით სოკრატე კულტურული იყო, ხოლო ამ საქციელით ისიც დაამტკიცა, რომ ცივილურიც ყოფილა!

სოკრატეს მერე ჩვენ ყველას დაგვავიწყდა ვყოფილიყავით ცივილურები.

მაგრამ ასეთებად ყოფნა არ დავიწყებიათ ევროპელებს! აი, რატომ გაგვასწრეს რამდენიმე საუკუნით.

ჩვენ ჯერ კიდევ კულტურაში ვცხოვრობთ, ისინი კი – კარგა ხანია ცივილიზაციაში.

კულტურული ადამიანი ანდა კულტურული ერი სულაც არ ნიშნავს არც ერთის და არც მეორის ცივილურობას. კულტურა – შექმნაა, ხოლო ცივილურობა – ერის და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა.

და შენ, ბობორიკო, როცა სულში მარტო კულტურა კი არა, ცივილურობაც გაქვს, და შენ გესმის, რომ ცივილური ქვეყნები უფრო ჰუმანურები არიან, ემიგრანტად გრძნობ თავს საკუთარ ქალაქში და ქვეყანაშიც...

და თუ შენ, მეგობარო, კიდევ ვერაფერი გაიგე, რასაც ახლა გელაპარაკები, მაშინ ბოდიშს ვიხდი და მე წავედი...

სად მივდივარ?

ჯანდაბაში!..

რატომ მოვიცადო?..

ძალიან ემოციურად...

მე?

მე ვლაპარაკობ ემოციურად?

და თანაც დალტონიკივით მარტო შავთეთრს ვხედავ?

არსადაც არ გავრბივარ, არც მე მიყვარს გაქცევა.

შემიძლია ქვემოთ დავეშვა, უფსკრულში; შემიძლია, ზემოთაც ავძვრე, მწვერვალისკენ.

აი, ჰორიზონტში მოძრაობა კი ნაკლებად მაინტერესებს, რომ იცოდე.

კარგი რა...

როგორ არ გესმის, როგორ ვერ ხვდები – მე რომ აქ სოკრატეს დასჯას ვიხსენებ, როცა ცივილურობაზე და კულტურულობაზე ვფიქრობ, ეს მარტო ემოციური გამოხდომა კი არ არის, ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ...

„ადამიანებში ყოველთვის გამცრუებია იმედი, ბუნებაში კი — არასდროს“ — აი, როგორ ამბობდა ვიღაც ძველებიდან... შეიძლება არც ამბობდა და მე მოვიგონე არსაიდან... მაგრამ ალბათ უფრო თქვა ვიღაცამ, მაგრამ ვერ ვიხსენებ – ვინ...

კარგი რა, კარგი, გეყოფა. ყეფას კიდევ მოასწრებ, უკვე გავდივართ.

სად მივდივართ?

სადა და — მთაწმინდაზე ავდივართ, წყაროებამდე...

ცივილიზაცია არ იცი?

მერედა, გგონია ვინმემ იცის?

ერთი ფრანგი სოციოლოგი იყო, რაიმონ არონი და იმან დაწერა, - პრობლემის არსი ისაა, რომ შეუძლებელია ვუპასუხოთ კითხვას - არსებობს თუ არა ცივილიზაცია როგორც ისტორიული რეალობა, თუ იგი ისტორიულ ქიმერად უნდა მივიჩნიოთო.

აბა, რას ვბოდიალობდი აქამდე?

აი, გეტყვი...

ყველაზე ადვილს გეტყვი და, თავად მიხვდები, რომ სულ ტყუილად იყეფები.

ცივილიზაცია მოქალაქეობრიობაა, ადამიანის და მოქალაქის უფლებების და მოვალეობების გაცნობიერებაა, ანდა ველური, უხეში ყოფის მოქალაქეობრივად გადაქცევა.

ჰოდა, აი, მე გეკითხები — ხედავ ამას აქ, ამ სინამდვილეში?

ხედავ?

თუ ვერა და, მაშინ გაჩუმდი — შენც ჩემსავით ემიგრანტი ხარ...

არ უნდა ამას ყმუილი — მორჩი, თუ ღმერთი გწამს და, წამო, წყაროებამდე უნდა ავიდეთ...

და იქ რომ ტატო ბარათაშვილის ლანდმა იცის მოსვლა, იმას მოვუსმინოთ...

არეულ–დარეული და უთავბოლო მადლობა ყველას...
(2011 წლის 8 ოქტომბრის ჩანაწერი)

„ხალასი, ფერადოვანი, ფშაური კილო–კავნარევი ენით მოთხრობილი ცხოვრება ვაჟა–ფშაველასი; დიდი მწერლის სამყაროში შეღწევის კიდევ ერთი წარმატებული მცდელობა“.

გამომცემლობა „პეგასის“ კატალოგიდან, სერია „ილუსტრირებული ბიოგრაფიები“, მერვე ტომი, მიხო მოსულიშვილი – „ვაჟა-ფშაველა“, 2011

დიდი მადლობა თავად ლუკა რაზიკაშვილს, პირნათლად გავლილი ცხოვრებისათვის, შედევრების დაწერისათვის და იმის მშობელ თუ შთამაგონებელ მთას, რომლის გარეშეც საქართველო ვერ გადარჩებოდა.

დიდი მადლობა ილია ჭავჭავაძეს, ვისი თანადგომის გარეშეც ფენომენი „ვაჟა-ფშაველა“ ეგებ არც იარსებებდა...

ლუკა რაზიკაშვილის ცხოვრებაში და შემოქმედებაში მონაწილეობამიღებულ ყველა ადამიანს: რედაქტორებს, მკვლევარებს, კრიტიკოსებს, მწერლებს, პოეტებს, მთარგმნელებს, რეჟისორებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, მკითხველს – მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც.

განსაკუთრებული მადლობა თამაზ ჩხენკელს წიგნისათვის „ტრაგიკული ნიღბები“ და ვაჟაზე წერილების ციკლისათვის...

გამომცემლობა „პეგასის“ მფლობელს, მარინე ცხადაიას, ვინც გასული წლის აგვისტოში ვაჟა-ფშაველაზე წიგნის დაწერა შემომთავაზა თავისი გამომცემლობა „პეგასის“ ილუსტრირებული ბიოგრაფიების სერიისათვის — მანამდე მე ვერც ვიფიქრებდი, რომ მერვე კლასიდან დაწყებული და მერე, ფშავში გეოლოგად შვიდი წლის მუშაობისას გაგრძელებული და ჯერ კიდევ ვერდამთავრებული ჩემი პატარ-პატარა ჩანაწერები ვაჟა-ფშაველაზე ოდესმე წიგნის ყდებში მოექცეოდა...

„პეგასის“ თანამშრომლებს: მწერალსა და რედაქტორს თამრი ფხაკაძეს, რომლის საბავშვო წიგნი: „გლობუსას და ლუკას თავგადასავალი“ მოხვდა ლიტერატურულ პრემია „გალას“ ნომინაციაში: „წლის საუკეთესო წიგნის მხატვრობა“, კრიტიკოს გიორგი კაკაბაძეს (რომლის ბიოგრაფიული წიგნი „ნიკო ფიროსმანი“ მოხვდა ლიტერატურულ პრემია „გალას“ ნომინაციაში: „წლის საუკეთესო წიგნი“), მხატვარ ნინო კაპანაძეს და სხვებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთეს 150 წლის განიოსზე ბიოგრაფიული წიგნის სრულყოფისათვის, მერე კი სიურპრიზი მომიწყვეს და ვაჟა–ფშაველაზე წიგნი მაგარ ყდაში დამახვედრეს...

წიგნის რედაქტორ ტრისტან მახაურს, მართებული შენიშვნებისათვის და ვაჟა-ფშაველას მამის, პავლე რაზიკაშვილის ფშაური ჩანაწერების ჩასწორებისათვის...

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი რადიოს გადაცემა „პიკის საათის“ შემოქმედებით ჯგუფს, ეკა ტალახაძის ხელმძღვანელობით, რომლებმაც თავიანთი დღის ინტერაქტივის “ჩემი ვაჟა-ფშაველა” სტუმრად მიმიწვიეს ამ წიგნზე სალაპარაკოდ.

ომარ თურმანაულს, ვინც შუაგულ სტრასბურგიდან გულშემატკივრობდა ამ წიგნს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ჩვენი დილას“ შემოქმედებით ჯგუფს, ვინც ამ წიგნის გამოსვლამდე გადასცეს ამ წიგნზე სიუჟეტი.

მწერალ ნატო დავითაშვილს, რომლის წიგნი „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ მოხვდა „გალას“ ნომინაციაში: „საუკეთესო საბავშვო წიგნი“ და ვისაც თბილისის წიგნის ფესტივალზე ავტოგრაფი დავუწერე ჩემ წიგნზე...

ინგლისურიდან მთარგმნელს, ნინო ქაჯაიას, თავისი ქალიშვილით, მარიამით, რომელმაც სასკოლო თემის დასაწერად ისარგებლა ამ წიგნიდან...

პოეტსა და რადიო „თავისუფლების“ რეპორტიორს ეკა ქევანიშვილს, ვინც წიგნის ფესტივალზე ამ წიგნის შესახებაც მალაპარაკა.

მარიამ ხუცურაულს და ვანო ბერიძიაშვილს თავისი ქალიშვილითურთ, წიგნის ხელნაწერის გაცნობისათვის და შენიშვნებისათვის, მერე კი წარდგინებაზე მოსვლისთვის.

პოეტსა და გაზეთ „24 საათის“ კორესპონდენტ ბელა ჩეკურიშვილს, ვინც ამ წიგნზე ერთ-ერთმა პირველმა დაწერა.

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელის“ იტალიურიდან მთარგმნელს, ხათუნა ცხადაძეს ვაჟას ასეთი სიყვარულისათვის...

ილტოსპირელ მიხეილ ღანიშაშვილს, რომელმაც თავისი პოეტური ორდენის, „მარადახალი ქნარის“ სახელით ამ წიგნის განხილვა მოაწყო, მერე კი „გალას“ ნომინაციაში მოხვედრისას მხარი დაუჭირა ამ წიგნს და ავტორს ლექსად შემოუთვალა სათქმელი:

დასასრული მე-8 გვერდზე

დოდო
ქუმბურიძე

ციკლიდან: წვიმა მოთიბულ მდელოზე

ნათლისღება

„ჩვენ სასწაულებს ველარ ვხედავთ,
აღარ გვყავს წინასწარმეტყველი
და არვინ არის ჩვენთან, რომ იცოდეს —
როდემდე?..“
(ფს. 73.9)

მე რაც შემეძლო, მარტო ცრემლია...
შენ კი, ამ მთათ და მდელოთ მცრემვლელო,
აღმომცენებო მიწიდან თესლთა
და დამჭკნარ ხეთა ცოცხლად მქცეველო...
შენ იფარავდი აქ ყოველივეს,
ნათლის დედავ და ნათლისმცემელო!..
ჩვენ, ბრმები, ველარ ვხედავთ სასწაულს,
წინასწარმეტყველთ როგორ ვეფეროთ,
თუკი ისინიც აღარ არიან,
ვაზო, ვინ დაგკრეფს დაუკრეფელო,
მონები როგორ გადარჩებიან,
ხორცის მონები, დიდო მეფენო?..
კითხვას — როდემდე? — ვინ უპასუხებს,
რასაც პასუხი უნდა გაეცეს,
ზეიმებს აწყობს ვითომ მაესტრო,
სადაც ეშმაკიც უნდა დაესწროს,
მტრედის ალალ სულს მხეცებს ნუ მისცემ,
შენ დაგვიფარე, უზენაესო!..
ბევრი იწამე და იცოდვილე,
სულო, ლოცვებით საკურნებელო,
უფლის სახლს შესვლა ისე გინდოდა,
ნატვრა მოგკლავდა,— რომ არ შეგევლო,
მადლობა უფალს, კარი გაგეღო,
უზენაესი სადაც ნებელობს...
ჩვენ ბევრი რამე როდი გვინდოდა,
ან რა მოგთხოვეთ, მიწავ ბებერო,
ამდენ მათხოვრის გამომჩეკელო
და ამდენივეს გამწბილებელო,
შენგან ნატკენი გული მანდ დამრჩა,
ახლა ამ დარბაზს უნდა ვეფერო...
მადლობა შენდა, გადარჩენისთვის,
ჩემო მამავ და მასწავლებელო!..

***

„შუქი იღვრება წმიდისათვის
და გულმართალთათვის მხიარულება...“
(ფს. 96.11)

ელვამ გაჰკრა და აცისკრდა ხომლი,
ღრუბელს გავსდიე, ცად რომ რონინებს,
გამოისახა ღრუბელში ორნი—
იოანე და იერონიმე...
გული მტრედივით ამიფართქალდა,
მანძილი ცამდე ფრენით მოვლიე,
ცრემლმან დამიყო სინათლე თვალთა,
ლურჯი დღის შუქიც ავიყოლიე.
იცინის მეფე გაუცინარი
და იორდანეს წყალზე რონინებს,
მეც შენს ზეიმში გავუჩინარდი,
მოვირგე ლხინის ერთი როლი მე.
ო, ნათლისღების დღესასწაულო,
შენ შემახვედრე ბედად ორივე,—
ნათლის სხივებით გაბრწყინვებულნი—
იოანე და იერონიმე!..

***

„ცვილს დაემსგავსა ჩემი გული,
დადნა ჩემს მკერდში.“
(ფს. 77.3)

როდესაც ჩემი გული დნება ცვილივით მკერდში,
მხოლოდ მაშინ ვგრძნობ,—
რა დიდია და უკვდავია ადამიანი...
მისი სული შადრევნებშია,
მინდვრის შროშნებში, გაფრენილ ჩიტში,
რომ არც შეწყდება, არც დაჭკნება, არც დაიღლება,
უკვდავია ადამიანი...
მე არ ვარ მონა, არც გმირი ვარ,
მითუმეტეს, არ ვარ წმინდანი,
არ შემიძლია მხეცები რომ ვათვინიერო,
გადავაქციო უბრალო და კეთილ კაცებად,
ჩემს სულშია დღესასწაული,
ცვილივით დნება ჩემი გული სიყვარულისგან,
ის მალე ფერფლის გროვა იქნება, ან მიწა პეშვით,
რომელზედაც ია ამოვა.
რწმენით ვიპოვე ხსნა და ვუთხარ მეგობარს ჩემსას—
—ცეცხლში ჩაყავი ხელი ჩუმად,
ჩემ გულს იქ ნახავ!..
თავი დამიკრა, ცეცხლთან დადგა... და შეეშინდა...
ჩემი გული კი გაიძახის: უკვდავია ადამიანი!..

***

„რადგან გაილია ნაღველში ჩემი სიცოცხლე
და ჩემი წლები გლოვაში“...
(ფს. 30.11)

გაილია უკვე, ნაღველში გაილია,
საკუთარი თავის გლოვაში გაილია,
სამსალაში ჩაწებული კალამი მიჭირავს
და დავწერ თუ არა, ამ ლექსს, გადავაგდებ...

ნუ დარდობ ღამეში ჭოტების ძახილს,
მარტის წყლებგადავლებულ მინდორზე იას,
ჭები წყლით ივსება, მწიფდება ბაღი,
დაჰქრიან ქარები და ძაძებს გხდიან...

იქნებ იგლოვ იმ ღამეს — ვარსკვლავი
რომ მოწყდა ვარსკვლავებს და
გალავანს ციხისას,
თუ იმ გაკერპებულ ქალის გულს დაეცა—
რომ არ კადრულობდა ნუგეშსაც ვინმესგან...

ნუ დარდობ ღამეში ჭოტების ძახილს,
მინდვრებზე დასაჭკნობად ამოსულ იას,
წუხილს ცეკვად გიქცევს უფალი, ნახავ,
და ნეტარებაში გალივლივებს გვიან...

— ვინმე გისმენსო? — მეკითხება „ცელქი ნიავი“,
არავინ-თქო, — ვპასუხობ კუშტად
და გადავყურებ შემოდგომის ოქროსყდიან ბაღს,—
სადაც ჩიტები უკვდავების ჰანგებს დაჰკვნესენ,
მენავეები, მეთევზენი გულანშაროდან—
ვერც კი ამჩნევენ ამ ბაღს, ისე მიდი-მოდიან.
ლომებს და ვეფხვებს აქანდაკებს აქვე პოეტი
და მელოდება...
მე კი ნაღველში გალეულ ყოფას,
გლოვაში ჩავლილ ჩემს წუთისოფელს —
იმ პოეტს ვუძღვნი,
ამ ლექსს კი აქვე ვამთავრებ და იმ ნიავს ვატან,
— ვინმე გისმენსო?— დამცინავად რომ შემეკითხა...

***

„ჩვენი დღეების დათვლა გვასწავლე,
რათა შევიძინოთ სიბრძნე გულისა...“
(ფს.89.12; დაბ.27.9; რომ. 6.23)

თივის ზვინებში წკრიალებენ ავჟანდის ღერები,
გვირილის ფოთლები ტირიან დაკარგულ სინორჩეს,
ვაშლები დახრილან ზვინებზე
ვარდისფერ ლოყებით
და იღიმიან მანამ,
სანამ მოწყვეტდეთ ქარი,
ანდა ზარმაცი პატარძალი.
ჯულბასი ღორს მისდევს,
ჭიშკართან ჩავლილს,
მერე მიდის და კიბესთან წვება.
დაბერდა ისიც, როგორც ოდესღაც:
სიფორე, მაკრინე, თევდორე, სენეფო,
ჭიჭიკო ჭვავია, ჭიტება ბიქტორა,
ლერწამა ალვასი და სონა ბაბუდა—
დაბერდნენ, წავიდნენ აქედან...
ჯულბასიც მოიფიქრებს ალბათ—
სადაა უმჯობესი სიკვდილი,—
ოღასკურის თუ რიონის ნაპირთან....

***

„ჭეშმარიტება დედამიწიდან აღმოცენდება და
სიმართლე ზეციდან გადმოიხედავს“...
(ფს. 84.12)

ზეცამ თქვა ისევ მართალი: ნამდვილი თოვლის
ფანფარებს
ბაღში ნაძვები არხევენ,
ქარები ფიფქებს ართავენ,
იმედის ცეცხლი აინთო, ციდან ჩირაღდნებს ისვრიან,
ახვლედიანის ზამთარი წყნარ შემოდგომას ამთავრებს...

წელო ახალო, უფლის ხარ,
მიწასთან ერთად ცასაც ფლობ,
ლოცვის თბილ სიტყვებს მოგახვევ,
ვიცი, გამიგებ, რასაც გთხოვ,
ყიამეთიდან გაიყვან, ბედით დაღლილებს მიაგებ
იდუმალებას ნატვრისას, სამოთხის ბჭეთა გასაცნობს...

როდესაც გასაცოდავდნენ დღეები სასაცილონი,
შენ აასრულე, უფალო, ამაოდ რასაც ვცდილობდით,
დახატე, წერე, შეჰქმენი, ცასა და მინდვრებს დაჰფინე—
პოეტების და მხატვრების გენიალური ტილონი...

შენია მთების მუსიკა, ეს მაჟორი და მინორი,
სიწმინდეები ქართული, ალავერდი და ილორი,
ქალები თვალცრემლიანნი, დამარცხებული კაცები,
გულები— სალი კლდეები, ახლა მშრალი და რბილობი...

ისევ შენ უნდა გვიშველო, თორემ ჩაგვაქცევს ზამთარი,
აღმოაცენე მიწიდან ჭეშმარიტების თავთავი,

წმინდა ბაგეთა ნათქვამი—აღსრულდეს საქართველოში
და ნატანჯ მიწას სიმართლე გადმოევლინოს ამთავით....

***

ქვევრში ცოლიკაურს და ციცქას კრიალას
ასხამენ, მზადაა თაფლი და ბალზამი,
არის იმერეთი ლეგენდა მთლიანად
შემოდგომის ბინდთან და სიზმართან ნაზავი.

ფარდები მჭვირვალი, გორაკებს ნაფენი,
და ზვრებში ჩამჭკნარი თივა და ბარდა,
თამადა ტრაბახა და ყანწი საფერი
და ენა, რომელიც ატკბობს და ქარგავს.

წახვალ და წაგყვება დარდებად, სინაზედ,
წახვალ და დაგკარგავს შფოთებში ჟამი,
და მუდამ იდარდებ იდუმალ იმაზე—
რად არის ცხოვრება მსწრობელი წამის...

***

ვინ ელოდება სევდიანად და მოუთმენლად
გაზაფხულს ისე,
როგორც ზამთრის ნაზი ნიბლია,
გრძნობით გასძახის თოვლიან მთებს:
— დადნით, დადნითო!.. —
და უკაკუნებს ნისკარტს ზამთრის გამხმარ ხეებზე...

***

ქარები ბნელ ღამით ზეციდან
ვარსკვლავებს ჰყრიან და
ლიმონის ფოთლები, ლურჯ-მწვანედ პრიალა
რბილდება,
ქურუმი ქალები ლოცვებს აღავლენენ
კნოსოსს და აგია-ტრიადას
და ჩემი ანგელოზი
ამ ლაბირინთიდან გაყვანას მპირდება...

გონიო

გული ცუდად გამიხდა, როცა ვნახე გონიო,
გურიიდან გადმოველ,შევეფარე გოლიათს.
თან შემომყვნენ ჩემი აჭარელი ძმები,
დავინახე შავშეთზე ამავალი გზები,
კამკამებდა შავი ზღვა, ლურჯი, რისი შავი,
აფსაროსის კუნძული, ეგრისელთა ჯარი
მტერს ელოდა, ვით ადრე, ათასი წლის წინათ,
ევკალიპტის ფოთლები დაერეცხა წვიმას.
იდგა გამეხებული იოანე ციბეც,
რომაელთა ლეგიონს ოსმალონი ცვლიდნენ,
ოსმალეთის დიდი გზა დაეჯანყა ღრუბელს,
ლაზ ძმებს წარსულს ვუხსნიდი და ბათუმის უბეს
მათი გემიც მოადგა, წასვლა აღარ ინებეს,
მოჰყვებოდნენ თევზებიც ნაპირისკენ დინებებს;
სარდალს ჩამორჩენილი რაზმი წუხდა ავდრით,
აყვავებულ მანდარინს და საბადოს მადნის,
აფსირტეს და აფსაროსს, როგორც ათას წლის წინ,
უმიზნებდა ვანდალი... დაეძებდა მიწყივ.
კამკამებდა შავი ზღვა, ბიბინებდა მოლი...
სევდა გამოყოლილი, მკლავს გონიომოვლილს...

***

ო, როგორც იქნა!..
ტრიფოლიატის ღობეებიდან
არამარტო ზეცა გამოჩნდა, —
კავკასიონიც...
გამოფრინდნენ მწვანე ხოჭონი,
მწარე წამლის სუნით აგვავსეს,
ერთი-ორი დღე გაგვიმწარეს,
მერე კი გაქრნენ...
ახლა ეზოც, ცაც და მთებიც მშვენიერია!..

***

„შუქი იღვრება წმიდისათვის
და გულმართალთათვის—მხიარულება.“
(ფს. 96.11)

ქარი დაბერავს აპრილის,
მტრედი ცის სიღრმეს მიაპობს,
ხარობს მოხუცი ისაკი, ესავი კოცნის იაკობს,
მარტთან შერიგდა აპრილიც, ცაში გადაწყდა ყოველი
და ჩემი ბედის ვარსკვლავიც უფრო ლამაზად კიაფობს...

აღდგომა მოდის ბრწყინვალე, ვიოცნებებ და ვილოცებ,
მართლებს დაიხსნის უფალი,
როგორც მშვენიერ იოსებს,
ცხოვრება მშვენიერია, ჯილდო მრავალი მივიღეთ,
მრავალი ცრემლიც დავღვარეთ,
ვიფიქრეთ საიქიოზეც...

თბილისი ჩვენი დედაა, ჩვენი გული და აზრია,
ნაზია როგორც ევროპა, გმირია, როგორც აზია,
ერთმანეთისთვის ვცხოვრობთ
და გულს ვიტკენთ ერთმანეთისთვის,
გუმბათის ჯვრებზე ჩვენს ტაძრებს ანგელოზები აზიან...

აღდგომა მოდის ბრწყინვალე, წითელი ბაირაღებით,
გაცოცხლდებიან მართალნი, აფეთქდებიან ბაღები,
ირმები გაილაღებენ, სულებიც გალაღდებიან
და ჰიმნად სიყვარულისა დაიცლებიან ნაღმები...

***

„რადგან ერთი დღე შენს ეზოებში ათასჯერ
უმჯობესია,
ღმერთის სახლის ზღურბლთან დგომას ვარჩევ“
(ფს.84.11)

სამართალი უფლისა— არის ღრმა უფსკრული,
ის ჭაა, სადაც მწყურვალნი რწყულდებიან,
უფლის მთებს ქარები მოედვნენ ჩურჩულით,
მშიშრები უფსკრულის სიღრმით ტყუვდებიან,
არჩევენ ბოროტების კარვებში ბინადრობას,
არ ესმით მოწოდება, ბნელში ყრუვდებიან.

ეს ჭა ნუ შეიკრავს პირს ჩემთვის, უფალო,
ბოროტნი შენს ზღურბლთან ნუ დაეყუდებიან...

***

„რადგან შენ იხსენი სული ჩემი
სიკვდილისაგან,
თვალი ჩემი — ცრემლისაგან,
ფეხი ჩემი — წაბორძიკებისაგან...“
(ფს. 114.8. ფს. 55.14.)

თუ სწრაფად არ დავმალეთ, თუ სულში არ ჩავხატეთ —
მტერი ქუჩებს საყვარლებს დანაღმავს და დამინავს,
ეს ქალაქი დარჩება ყანჩებსა და ყარყატებს,
ეს ქალაქი დარჩება არაბების ამირას...
მერე შურტა მონახავს რუსთაველზე მითვლემილს
რომანტიკოს ქართველს და ჩოხის კალთას შეაჭრის,
გვეტყვიან, რომ მითების სამფლობელოდ ვითვლებით,
ერთი ჭრელი ფარდა ვართ აჩრდილების თეატრის...
თითო-თითოდ მოგვკლავენ, მოგვისევენ სიყალბეს,
სხვა ჩვენ, ჩვენ კი ერთმანეთს გადავთელავთ გულიან,
ველარავინ მიხვდება —როგორ უნდა გვიყვარდეს,
ამ ცხოვრების აზრი რომ მარტო სიყვარულია...
არ დარჩება თბილისი ყანჩებსა და ყარყატებს,
თუ ხალიფას ერთგული არ ეყოლა ამირა,
ღმერთო, უნდა დაგვიხსნა, ვით გვიხსნიდი აქამდე,
უნდა შეგვაგნებინო—რა ვქნათ, ანდა რანი ვართ...
ცოცხალი თუ მკვდარი ვართ...
ფარით ვართ თუ უფაროდ...
სული ჩემი იხსენი სიკვდილისგან, უფალო!..

***

„აღსდგებიან ჩემს მიმართ
ბოროტი ცრუმორწმუნენი;
რაც არ ვიცი,—იმას მკითხავენ“
(ფს.34.11; 26.12; მათე26.59)

ცხოვრება ქალის წასაკითხად რთული წიგნია,
ნუ მეკითხები — რაც არ ვიცი, ვერ მიმიგნია.
ცრუმორწმუნენი ჭორებს თხზავენ... მათი ვალია...
ყველანი მოვლენ, ვინც კი ჩვენკენ მომავალია.
ზღვაში იხრჩობა შემოდგომა, მთებზეც წყალია,
მწვანე ტყეები დაიხანძრენ, წყალიც მწვანეა.
ხავსისფერია სიპი კლდენი მდინარისპირის,
ჩემი სამშობლოც ხავსი გახდა, მე რომ მივსტირი.
ხან ვეჭიდები იმ ხავსს, სავსე ჭაში ჩასული,
მწარეა აწმყო, ისე მწარე, როგორც წარსული,
მომავალი კი სულ აღარ ჩანს, მარტო წყლულია,
ისიც ის არის ალბათ, მწარე, რაც წარსულია.
მოწამლულია წყალიც, მიწაც, დუღან წყლულები,
ზიან და მაინც ჭორებს თხზავენ ცრუმორწმუნენი.
მეკითხებიან რაც არ ვიცი და უხარიათ,
გარეთ გუგუნებს შემოდგომა, ცივი ქარია...

***

არც ვწერ ვინმეს, არც ვუკითხავ,
ამ წერილებს ჩემთვის ვჯღაბნი,
ღრმა სოროში ჩამძვრალ ვირთხას —
არც ჯერა და არც შურს ზღაპრის,
თებერვლიდან გაქცევა მსურს,
ალუბლებში ვეძებ აპრილს.
რა აპრილი, რის აპრილი!
მარტი ხაფანგს აგებს ჩემს წინ,
ყველაფერი აქვს დათვლილი,
წვიმითა და დარდით ბევრს წვიმს,
მესტვირული ჟღერს ნამდვილი,
ვერეს სუნი მოაქვს ნესტის...
მაგრამ ქარი მოვარდება შეყვარებულ კაცის ჟესტით...

***

„ვიდრე დაბნელდებოდეს მზე, ნათელი,
მთვარე და ვარსკვლავები,
ვიდრე ღრუბლები კიდევ ჩანან წვიმის შემდეგ“;
(ეკლესიასტე, 12.2)

ო, იქნებ ღრუბლები ჯერ არ გაქრნენ,
მზეც იქნებ ოდესმე გვეწვიოს ,
თოვლიან რტოებს ფიჭვი ანქრევს,
ქარის აკვნები რომ არწიოს—
ლიბანის ნაძვებს ეფერება, პატარა მოწყენილი მზეწვია
და ცას ევედრება —
სხივები მიწის შვილებამდე დასწიოს.
ვიდრე დაბნელდება ნათელი მზე,
მთვარე და ვარსკვლავები მინთია,
და მზესუმზირები ფართენი ვიდრე აშუქებენ
ბინდიანს—
ნაწვიმარზე ღრუბლები მოჩანან,
მოცხარი გაზაფხულს ყვავილებს ანათებს,
მშობლიურ სიყვარულში როცა ვართ,
დღესასწაულია მარადდღე.
ვიდრე მნათობები კაშკაშებენ
და მზეში გული რომ „ლილეს“ ცნობს,—
ვილოცოთ საერთო სიმშვიდისთვის,
უფლის წყალობისთვის ვილოცოთ...

***

ამ მუხთალ დროს ვერ გაუძლებს,
სული დამშეული ყმუის,
ყველა ცდილობს — ბედს დაუძვრეს,
ყველა ერთნაირად ტყუის.
შენ რა გინდა, ჩემო თავო,
შენ არავინ არ გსაკლისობს,
დასაკლავი ხარი ბღავის
ჯერ სახარე ასაკისო.
შენ კი წვალობ, ნიჟარიდან
იქნებ ვინმემ დაგინახოს,
აღარა გაქვს მიზანი და
შენში მხოლოდ დარდი სახლობს.
მონადირის თოფით მწყრები
წამოფრინდნენ საყანედან,
ვაი, ველარ მოვესწრები
ბროწეულის აყვავებას...

***

სინათლე ბალახის თესლიდან,
ნაწყვეტი დედაჩემის ლოცვის,—
კაშკაშით მოვიდა ზეციდან,
ტკბილფესვას ყვავილი მომცა,—
ჩვენს ეზოებში რომ ხარობდა,
ჰაერს რომ ატკბობდა ნაზი,
თეთრი ანგელოზი გალობდა —
ტაძარს მიჰყვებოდა ვაზი...
მაჯა გამისინჯა გალობამ,
მომაგნო დედაჩემის ლოცვამ,
სხეულში ხანძარი წვალობდა,
იმ ლოცვას ვუსმენდი როცა.
მინდვრის ყვავილების ლაშქარში,
ტკბილფესვას სურნელის თანმდევს,
სინათლე მწვდებოდა კაშკაშა —
ბალახის თესლიდან თმამდე.

***

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...
სულში სევდა ჩადგაო,
ზეცა შებათქაშდება, კორდზე ია გაჩნდება,
მინდვრის ნაზი ვუალი, ძველი კაბა მუარის,
ქარი რომ მიფრიალებს,
გაცვდება,
ძაფი გადასაწყვეტი, ფიქრი გადაწყვეტილი,
ცივ ღამეში მერკური
კეთილი,
თებერვალი ახსენე, სევდა კი ვერ ამხსენი,
სულზე გადამაბიჯე,
ვერ ვტირი.
უფსკრულებში ჩამჩეხე მწვერვალებზე ამსვლელი,
პრიალაა ნაჯახი, გნატრობ მთელი არსებით,
და ვოცნებობ მთვარეზე,
სანადიროდ მიდიან, ხორხოცებენ კაცები
ქალებზე...
თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, მზე დაჰფინა
იარებს,
მინდვრის ნაზი ვუალი, ძველი კაბა მუარის
ფრიალებს...



დასაწყისი №60-68

ᲓᲐ დაახლოებით 100 წლისანი იყვნენ სემი, ქამი და იაფეტი როდესაც დააქორწინა ასე ძალიან ადრე ნოემ, ისინი, რადგან უგრძნობდა გული ღმერთისაგან და ნათქვამისაგან თ-სი, წარღვნას, და ვერ მოასწრეს სემმა, ქამმა და იაფეტმა ამ მოკლე დროში რაღა თქმა უნდა იმდენად გახრწნა რომ არამცთუ მამაკაცი, ცხოველებიც კი არ ჰყავდათ „შეცნობილი“ რომელი ცხოველებიც კიდევაც „მეტად დაწინაურების მიზნით“ დიდად და ხშირად შეიცვნეს იქაურულმა მართლაცდა ცხოველ-ატლანტიდელებმა და თან ისე აშკარად და ამაყადაც როგორც ეს „კულტურულათე დაწინაურებულები“ს შეშვენოდათ ისე თვალსაჩინოდ რომ სულ სულაც ხელგადახვეულები დაიარებოდნენ ამასაქმეში გამოჯეკილი ატლანტიდელები ყველა არაფიცხ ცხოველთან სახედარების გარდა რომლებთანაც რომ ძლიერ უჩუმრად დაძვრებოდნენ გომურებსა თუ ჭალებში და ისიც მხოლოდ უმთვარო ღამით რადგანაც დომბა-იშაკა ვირისა ტაჭკით დასეირნობდა ატლანტიდაში და ანდაც სულაც თავმდაბლობისა განმტკიცებისათვის თვითონ ებმოდა რიქშადა, ტაჭკას, და ამიტომაც ვირის „შეცნობა“ უფროდაც მეტსა-დანაშაულად კი არა და მთლად პოლიტიკურს-უუმძიმეს დანაშაულად ჩაეთვლებოდათ რადგან ამითი გადატანითი მნიშვნელობით თითანა-პადრეს „შეიცნობდნენა“, თითქოს და რადგანაცა ამით მის კრისტალურს სახელს ხომ რაღაც ირიბი გადატანითი-ჩრდილი მიადგებოდა თავად რიქშასა ვირისიტაჭკისას და იმისი ხათრით ანუ ანგარიშგაწევით ნებისმიერი ვირის ზედმიწევნითი გაცნობისათვის უფრო სასტიკად დაისჯებოდა ისი-თავხედი უსვინდისო ატლანტიდელი ვინემ ვისმეს ადამიანი რომ მოეკლა, უბრალოს უბრალო,

თუმცა,

მაინც მაგრამ ადამიანი, სწორედ ის,

ვინც,

რომელიც, –

„...რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი“... –

„აი, ღრმა შინაგანი საფუძველი იმისა, რატომ არის ადამიანის მოკვდინება უსაშინელესი დანაშაული. ის, რომ ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატებად, ერთგვარად მის თვით სულიერ ნათესაობაზე მიგვითითებს და ამით მისი პიროვნება წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი ხდება. ასე რომ არავის, ადამიანის ჩათვლით არ აქვს უფლება ხელყოს სხვისი სიცოცხლე, რომლის ერთადერთი გამგებელი ღმერთია, რომელმაც მიანიჭა მას ეს სიცოცხლე. ამ სიტყვებში ასევე დიდი აზრია ჩადებული... ჯერ ერთი იმიტომ“.....

„და, მეორეც, იმიტომ, რომ ღმერთის ხატების არსებობა უარყოფილი არ არის მაშინაც კი, როდესაც ადამიანი ცოდვილი და დაცემულია“

ხოლო ანიჩკამ, მურთაქებისა-და-მიუხედავად მაინც ძალიან გა

და,

„ „ეს არის ამბავი ნოესი“... – ანუ ეს დასაწყისია ახალი ბიბლიური მონაკვეთისა, რომელშიც გადმოცემულია ნოესი და წარღვნის ამბავი“,

და, ვიმეოროთ, –

„ „მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში“... ანუ იგი იყო ზნეობრივად წმინდა და მთლიანი, გამოირჩეოდა მის ცოდვილ თანამედროვეთაგან, რომელთა საკმაოდ არასასიამოვნო დახასიათებას იძლევა თვით იესუ ქრისტე და მოციქულები“

და ხოლო ნოე, ენოქსავით, „ „ვიდოდა ღმერთის თვალწინ“... – „ბიბლიურ საღვთო ენაზე ეს სპეციალური ფორმაა, რომლითაც ჩვეულებრივ წარმოდგენილი იყო თანამედროვე ცოდვილ გარემოში მოხვედრილი სრული უზნეობა“,

და

„გადმოხედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველ ხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე“,

და,

* * *

და ერთსაც დღეს,

ჩვეულებრივი ტაროსი რომ იდგა

და არც განსაკუთრებული კაცთაკვლა იყო და დიდ-ცოდვათაგან არც რაიმ-სხვა უჩვეულო და ახალი რამ დაცემა რადგან იმდენ ხანს ითმენდა ყოველივეს ღვთიურის მოთმინებით, ღმერთი მაგრამ ერთი ის იყო რომ არ იძვროდა არამცთუ ხე და ჩამომხმარი ფოთოლიც კი, და ამ ყოვლადუჩქამო სიწყნარეშია-ვითომ,

ნოეს ჩამოესმა ხმა მაგრამ ხმა იყო ძალიან წყნარი და სათნო და უაქაურო მაგრამ როგორ სააქაურო რადგან მაღალი და მბრძანებლური თუნდაც-რომ მყუდრო:

— იქ მიდი, ნოე.

ნოეს ძალიანაც თავსდატეხილი შიშით და ბევრად უფრო კი კრძალულობისაგან არ აუხედავს და თუმც მაშინვე მიხვდა ვისი ხმაც იყო, ეს, და მიუხედავად იმათავისი მოწიწებისა, მისდამი, რატომღაც მაინც არ მოიკუნტა, ალბათ იმიტომ რომ „იქ მიდი“ო ჩაესმა, ესმა, და ძებნით არა – მაშინვე-მყისვე გაიხედა სად „იქ“ და,

მაყვლოვანი-რამ იდგა, ბუჩქი, ალმოდებული, მივიდა იქ, ნოე

და ღვთის ახალ თქმას დაელოდა და

— დაადე ხელი, ალს.

დაადო ხელი, ალს, ღმერთისა სიტყვებს გადმოცემებით შეჩვეული დიდედოთი და თ-თი და ამიტომაც თუნდაც ასე პატარა და დადაბლებული მაგრამ მართალი თვითონ-ით-იც-თავისითაც და თავი და თავი თავად ღმრთით-თვით და აბა როგორ გადავიდოდა იმისსა სიტყვებს რადგან ადრევეც დაიარებოდა ღვთის წინაშე და თუმც თვალით ვერც ადრეც და ახლაც ვერ ხედავდა მაგრამ ღმერთი ხომ ყოველთვის, როგორც ყოველსა და ყოველივეს მასაც ჰხედვიდა, ღმერთი, ხოლო ის ალი, ცეცხლიანი, – სააქაურო სათნოც-ცეცხლისა არ იყო ნაღდად რადგანაც ფოთლებს სულ არ სწვავდა და ნოეს ხელისგულებმა და თითებმა და განსაკუთრებით კი იმ მთავარ-სამმა, სითბო-რამ იგრძნეს უჩვეულო, და მაგრამ ნოე მაინც ვერ ბედდა ზევით ახედვას და სწორიც იყო, ის, აბა რომელი შემოწმება უნდოდა იმ ხმას, ისეთს, თვიით-ისას, და ნოე გრძნობდა, როგორ გრძნობდა რომ თავად ის, ეიგი, რომელსაც რომ ძალიან მართლად მიმართავდნენ გულ-და-გონება გასპეტაკებული ადამიანები, კი:

„ღმერთო, დიდო, საშინელო და საკვირველო, დიდო და მართალო, რომელი ყოველთა და ყოველსავე კეთილად განაგებ, რომელი მოჰხედავ ქუეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ, რომელი შეახებ მთათა და კუმოდიან (— აკვამლება, ან ნელი კვნესა)“,

და ხოლო მთას კი-გახედა ნოემ, კვამლივით რაღაც ასდიოდა, მთას,

და „უთხრა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით“;

დუმდა, ნოე-ეს...,

„და, აჰა, უნდა გავწყვიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ“. –

წუხდა, კი, ღმერთი... სევდა ერია ღმერთს, ღვთაებრივსა, ხმაში. –

თვით თავად მისი მსგავსებისა? – უმსგავსოების, გამო.,

დადუმებულიყო, ნოე,

„უკეთური იყო მუდამჟამს მათი გულისთქმა“ –

„მათი“ო, და არა „თქვენი“ო, თქვა ასე ღმერთმა მაგრამ ეს ნოე დათანხმებასაც კი, ვერ შებედავდა, „კი“ს, რადგან უფლის წინარე ახლა თუმც უფრო იდგა და თავად ღმერთი მისი სიტყვის თუ სიტყვებისათვის თითქოს მომლოდინეობდასავით და დრო და დრო ეგებ ამისთვის მდუმარებდა და მაინც კრინტგაწყვეტილი, ხმაგაკმენდილი იდგა ნოე მაგრამ მარჯვენა ღვთით-ალში, ჰქონდა.

...

ხოლო ქვეყანაც დიდი იყო ნოესათვის და ადამიანები კი, მრავლად.

იდგა ყუჩად და გახევებული სხვებთან შედარებით როგორ-მართალი, ნოე, მაგრამ უფროც მართალი იმითი იყო რომ არ ეამაყებოდა, ეს.

და, ჩამოესმა ეგება ამითც, დიადი როგორ, ჩამონაბოძვარი:

— რას იტყვი, ნოე.

! —

შეხმიანებას მოუწოდებდა თვით თავად ღმერთი.

მაგრამ, –

...



— ვერაფერს მეტყვი?

— ვერა. – თქვა ნოემ.

...

— შენ ხომ არ გინდა ქვეყანა და მისი სულდგმულები მიუხედავად სწორი ხვედრით, მთლიანად წარხდნენ. უკლებლივ წარიხოცონ.

— არა.

— თუ მეტყვი, რატომ.

... –

რომელი ერთი! ყველაზე მეტად ვინ და ანდა ნეტავი რა ენანებოდა... დაეწყო, რითი!

...

— თუნდაც უბრალო-რაიმ, მითხარ, თუმცკი, უბრალო? – არაფერია.

და ნოემ, თუმცა თავჩაღუნულმა, თავჩაქინდრულმა როგორმომსკდარი ბევრი სიტყვებით ასე აჰვედრა, ღმერთს:

— თუკი მიბრძანებ და ჩემზეც იქნება შენი კეთილის ნებით ჩემგან სიტყვა მე ძალიან მინდა რომ მუდამ იყოს და იდგეს ქვეყანა და მუდამ გვქონდეს და გვედგას და გვადგეს-იყოს შენი დიადი მანათობელი მზე და სუყველა შვებები და წყალობად ბედნიერებანი შენ რომ გვიბოძე ღმერთო და თან ქროდეს და წვიმდეს და იხარებდეს გაიხარებდეს ბალახი და დიდი ხეები და ყოველივე ეს სრულად ყოველი სუყველაფერი და, თოვლდესც, ღმერთო...

...

— რატომ.

— ლამაზი არი...

— და, მხოლოდ ამიტომ?

— რაღაც ნუგეშად სევდიანი და ლამაზი, არი.

— თქვი, კიდევ რატომ.

მარჯვენა უფრო გაუნათლდა ნოეს ისე რომ, დაიხარა და დაადო შუბლი, ალს, შემოეხვია ცეცხლის ენები, იმ-მფერებ ალში ჰქონდა, თავი, და ნათლდებოდა, გარემოსილი ცეცხლის ენებით:

— და მე იმიტომ მინდა ასე უღირსს ადამიანების გადარჩენა რომ ცოდვაა თოვლი რადგან ისეთს ლამაზს და სათნოებით სევდის ჩამომფენს რომ მთლად არავინ უყუროს, უფალო, ცოდვაა თოვლი დაუფასებლად რადგან ისე ძალიან ლამაზად, ღმერთო, ჩვენთვის თოვლი, თოვლს...

...

დაფიქრდა, ღმერთი...

ღმერთიდაფიქრდა!

...,

და, უთხრა ნოეს:

„გაიკეთე კიდობანი ურთხმელისაგან. ბუდეები გაუკეთე კიდობანს, სიგანით – ორმოცდაათი წყრთა (ორმოცდაათჯერ ოცდაათნახევარი სანტიმეტრი), სიმაღლით – ოცდაათი წყრთა“,

„ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა (156 მეტრი), სიგანით – ორმოცდაათი წყრთა (26 მ), სიმაღლით – ოცდაათი წყრთა (16 მ); სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს; ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე. აჰა, მოვავლენ, წარღვნას ქვეყანაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი ხორციელი, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას (— ნერგნიცა... სულიერად... ითქმიან); ყოველი მიწიერი უნდა განადგურდეს“.

მორჩილი იყო ღვთისა ნოე, დუმდა... თანაც, ხომკი თქვა თავისი, სათქმელი.

და, მაგრამ განაგრძო კვლავაც დარიგება, რჩევად ბრძანება-ურყევი, თვით ღმერთმა:

„შენ კი აღთქმას დაგიდებ და შეხვალთ კიდობანში შენ და შენი შვილები, შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები. ყოველგვარი ცხოველი, ყოველგვარი ხორციელი, ყველა წყვილ-წყვილად შეიყვანე კიდობანში, რათა შენთან ერთად გადარჩნენ; დედალ-მამალი იყოს. ყოველი გვარის ფრინველი, ყოველი გვარის პირუტყვი, ყოველი გვარის ქვეწარმავალი, ყველა წყვილ-წყვილად შემოგყვეს კიდობანში, რათა გადარჩნენ“,

— გამიგე? ნოე...

— როგორ არა მაგრამ მე როგორ დავიჭერ ყველა სულიერს...

— მოვლენ. და შემოვლენ. კიდობნის კარი კი შენ უნდა გაუღო. ხომ იზამ, ასე.

— როგორ არა!.., კი...

— შეუდექ, საქმეს.

— როდის...

— ახლავე. ურთხელებისაკენ წადი, ნოე.

...

— მარტოკამ უნდა ააგო, კიდობანი.

— მარტოკამ?

— მარტომ.

...

— ეს გინდაც შევძლო ძალიან დიდი დრო დამჭირდება.

— არა. სამიოდ დღეში მზად გექნება.

— აქ კი პირველად შესცოდა იმ მთელ გრძელ მხსნელ დღეს, ნოემ – :

— მართლა?

— მართლა.

— აქ კი, მეორედ:

— როგორ...

და, ცეცხლიც ჩაქრა... და მხოლოდ აქღა აიხედა ნოემ მაღლივ რადგან მიხვდა და იცოდა რომ ახლა ნამდვილად არ ჩანდა ღმერთი მაგრამ ასედაც ძალიან, იყო...

* * *

ხოლო ნოემ იმ მარჯვენათი მარცხენაც აზიარა რადგან ისვა და ისვა იმცეცხლეული ხელისგული მარცხენაზეც ხოლო სახესა და მკერდსა და მხრებს იმ ცეცხლნაცეცხლარის ორთავ ხელისგულით დამატებითსა შემოზავებას დიდად ცდილობდა და არცთუ უსაფუძვლოდ

და ახსენა ნოემ ღმერთი და ხერხი და ნაჯახი მოიძია

ხოლო ხერხი და ნაჯახი და შალაშინი და ჩაქუჩი და ამისთანები ნოეს ყანასთან ჰქონდა, ნაყოფიან და უნაყოფოც, კორომებში

„სამიოდ დღეში... მარტომ... მომესმა, ალბათ... ალბათ სამასიოდე დღე მითხრა“...

ისევ ის სითბო, მაყვლოვანისადამიერი, მიმოიძია მთელ სხეულზე, თხემით ტერფამდე, და ადგა, იგი

და მივიდა ნოე დიდ ურთხმელებთან...

„ან, სამი წელიწადი“...

მაგრამ ისევ ის სითბო, მაყვლოვანისადამიერი, მიმოიძია და მთელ სხეულზე, თხემით ტერფამდე, დაადგა, იგი...

და ავიდა ნოე დიდ ურთხმელებთან – „ურთხელი – მაღალი წიწვოვანი ხე. აქვს მოწითალო ფერის გამძლე მერქანი. იზრდება მთებზე“, და შემართა ნაჯახი მაგრამ ნაჯახიანხელებაღწვდილი შეჩერდა, ძალიან და რატომღაც კი არა, არამედ, ძალიან მართლად ნაჯახი ფრთხილად დაუშვა, ფეხზე მიიყუდა და საჩვენებელით, შუა-თითითა და ცერით ღონივრადაც და მოწიწებით ჩაიბეჭდა, შეიბეჭდა ციცინათელასი ნაკვალევები და ახლაკი უფრო ღონივრად შემართა ხელები და, დიდ ურთხელს, მანამდე როგორ ვერ შებედილს, ჩაესო რკინა მაგრამ ნებადართული –

რამდენად ადრე გამოწრთობილი რკინა, მაგრამ ამ დღისთვის. სად იყო მაინც, გამოუმწვარი, გადაუდნობი, ნოეს უცდიდა, სად...

და თუმც ნერგნიცა სულიერად ითქმიან ურთხელს დარტყმაზე არ დასცდენია ყრუ და უძლური, გმინვა და გაკვირდა ნოე მაგრამ მეტი გაკვირვებით შენიშნა ის რომ ნაჯახი ბევრად ღრმად ჩაესო ხეს იმდენად უფრო რომ ჯერ ეგონა-თუ ეგება ლპობა ანდაც გახმობა შეპარვოდა ხეს მაგრამ არა, აჰ, სრულიად არა – მყარი იყო და, თანაც როგორი. მაგრამ სიმყარე-ისი ძაან ადვილად დაემორჩილა, ამოსაღებად, ნაჯახისა და რაღაც-ასიოდ მოქნევასა და მოქნევაში და მოქნევით ჯერ არნახულად გამჭრელებული ძალიან-როგორ, ნაჯახისა დაიჭრიალა, ხემ, – მაგრამ ეს რაღაც ნუგეშისა თუ გამხნევების ხმა უფრო იყო ნოესადმი, და ნელა, ძალიან ნელა გადაიზნიქა ოკეანისაკენ და მყოვარ-დაეშვა იმ მიწაზე რომელიც ყველასათვის არ დაუწყევლავს ღმერთს რადგან მიწაზე მიწით ამოზარდა ეს საგანგებო ხე-მოწითანო გადამრჩენელი და მეორე ურთხელს რომ მიადგა ნოე შებინდდასავით და როგორ ძალიან აუარებათაგან ჯერ ორიოდეღა ვარსკვლავი რომ აბჟუტდა მწუხრისა-პირაცაზე ოკეანისაკენ კვლავ მდოვრე სიმძიმით გადაწვა მეორეც ის-ხე და იმის მერქანთან მიწვა ნოე და მისი ტოტები გადაიფარა დაქანცულმაც და მოსვენებულმაც, ვერ დაიძინა მაგრამ, იწვა,

ბნელში, ნოე და, ელოდებოდა, დღეს.

და, ისიც მოდგა –

ღვთით დადგენილი, –

ისევ იმ მთლად ერთი-ბეწომ მაგრამ ძლიერ-ყოჩაღმა პაწია-ვითო ჩიტმა თავისივ ვითო-ციცქნა მაგრამკი ბნელის როგორ ჯიუტად გამბზარავი ხმით:

მჭრელად და ამოდ – ორთავე ერთად!

— შეაკრთო ისი-იქაურობა თუმც იქამდე კი ღამის ფარულ ფრინველებს სულ ვერ ძალუძდათ სინათლისაკენ, წვდომა რაგინდაც ავად ეწივლ-ეხმიანათ, — იმ ჩიტს კი, პაწას და დიდ-გამრჯეს, როგორ, მერე და მერე ფრინველები და მწერები კი არა არამედ თითქოსდა თავად სინათლეც, შემობჟუტული იმას აჰყვა და ძალას იმოსდა, თითქოს კი არა, მართლა, – დღე მოდიოდა, თვით! ჯერ არც-გამოჩენილ, ამოუგორებელ თვით და თავად როგორხილული მაინც, კი, მზით, ხოლო როცა ის რიალით-როგორ თუნდ უჩუმარით ამოიწვერა და ამოგორდა ამოგორებით-დიდებულით ნოეს ნახევრად მოჭრილი ჰქონდა კი არა არამედ ჰყავდა ის-ხეც რადგან ნერგნიცა-ხომ და განსაკუთრებით ესიმაგარი დიდად, ურთხელი, სულიერ-იყო ღვთით ისევადაც და ნოესათვის – უფრო, და, ისიც რომ გაწვა, მიმოიხედა და განცვიფრდა ნოე რადგან სხვა ურთხელები ვეღარა ჩანდნენ, ალბათ-ეტყობა გაეყიდათ მაგრამ ჯირკვებიც არა ჩანდა და მერე თავისი განცვიფრებისა გაუკვირდა — ჰეე, ასეთები უქნია, ღმერთს? –

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მამუკა წიკლაური

გაუფილტრავი ფიქრები

დასასრული

1944 წელს აქ ტყის საჭრელად ტყვე გერმანელები მოიყვანეს – ჭრიდნენ, ხერხავდნენ და სადღაც მიჰქონდათ შეშა. სოფელი თავისთვის იყო და ისინი – თავისთვის, მაგრამ ერთ დილას ხმა გავარდა – ერთ ტყისმჭრელ გერმანელს მოჭრილი ხე დასცემია და მოუკლავს. ახლა ტყვეები საფლავს თხრიან და დღესვე უნდა დაასაფლავონო.

სოფლის კაცებმა მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი წესით მივსულიყავით დასაფლავებაზე. ამაზე ანდრია, რომელმაც ორი შვილი დაკარგა ფრონტზე, გაწყრა: – მე იმ ძაღლის დასაფლავებაზე რა მინდა?! დავასაფლავებ კი არა, დასაფლავებულს ამოვთხრი და გადავაგდებო... ჩვენ კი წავედით. ჩვენი წესის მიხედვით, ზოგმა საჭმელი წავიღეთ, ზოგმა სასმელი, ზოგმა სანთელ-საკმეველი... მახსოვს, ვიღაცამ ანდრიას საპასუხოდ თქვა: – კაცებო, ჩვენ ჩვენი ღირსება გვაქვს და ცოფიან ჰიტლერს ვერ ავყვებით, ჩვენ ჩვენი წინაპრების გზით უნდა ვიაროთო... კაცი ჩვენს ხეობაში მოკვდა და რაც გვევალება, ის გავაკეთოთო...

— ომი მაგისი ბრალი ხო არაა?! — თქვა მეორემ, – როგორც ჩვენი ბიჭები გაირეკეს ფრონტზე, ისე ეგენი არიან გამორეკილნიო...

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მივედით კიდეც. საფლავს თხრიდნენ. ჯერ ვერ გაიგეს – რატომ მივედით, მერე კი გაუკვირდათ და გაიხარეს...

დავმარხეთ, სუფრა გავშალეთ, შესანდობარი ვთქვით, სანთელი ავანთეთ, – დაასრულა ეს ამბავი დედისძმა მოსემ.

...არის ბახანში გერმანელის საფლავი.

არავინ იცის

არავინ იცის, ვინ ამოთქვა და ვინ ამოიკვნესა ეს ლექსი:

ნეტავი, ერთი ძმა მყავდეს
გიორგი, შენი ფერია,
სულ ავიღებდი ოსმალოს,
რას დამაკლებდა მტერია?!

არავინ იცის, ვინ თქვა ეს ლექსი – რა ჭირი სჭირდა, რა ვარამი უღრღნიდა სხეულს – რა ჯავრი სჭირდა თურქ-ოსმალოებისა...

არავინ იცის, ვინ იყო ეს გიორგი, რომელსაც შენატრის ლექსის ამომთქმელი... და აქ მხოლოდ ეჭვმა შეიძლება გაგკრას – გიორგი სააკაძეს ხომ არ შენატრის მტრისაგან აკლებული კაცი? ცნობილია, რომ ქართულ ფოლკლორში იშვიათად თუ მოიპოვება ლექსები დიდ მოურავზე და ამ ფაქტს ზოგჯერ უცნაური დასკვნებისთვისაც იყენებს ზოგი ისტორიკოსი...

...არავინ იცის და მართლაც, ვინ იცის! — იქნებ გიორგი სააკაძის გრძელ მახვილსა და მისსავე შეუპოვარ გულს შენატრის ავტორი?!.

მომღერალი ნიკო

...მივასვენებდით მომღერალ ნიკოს და მისი სიმღერა ვერაფრით ვერ ამოვიგდე სმენიდან – თითქოს მკვდარი მღეროდა. მართლაც, საკვირველი მომღერალი იყო იგი – ხატის კარზე, ფერხისაში რომ კაცები ჩაებმებოდნენ და ნიკო პირველ ხმას ასწევდა, საოცარი რამ ხდებოდა – თითქოს მარტო ფერხულში ჩაბმული კაცები კი არა, ირგვლივ მოჯარული მთებიც ამღერდებოდნენ ხოლმე, თითქოს ისინიც ფერხულში ებმებოდნენ – გუგუნებდნენ, ბუბუნებდნენ, ნიკოსა და ფერხულში ჩაბმულთა სიმღერას იმეორებდნენ...

მღეროდა ნიკო, თითქოს სიმღერის სათავიდან წყაროსავით ამოსჩქეფდა ეს ხმა.

მღეროდნენ ფერხულში ჩაბმული კაცები.

მღეროდნენ მთები.

...და აი, ახლაც,.. ნიკოს რომ მივასვენებდით, ვერაფრით, ვერაფრით ვერ ამოვიგდე სმენიდან ეს სიმღერა – მღეროდა ნიკო, მღეროდნენ ფერხულში ჩაბმულნი, მღეროდნენ მთები...

...და გავოცდი, როცა პროცესიაში ჩემს გვერდით მდგომმა გიორგიმ ჩამილაპარაკა ყრუ ხმით: – არ ვიცი რა მემართება, ყურებში სულ ნიკოს სიმღერა და ჩვენებური „ფერხისული“ მიდგასო...

მიხო მოსულიშვილი

სერიიდან „სიტყვათნახატები“

დასასრული

მიხოს სწერს ილტოსპირელი

მიხოს სწერს ილტოსპირელი
ამ უსტარს მილოცვისასა:
ეგ წიგნი მეც ძლიერ მომწონს,
მადლს იტევს მიწის, ცისასა.
დიდი ძღვენია ვაჟასთვის,
ვენაცვლე მარჯვენს ძმისასა,
პრემიაც მაგას ეკუთვნის
და სხვა სიკეთეც მის ასა, -
ეს ისე არ შამეშლება,
როგორც განჭვრეტა მისანსა,
დოკუმენტური პროზაა,
ვაქებ მწერლისას მიზანსა,
გვიცოცხლებს მთების მგოსანსა,
კვლავ გვასმენინებს მის ზარსა,
თუ პირველ ადგილს მიარგენს,
ჟიური მართალს იზამსა!

ცოტნე ალბუთაშვილს, ვინც ერთ ღამეში რამდენჯერმე წაიკითხა ეს წიგნი, დილით კი დამირეკა და მითხრა, ეს წიგნი საკუთრად შენთვის კი არა, როგორც უმეტესობა წერს, ხალხისთვის არის დაწერილი და დიდი მადლობაო...

ეთერ ჯანელიძის ოჯახს, ვინც იცის, რომ ოჯახში ვაჟა უნდა მოეპოვებოდეთ და მარტო ეგ კი არა, ვიღაცა მოსულიშვილის დაწერილი წიგნიც კი უნდა ჰქონდეთ ვაჟაზე – რამდენი ეგეთი მოსულიშვილია ბაგაზე დაბმული და ვაჟა – ერთია...

პოეტ კატო ჯავახიშვილს, რომელსაც ავტოგრაფად დავუწერე: „ბატონიშვილო, აქ ციცაბოა!“ - რაკი ვაჟა-ფშაველა მართლა ციცაბოზეა... თავად კატოც სულ ციცაბოებზე ცდილობს სიარულს და ეს კარგია...

სტივენ ლოიდს (Steven Lord Lloyd) ლონდონიდან, ვინც იაპონურ ენას ასწავლის თბილისში სტუდენტებს და ვისაც დედამისმა, ქეთევან ბაგრატიონმა შეაყვარა ვაჟა–ფშაველა...

პოეტსა და რადიოგადაცემის წამყვანს „საპატრიარქოს რადიოში“ მარიამ წიკლაურს, ვინც ამ წიგნზე საათნახევრიანი გადაცემა მოამზადა და ვისი პოეტური კრებული „თეთრი ხბორები“ „გალას“ წლის საუკეთესო წიგნის ნომინაციაში არის მოხვედრილი...

„მოლი ბლუმს“, ვინც თავის სახელგანთქმულ ბლოგზე დაწერა პირველი რეცენზია ამ წიგნზე.

დათო ოძელაშვილს და ნანა მიგრიაულს — ვაჟას განსაკუთრებული სიყვარულისთვის...

ზურაბ კანდელაკს, რეჟისორს, მწერალს და დრამატურგს, ვინც ვაჟა-ფშაველაზე აპირებს რადიოსპექტაკლის დადგმას.

ბესიკ ხარანაულს, რომლის დაწერილი ლექსის „ვაჟა-ფშაველა ცხენით მიდის ჩარგლიდან თბილისში და გზად თავის ცოლს ებაასება“ ერთი ფრაგმენტი ამ წიგნშიც არის მოხმობილი და ვინც წაკითხვის შემდეგ არ დაიწუნა ვაჟას ამნაირი ბიოგრაფია.

პაატა ლეკიშვილს, რომელსაც ძალიან დიდსულოვანი ძმა ჰყავდა, - პოლ უინტერის საქსაფონით დაკრული მგლის ყმუილის ფონზე ტოტია მგლის შეჭმის ამბის წარა-მარა წამკითხველი და მთელი თავისი მადლის ჩვენთვის დამტოვებელი...

რუსთაველის თეატრის მსახიობს, სახელმწიფო პრემიის 1996 წლის და წინანადლის პრემიის 2001 წლის ლაურეატს, გამორჩეულ მსახიობ ნინო კასრაძეს, ვინც ვაჟა-ფშაველაზე წიგნი მომიტანა ავტოგრაფისთვის და სწორედ ის გამიმეორა, რაც ვიკიპედიაზე (http://ka.wikipedia.org/wiki/ ნინო კასრაძე), თავის ბიოგრაფიაში, მრწამსად უწერია: „ბიბლიასთან ერთად მიდევს ვაჟა-ფშაველა“.

შორენა აზმაიფარაშვილს, ვინც ვაჟაზე წიგნი გამომიწოდა და მთხოვა, რომ ისრაელში მცხოვრები გოგონასათვის, გვარად ბეგაშვილისთვის გამეკეთებინა წარწერა — საქართველო ენატრება და ვაჟას პორტრეტს რომ დაინახავს, იმაზე ბედნიერი არავინ იქნება დედამიწის ზურგზე, რადგან ვაჟას ნაწარმოებების ებრაულად თარგმნაზე ოცნებობსო.

ვაჟა-ფშაველას ძმის, ბაჩანას, იგივე ნიკო რაზიკაშვილის შვილიშვილს ლელა რაზიკაშვილს, ვისაც მოეწონა ეს წიგნი.

წიგნის მაღაზია „დიოგენეს“ მესვეურებს, გურამ მეგრელიშვილს და ზურაბ ჯიჯიაშვილს, რომლებმაც ერთ-ერთ პარასკევ საღამოს შეხვედრა მომიწყვეს და მკითხველთან დალაპარაკების საშუალება მომცეს, რომ ვაჟა-ფშაველას ასორმოცდაათი წლის იუბილე მიმელოცა მათთვის.

ყველაზე დიდი მადლობა ავტოგრაფის მთხოვნელ იმ ადამიანებს, რომლებიც მე არ მიცნობდნენ და რომლებსაც წიგნებზე ვუწერდი ამ სიტყვებს: „გიყვარდეთ ვაჟა!“

ირმა შიოლაშვილს, ვინც გერმანიაში დაბრუნებამდე გამომართვა ეს წიგნი...

მიხარია, როცა ვხედავ, რომ საქართველომ იცის, ვინ ჰყავს ვაჟა–ფშაველას სახით და გაყიდვებში ერთ–ერთი მოწინავეა ვაჟაზე დაწერილი წიგნი...

დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ წიგნის ქება თქვა, ჩემ გასაგონად თუ გაუგონრად, და იმათაც, ვისაც არ მოეწონა...

მადლობელი ვარ ლიტერატურული პრემია „გალას“ ჟიურისა, ვინც 138 წარდგენილი ნაწარმოებიდან „საუკეთესო სამაგიდო წიგნის“ ნომინაციაში მოახვედრა ვაჟა-ფშაველაზე დაწერილი წიგნი — ეს უკვე გამარჯვებაა, მიუხედავად იმისა, საბოლოოდ მართლა დაიმსახურებს თუ არა „გალას“.

თორემ კიდევ გავიმეორებ, – ჩემისთანები კიდევ არაერთია ბაგაზე დაბმული და, ალბათ, კვლავაც ბევრი შეეცდება ამ დიდ შემოქმედთან მიახლოებას...

წარმატებებს ვუსურვებ ყველას...

ისე კი, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ვაჟას შესახებ წიგნების კითხვას, თავად ვაჟა-ფშაველას დაწერილების კითხვა სჯობს...

არაგვისა და იორისა, ენგურისა და რიონისა...

2010 წლის სექტემბრის დასაწყისში კინოექსპედიციაში ვიყავი გიორგი ოვაშვილთან და მის ქალიშვილ ელისაბედთან ერთად დასავლეთ საქართველოში, — ანაკლიიდან ზუგდიდამდე ავუყევით ენგურს, იმისი მოყოლილები ვისმინეთ გულდასმით და ფოთიდან ლამის სამტრედიამდე დავიარეთ რიონიც — ის კიდევ თავისას გვიყვებოდა...

იქიდან ლიხის ქედზე გადმოსულებმა ბატონ რეზო ჭეიშვილს მივაკითხეთ ქვიშხეთში – იქაური დიდი ხეების ძირში ისხდნენ ის და მისი რამდენიმე თანამეინახე და დაგემოვნებით შეექცეოდნენ ღვინოს.

მივედით, საზამთრო გადმოვიღეთ და არომატული სურნელის მქონე ნესვიც...

ეს მაცივარში შეინახეთ და ჩემი ნაყიდი საზამთრო გამოუტანეთ ამათო, ბრძანა ბატონმა რეზომ და მე შემეკითხა, რას დალევთო.

მე ღვინო არა, მე უფრო მაგარი სასმელები შემიძლია-მეთქი, და მოატანინა არაყი, ეს ნახე, როგორ მოგეწონება, გომიდან გამომიგზავნესო.

ვნახე, აბა, არ ვნახე?

და ისე ვნახე, რომ სუფრიდან ვეღარ მოვყავდი ჩვენი კინოექსპედიციის დანარჩენ წევრებს, — ჭეიასთან ქეიფს რა სჯობია-მეთქი?!

თან ისეც არ ვიყავი, რომ არ მომებოდიშა — მაპატიეთ ფამილარობა, ბატონო რეზო, მაგრამ მართლა ჭეია ხართ და რა ვქნა-მეთქი...

ჭეია ვარ, კიო, — ეცინებოდა ბატონ რეზოს და ჩვეულებრივი ხმით, ნირშეუცვლელად ისეთ ხუმრობას იტყოდა, მაშინვე რომ არ გაგეცინებოდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე რომ მიხვდებოდი, ხარხარის შეკავება ჭირდა...

ჰოდა, აბა, ადვილი იყო ჩემი წამოყვანა იმ სუფრიდან?

ბოლოს, მაინც რომ მომერივნენ და წამოვდექი, რეზო ინანიშვილზე მეუბნებოდა ბატონი რეზო – ის იყო ჩემი ძმაკაციო...

და ჩემი ეკიპაჟის წევრებს შევემუდარე – ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთ-მეთქი, მხოლოდ ერთი, ერთადერთი...

და – კაი, ჯანდაბას შენი თავიო.

ბატონო რეზო, ჩვენო საყვარელო მწერალო, სინამდვილეში ჩვენო კარგო ჭეიამეთქი – აქ კი საბოლოოდ გავილაღე – თქვენმა სეხნიამ, რევაზ ინანიშვილმა ეგრე დაწერა თავის „სამაგიდო რვეულებში“, რომ:

„რა ხდება, რატომ მაკრთობს რაღაცეების ხსენება თავიანთი ნამდვილი სახელებით? მაგალითად, იორი ან არაგვი. ყოველი მათი ხსენებისას ისე ვღელავ, თითქოს ჩემს თანამედროვე დიდ ადამიანებზე ვლაპარაკობდე და იმისი ფიქრი მქონდეს, არ გამინაწყენდნენ ეს ადამიანები. არადა, როგორ სულგრძელად არიან გაშლილნი ერთიც და მეორეც, როგორ ანათებენ თავიანთი კეთილშობილებით... გამორჩევით შემოდგომაზე“.

ჰოდა, მეთქი – აი, ამ არაგვსა და იორს მე ენგურსა და რიონს დავამატებ და დიდი მოკრძალებით ვსვამ ამათიც და კიდევ სხვებისაც, ყველა ჩვენი მდინარის სადღეგრძელოს...

გაიგო თუ არა ეს სიტყვები, აქამდე ღიმილით ჩემსკენ მაცქერალმა ბატონმა რეზომაც წამოიწია, წამოდგა და – ჯერ ხომ ყელში ბურთგაჩხერილმა „გაუმარჯოს!“ მეტი ვერა თქვა რა და, დედას გეფიცები, რომ დავაკვირდი, ცრემლი ჰქონდა თვალებზე მომდგარი, ცრემლი... რაკიღა მართლაცდა პირდაპირ გულზე ჩამოდის ეს მდინარეები...



გია
ხომერიკი

სიცოცხლე

მე ვარ ვარსკვლავთა სისხლხორცი,
შვილი მნათობთა სიმართლის...
მე სიკვდილს მერეც ვიცოცხლებ
სიცოცხლის სიცოცხლისათვის!

MARIA

ცხოვრებისეულ შიშის ფიქრებით
მეძინა, გნახე!.. კვლავ გამეღვიძა...
ვინძლო თუ მერეც კვლავ **შენ** იქნები,
ვინძლო თუ **შენი** ნახვა მეღირსა!

ბრძენი ჰანგი

ზომიერ და ლამაზ ჰანგებს
ვუსმენ – ვხედავ ჰელლადას,
ბრძენი გენი ნიჭს განაგებს,
როგორც ღვინო ხელადას...

ლუკას

ჩემო პატარა ლუკა,
ოცდაოთხისა გახდი!
დარდი და სევდა – უკან,
წინ – გამარჯვების ვარდი!

განწყობა

გარშემორტყმული იდუმალი ატმოსფერათი
დაბნეული და მარტოკელა ბნელეთში დგახარ,
სულის სიღრმეში მაინც მზეა ცხრათვალფერადი...
და კარგად ხედავ: კარგად იცი: ვინ ხარ და რა ხარ!

სიზარმაცე და ლექსი

ჩემ სიზარმაცეს ვუცქერ სცენიდან –
დარღვეულია თეატრის წესი –
ერთი ლექსი რომ დამაწერინა,
ისე კი არა – ნამდვილი ლექსი!

წვიმის პოეტი

წვიმაო, მოდი, მოდი,
ნუ ეფარები ღამეს,
ნუ ითმენ რამე დრომდის;
მწყემსი გვჭირდება არვეს.

მე ამას ვამბობ, რადგან
მიწა და ზეცა სხვაა,
ღმერთმა მათ შორის ჩაგდგა
ხიდად, რომელიც ზღვაა.

ზღვაა ლაჟვარდის ფერის,
ზღვაა, რომელა ხიდი
ზეცის და მიწის, წერის,
ბედის, რომელიც მიდის.

იქ, სადაც ღვივის საშო
და იბადება კაცი,
ღმერთი წვიმებით აშრობს
ცრემლს და ნაწვიმარ არწივს.

ამიტომ ცრემლით გწირავ
გულს, რათა წვიმა მეცვას,
ფეხქვეშ მეცლება მიწა,
ფეხქვეშ მეცლება ზეცა.

ამიტომ მინდა გითხრა,
მე ვარ ის ხიდი, სადაც
სიცოცხლეს ბადებს თიხა,
ბნელი და მასთან – სადაც.

წვიმაო, მინდა გითხრა,
რომ წვიმაც, ზღვაც და ქალიც,
ხიდიც, არწივიც, თიხაც,
პოეტიც ერთი არის!

ერთია, რადგან ქვეყნის
ათასფერადი თვალი
მიწაზე არის ქვეყნის,
ვით ფირუზ-ზურმუხტ-**ვალი**.

ვალი მიწის და ზეცის,
პოეტის ნაწვიმარის,
არწივის, ხიდის, მხეცის,
მუდამ რომ მათში არის.

იბადება და მერე
აღარასოდეს კვდება...
და მე გიკოცნი ხელებს
და მიყვარს შენი კდემა.

ამიტომ ცრემლით გწირავ
გულს და ცრემლებით გესავ...
ფეხქვეშ მეცლება მიწა,
ფეხქვეშ მეცლება ზეცა.

წვიმაო, მოდი, მოდი,
ნუ ეფარები ზეცას,
რა იცი, კიდევ როდის
ფრთებს ჩვენზე გადმოკეცავ?!

ერთხელ

გზად მივდიოდი ვერისკენ,
ვერა ძალიან მიყვარს,
შემომხვდა ჩიტი ფენიქსი,
ძმები ვიყოთო – მითხრა.

მუზას

ჩემო დედოფალო, ჩემო მბრძანებელო,
ჩემო მბრძანებელო მუზა,
გახშირებულა ვენახში სარეველა,
შენ იცი, რასაც უზამ!

პოეტი

სულ ვფიქრობ, როგორ გავხდი პოეტი,
ჩემი ლექსები მირჩება ოხრად,
უცებ განათდა... და გონს მოვედი:
სუყველაფერი თავისით მოხდა!

ხვეწნა-მუდარა

უცხო ბუნების კაცი ვარ,
ვერავის ველარ გავუგე,
გულს ყვავილები მაცვივა,
არა თქვათ ჩემზე აუგი.

წვიმა და ქარი ანუ წვიმის ანბანი

I.
როცა ბათუმში წვიმს,
თბილისში მაშინ ქარია,
როცა თბილისში ქარია,
ბათუმში მაშინ წვიმს.
წვიმა ბათუმის ქმარია,
ბათუმს რაღაცა სწყინს,
ბათუმს რაღაცა სწყინს,
სწყინს და მერე რა ძალიან.
აჰ, ღვთისმშობელო მარიამ.
ჩვენთან ჩამოდი ძირს!

II.
ბათუმში ახლა წვიმს,
აკი თბილისში ქარია,
ვიღაცას რაღაც სწყინს,
სწყინს და მერე რა ძალიან.
როცა თბილისში ქარია,
ბათუმში მაშინ წვიმს,
ბათუმი პატარძალია,
ბათუმში მუდამ წვიმს,
ბათუმში მუდამ წვიმს.
მუდამ და მუდამ წვიმს.
როცა ბათუმში არ წვიმს,
ბათუმში მაინც წვიმს...

III.
წვიმა ბათუმის ქარია,
იგი ბათუმში წვიმს,
არავის აუკრძალია,
ისიც მოდის და წვიმს.
ბათუმი წვიმის რძალია,
იქ გამუდმებით წვიმს,
ვიღაცას რაღაც სწყინს,
სწყინს და მერე რა ძალიან.
ახლა თბილისში ქარია,
ახლა ბათუმში წვიმს,
ახლა თბილისში ქარია,
ჰოდა, ბათუმში წვიმს.

IV.
წვიმა ბათუმის ქმარია,
იგი ბათუმში წვიმს,
როცა თბილისში ქარია,
ბათუმში მუდამ წვიმს.
წვიმა ბათუმის ქმარია,
ბათუმს რაღაცა სწყინს,
როცა ბათუმში არ წვიმს,
ბათუმში მაინც წვიმს,
როცა ბათუმში არ წვიმს,
ბათუმში მაინც წვიმს,

აჰ, ღვთისმშობელო MARIA,
ჩვენთან ჩამოდი ძირს!

აჰ, ღვთისმშობელო MARIA,
ჩვენთან ჩამოდი ძირს!

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

გალაკტიონი: აი, პოეტური ენის დიდი მოთამაშე!

„**თუ** საიქიო არა სჯობს ამ სააქაოს წყეულსა, ერთ კაცს ხო მაინც ვნახავდი, იქიდან გამოქცეულსა...“ ხალხის დასკვნა უშეღავათო: პესიმიზმის გამაოგნებელი შხეფი!

ლექსები იყო პოეტური ენით მოთამაშის გულისცემის გადმოწერა, ერთგვარი ნუსხა: სულიერი კარდიოგრამა...

მთვარის თვალები. რას ხედავს მთვარე? „ნეტაინ შენა, მთვარეო, რო ყველაფერსა ხედაო, ფშავშიოთ არი ქორწილი, ტოშიოთ სადამ ტყვრებაო, თამაშობს წითელკაბაი, რაკი არ შაუხდებაო...“ მთვარის თვალები ქორწილსაც ხედავენ და მწუხარებით დადაღულ გულებსაც... ქორწილში მოცეკვავე მკლავებგაშლილ წითელ-კაბა წაწალსაც და ცრემლდამდინარ ჭირისუფალსაც!.. ყველაფერს ხედავს და გრძნობს და იმათ უგზავნის თავის უკვდავ ყვავილებს... მთვარის თვალები...

მაშინ წარსულში გაიხსენა მომავალი და ატირდა უნუგეშოდ უფალი ჩვენი: იესო ქრისტე...

შეხედე: ადამიანი მოწმეა; ადამიანი სიმარტოვის დაძლევაა; ადამიანი სიმარტოვეა!

ჰადესში ჩასულ ოდისევსს ურჩევენ, რომ ტირეზიას მკითხაობის სანაცვლოდ შავი ცხვარი შესწიროს... ჩვენშიც ასე იყო: შავი ფერის ცხვარს სწირავდენ ხთონურ ღვთაებებს...

მეტაფიზიკის მიმზიდველ მხარეში სიცოცხლე ნონსენსია! სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე სიცოცხლე მხოლოდ ხელის-შემშლელი ტვირთია და მეტი არაფერი! სიცოცხლე ცოდვების შესაკრებელია და სიცოცხლესთან ერთად ცოდვილობის ბრალიც გვტოვებს!.. მხოლოდ ამის შემდგომ იხსნებიან გზანი სამოთხისანი...

ჯემალ დავლიანიძის ორი შესანიშნავი მოთხრობა ძაღლზე: ორი საოცარი ამბავი... ერთი რუსეთში მოხდა, ხოლო მეორე – საქართველოში... ქსანტიპეს ძაღლის ამბავს კი ვერაფერი შეედრება: ძველმა ბერძნებმა ამ ძაღლს ასეთი პატივი მიაგეს: დააარსეს ძაღლის დღე: ძაღლის სიყვარულის დღე. ძაღლმა ხომ საოცარი სიყვარული იცის: აქედან მოდის მისი ერთგულება, გონიერება, სიმამაცე...

აი, მწერალი: მან შექმნა თავისი ხატი; ამ ხატთან ერთად წინ მიიწევს ლიტერატურის „ეკლიან გზაზე“... ძნელი გასარკვევია, რომელია მთავარი: მწერალი თუ მისი ხატი! ბევრი ვინმე ამ ამბავს ღიმილით უყურებს, მაგრამ ღიმილი რას უშველის? ვფიქრობ, ეს ირონია გზაგამრუდებულის გზას უფრო გაამრუდებს!.. და საით წაიყვანს, ვინ იცის!

მერწმუნე, ამგვარი რამეც ითქმის: ადამიანი სიყვარულით ვერ გაძღება, ისე, როგორც წყურვილით გახელებული ხარი ვერ გაძღება ლორთქო ბალახზე შერჩენილი დილის ცვარ-ნამით... სიყვარულით დაკმაყოფილებაც ხომ ასევე უკმარი და უმნიშვნელოა... ასეა: ზღვა სიყვარული, რასაც ხორციელის გული მიელტვის, არ არის: არც ცხოვრებაში, არც სიკვდილში, არც რწმენაში, არც ურწმუნობაში... არსად, არსად!..

ეგა ქართულ სიტყვებს სულს აცლის და რეზინად გადაადნობს... მერე ამ ნადნობის სტრიქონებს ჩამოასხამს: ხელთა გვაქვს უსულო რამ: რეზინის პოეზია!..

დამიჯერე: როგორც ჩანს, სიცოცხლე პატივმოყვარეობის, საკუთრების, სახელის დაგდების და კიდევ სხვა რამერუმეების დაუოკარი წყურვილია, ხოლო სიკვდილი ყოველივე ამის სრული და საბოლოო უარყოფაა!..

დიდი თავისუფლება: როცა გრძნობ, რომ მკითხველი უკვე აღარა გყავს და შენ არაფერზე პასუხისმგებელიც აღარა ხარ – იმ ფრინველივით, თავის ნებაზე, გინდ მაღლა რომ ფრენს და გინდა უფრო დაბლა, სულ დაბლა, დაბლა...

რაო, რაო? ახალი გენიოსი?.. ამის გამო უდაოდ გაიღიმებენ წარსულის დიდი პოეტები: ჰომეროსი, კოჰელეთ, ლაო-ძი, საფო, ციუი იუანი...

„**რომელ** ვარ“: ეს ზეციერის სიტყვებია. თავისთავზე ამის მეტი მას არაფერი უთქვამს: ის დუმს!.. „რომელ“, ვინც ყველგანმყოფი არარაა. „რომელ“, ვისი სახელიც აღარავის ახსოვს, აღარავინ იცის და... რწმენის სივრცეც თავისუფალია: რწმენა აქ შეუზღუდავია, უკიდეოა, ყველგანმყოფია, განუსაზღვრელია, როგორც თვით „რომელ“... ადამიანთა მიწაზე თვით ყოველ კენჭსაც კი თავისი სახელი ჰქვია; ტყის კიდეგან მდგომ ყოველ ხესაც თავისი სახელი ჰქვია... და როგორაა, რომ ეს უსაზღვრო ვინმე, ეს ყველგანმყოფი ვინმე, თავისთავს „რომელს“ რომ ეძახის, ვინც კაცობრიობა მოწაფედ აიყვანა, გვერდით დაიყენა, რადგან დიდი შემოქმედების შემდეგ გულისდამფლეთი სიმარტოვე არ ეგრძნო... და ესეცაა: ის მარტო აღარ არის! მისთვის ყველაზე ახლობელი და ყველაზე მთავარი არის კაცობრიობა, ვისი გულისთვისაც მას საკუთარი ნაშიერის გაწირვაც კი შეუძლია: ეს ადამიანთა გულების განზომილებას სცილდება და ამის გასაცნობიერებლად საჭიროა ქადაგება და ლოცვა ყოველდღიური... „რომელ“, ვისი სახელიც აღარავის ახსოვს, გარდა ერთადერთი დიდი პოეტისა; ის დაბეჯითებით იტყვის: „რომელმან შეჰქმნა სამყარო“...

აუტიზმი, როგორც ავადმყოფობა!.. უნდა ვაღიარო: ბავშვობიდანვე რომ ამ სენით მე ვარ სნეული!

მიხეილ ჯავახიშვილის ენა: თითქოს შემკრთალი ჩიტი უჭირავს ხელში და წურავს, წურავს გამეტებით! ეს პროცესი ჩქარა მთავრდება და ვერავინ იტყვის, ამის შემდგომ ეს ჩიტი ფრენას შესძლებს თუ არა!

დიდი პოეტი, ღვთიური ნიჭით ცხებული გიორგი ლეონიძე განეკუთვნებოდა საბჭოთა ფუნქციონერი მწერლების რიგს, იყო მრავალგზის პრემირებული, მაგრამ მასაც უჭირდა თურმე!.. ხშირად შემეხმიანებოდაო, წერს მისი ძმისშვილი, ნიკო ლეონიძე, ფული მისესხე სადმეო... შემდეგ ვალს თურმე გაორმაგებულს უბრუნებდა... ახლა გავიხსენოთ ხელმოკლე გალაკტიონი, გავიხსენოთ უპოვარი ტერენტი გრანელი, გავიხსენოთ ლადო ასათიანი... მათი გაჭირვება ხომ საქვეყნოდაა ცნობილი. ხოლო უფრო შორს დავით გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა... დიდ პოეტებს გაჭირვებაც დიდი დაატყდებათ ხოლმე... ბედისწერა მათ მხოლოდ პოეზიაში ანებივრებს!

ქვის შობა დიდი, შემზარავი წყევლის შედეგი იყო: აქ ცილისწამების უარყოფა კი არაა მთავარი, არამედ – წყევლის ძალა!

მეკითხები, მაგრამ, აბა რა გითხრა? მოიხელთე, იგრძენი სიტყვის შეცნობის ჟამი, სიტყვის სული, ხასიათი... მოაშინაურე სიტყვები, ხმები; აიყოლე თამაშში... ერთიმეორეს დაუმეზობლე, შეაერთე მათი გულები ემოციის ნაცადი მასალით... შეარიგე ისინი... თუ ამას შეძლებ, ჩათვალე, რომ სამშენებლო მასალა უკვე გაქვს, მაგრამ გაკლია უმთავრესი რამ: წარმოდგენა იმისა, რაც უნდა აღაგო... სად მოიძევ ამ უმთავრესს? ვინ მოგიტანს? ვინ უნდა ჩარიო? ფიქრი? ფანტაზია? ადამიანი? ღმერთი? ამის გამო მე ვერაფერს გეტყვი. ოღონდ ამას დაბეჯითებით გეტყვი: ამ კითხვებს ვინც პასუხს გასცემს, პოეტიც ის არი!

დამიჯერე: ყველამ თავის გულში გამოაცხადოს მორატორიუმი ავზნიან მეტყველებაზე, ლანძღვა-გინებაზე, ცოფიან ღავღავზე, ქართული ენის შეურაცხყოფაზე!.. ნუთუ არ დაიღალნენ? ამდენი შხამის ნთხევა, ამდენი ქილიკი, ამდენი სიბილწე!.. ვგონებ, რომ დაიღალნენ და მრავალჭირნანახი მკითხველიც საკმაოდ დაქანცეს! თანაც, თავგზაც აუბნიეს, ჭეშმარიტების ძაფი დააკარგვინეს, წიგნი და გაზეთი შეაძულეს! ამაზე მეტი რაღა უბედურება უნდა დამართო შენს ენას, შენს მწერლობას, შენს ჟურნალისტიკას!.. ამაზე მეტად როგორღა უნდა გააბითურო და დაანაგვიანო ქართული სული!

ყოველ მწერალს ინდივიდუალური, გამორჩეული და განსაკუთრებული საწყაო სჭირდება მისი ნამდვილი წონისა და სიღრმის ასაწონ-გასაზომად. როგორც კი ამ საწყაოს შევქმნით, იმავე წამს ნათელი გახდება, ვისთან გვაქვს საქმე, როგორი ძალღონის მწერლის პირისპირ ვდგევართ... ამ საწყაოს გარეშე მწერალს ვერ ვიგრძნობთ, ვერ გავსაზღვრავთ ძირისძირამდე. ასე: ვეძებოთ მწერლობის შესაბამისი საწყაო და არა საწყაოს შესაბამისი მწერლობა.

ხატის ტყე ღმერთისთვისაა შეწირული. ამ ტყეში უფალს მიერთმეოდა ნერგი კეთილი... ეს ტრადიცია ესაძირკვლება ხატის ტყის კულტს. მახსოვს, ახალგაზრდობის ჟამს ასე გვმოძღვრავდენ უფროსები: ხატის ტყისაკე თოფი არ გაიშვიროთო; ხატის ტყეში შეფარებულ ნადირს არ ესროლოთო და ა.შ. ხატის ტყე იცავდა ნადირს, ის იყო კვრივი, ხორციელისაგან შეუვალი ალაგი, ტაბუდადებული მიწა... იქიდან შეშის გამოტანაც იკრძალებოდა... ხოლო თუ დამნაშავე კვრივში შეგასწრებდა, იქ ხელუხლებელი, ხელშეუხები, და ხელშეუვალი ხდებოდა... ლეგენდები ამბობენ, რომ ჩასაქოლად განწირული ადამიანი ხშირად ხატის ტყეს უხსნია... ოღონდ ეგ იყო: მოძალადე გადამთიელს, მამულის მტერს ხატის ტყე ვერ იცავდა, რადგან სამშობლოს დასახსნელად შეჭურვილი მეომარი ღვთის მხედრად ითვლებოდა და მას ხატის ტყეში თავისუფალი ქმედების უფლება ჰქონდა და ამ უფლებას იყენებდა კიდეც!..

უჩინარი მკითხველი, ვისთვისაც დღეს ვწერთ, სადღაც არის, რომელიღაც დროში არის, რომელიღაც მომავლის საუკუნეს მიჰკვალავს, მიდის... ის ამ გზასაც გაივლის, რომლის ახლოსაც შრიალებს ლექსის სისხლდანაშხეფი ფოთლები ღვთაებრივი მცენარისა... ხოლო ჩვენ მის შორეულ წარსულში ვიმყოფებით და აქ გვინდა მისი ამოცნობა, მისი უჩინარი გარეგნობის დანახვა!

ედგარ ალან პოს მომცრო ტომი, პორფირე იაშვილის ნათარგმანები. ტომში სულ ოთხი ლექსია: მსოფლიო პოეზიის ოთხი შედევრი! თარგმანი მოსაწონია, ოღონდ: მომეჩვენა, რომ მთარგმნელს დიდიხანია „ვეფხისტყაოსანი“ არ წაუკითხავს! ვიტყვი პოს მომავალი მთარგმნელების გასაგონად: ედგარ პოს პოეზიამდე მისასვლელი გზა შოთა რუსთაველის შედევრზე გადის! პოეტო მთარგმნელებო, კიდევ ერთხელ და მრავალგზის წაიკითხეთ „ანდერძი ავთანდილისა“, წაიკითხეთ და გულში ჩაიკარით!

საშიში სიცარიელე. ამას გულბოროტ კაცზე იტყვიან...

PIA FRAUS: ასე იტყოდნენ ძველი ლათინები. სიცრუე, რაც კეთილ საქმეს განაპირობებს...

შხამდალეული პოეტები: ეს არის ერთი კასტა პოეტებისა. მათ გულებს სამყაროს შხამი ეშხეფება. მათი დარდი შხამშია ნაწები. ისინი ითვისებენ ყოფიერების შხამს, ხარბად ეწაფებიან და ამ შხამის გამოა შემზარავ შუქს რომ ასხივებენ მათი ლექსები! ვინ არიან ისინი? რა ქმნის მათ? რა ესაძირკვლება იმათ მზერას, შხამნასვამ სიტყვას, შხამნასვამ პოეზიას?

წინასწარ არავინ იცის, რა შეხვდება სულის ამოცნობის გაუვალ გზაზე: ეს შესაძლოა იყოს უფსკრულები, ამაზრზენი ქანჩახები, სადაც ეგებ სიმართლეც დაკარგო და სულიც უნუგეშოდ გაგიფრინდეს... და ეს გზა რომ გააიოლო, ასატანი რომ გახადო, ამისთვის შენ მოგიწევს ენის წიაღში გადასახლება და იქ მოძიება ყოველივე იმისა, რასაც მედიტაციური ჩაძიება ჰქვია და ზოგჯერ, რაღა თქმა უნდა, შეცდომით, სულიერ ცხოვრებასაც რომ არქმევენ... თუმცა ეს პროცესი სულიერი ცხოვრების შესასვლელი კარის ძიებაა მხოლოდდამხოლოდ... ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა ვთქვათ რომ ეს არის სულიერი ჯოჯოხეთი, ჯაფა, რასაც, თავისი სიმძიმისა და ტკივილების წყალობით, ვერავითარ ქმედებას ვერ შევადარებთ... და, საბოლოოდ, იმის თქმაც კი არ შეგვიძლია, თუ რას მივაღწიეთ: ამოვიცანით თუ არა, აღვზარდეთ თუ არა ცოდვილი სული...

ის შესცდა: შეცდომა იყო უნებლიე!.. ჩვენ რა ვქნათ?.. როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ: ადამიანური შეცდომა ასატანია... ჰოდა: ავიტანოთ ადამიანური შეცდომა!

ქალურობა პოეზიაში. ქალთა პოეზია... ქალი პოეტი ღვთაებრივი ყვავილია, ხოლო ყვავილი დაუცველია!.. ისტორიამ იცის ანომალიები. ბუნებამაც იცის... ამორძალები თავის უფლებებს მახვილით იცავდნენ: ესეც ერთი ანომალია... ვფიქრობ, ქალის უფლებებს კარგად იცავს მისი სისუსტე და დაუცველობა!.. პოეტმა ხვარამზემ თავისი სიყვარულის უფლება ასე დაიცვა: ღობე შემოავლო თავისი შეყვარებულის ვაჟიკას ცხენის ნატერფალს... ხოლო საფომ თავისი სიყვარულის დაცვა საკმაოდ ფატალური საშუალებით სცადა: ლესბოსის კლდოვანი სანაპიროდან ზღვის ტალღებში გადაეშვა!.. სულის სრული გაშიშვლება. თან ცოდვა და თანაც ქენჯნის მიზეზი: უბედობის და დარდის სათავე!.. ვფიქრობ, ეს უფრო მძაფრად იგრძნობა ქალთა პოეზიაში!..

კონიუნქტურული ვითარების ათვისება და პოეზიად გადადნობა, რაც, თავისთავად, მასთან ერთგვარ მორიგებასაც გულისხმობდა, მოთვინიერებასაც (ასე აკაკი ბაქრაძეს მიაჩნდა!), მოლ-

ბობასაც და თვითგადარჩენის ძველისძველ და მრავალგზის ნაცადი უნარის გამოვლენასაც: ხოლო ეს უნარი საბჭოთა პოეტების უმეტესობამ გამოავლინა ზედმიწევნით და უნაკლოდ!.. თუმცა ამგვარ აზრსაც შეიძლება მივცეთ გასაქანი, რომ ეს კასტა მოდედლებული პოეტებისა, იყო დიდი პოლიტიკური გაუგებრობის მსხვერპლი, დიდი პოლიტიკური ტყუილით დაბრმავებული და გზასაცდენილი!.. მაგრამ ეს შედეგრები საიდანაა? რა მიზეზმა განაპირობა მათი შექმნა?.. ამის პასუხი ერთადერთია: ეს გადაქელილი და მოდედლებული კასტა მაშინ პოეზიის ღვთაებას მთლად არ მიუტოვებია!..

რუსთაველის კიდევ ერთი „უცნაურობა“. ლომგული ტარიელისა და მზეთამზე ნესტან-დარეჯანის დახასიათება ამგვარი: „მას დღეს ავთანდილ პატრონად ზის და ხელმწიფე ზენია, მასთანა მჯდომსა ტარიელს შვენიან სინაზენია, ნესტანჯარ ახლავს თინათინს, მჭვრეტელთა ამაზრზენია“... უფრო მისაღები იქნებოდა, ტარიელი რომ იყოს მჭვრეტელთა „ამაზრზენი“, ხოლო ნესტან-დარეჯანს „შვენოდეს სინაზენია“... მაგრამ რუსთაველი ამ გზით არ მიდის და ამასაც რამდენიმე ახსნა მოეძებნება. ვარაუდებიდან ყველაზე სწორია, აი, ეს: იმიტომ, რომ შოთა რუსთაველს ასე სურს!

ტრადიცია ყველა თაობასთან ერთად იბადება და განახლდება და ფერს იცვლის, მაგრამ ფესვს არ სწყდება: ის გულის მიწასაა მიბმული და, რაც არ უნდა შორს წახვიდე, რაც არ უნდა „ეცადო“ მისი გავლენისაგან თავისდაძვრენა, ის მაინც რაღაც უხილავი საცეცებით დაგეძებს და გპოულობს და მკვიდრდება შენში ისევ ხელახლა და არა გტოვებს, არა გცილდება, ისე, როგორც ღვინის სურნელი არა სცილდება ნაღვინევ ჭურჭელს... ტრადიცია არ შეიძინება: ის დედის მუცლიდან დაჰყვება ადამიანს, როგორც სულის თავისთავადობის ნიშანი, მთელ თაობასთან თანაზიარი რამ და ეს ნიშანი ყოველი ადამიანის სულში რაღაც ახალს იძენს, ახალი თვისებით აღივსება, სრულქმნილი და თანამედროვე ხდება... ეს არის სიმყარე, ლიტერატურულ ზნეობრიობას რომ ესაძირკვლება, მის სიმძიმეს რომ უძლებს, ავანგარდიზმის ნასროლი ტალახით მოსვრილ გულმკერდს რომ უშვერს დროის ავბედით ქარებს და სდგას ასე ურყევი და აურევნელი...

მხოლოდ სიტყვა გააღწევს ჟამის გაღმა: სხვა ეპოქებს მისწვდება და იცხოვრებს იმათ გულში და იმათი ცხოვრებით, ვინც იქ დახვდება, ვინც იქ იგრძნობს და ხელში აიყვანს... და აი, ის პასუხისმგებლობაც, რაც მწერალს აწევს: მან ხომ უნდა შეაერთოს სიტყვების გუნდი, სიტყვების ჯგუფი და იმას გადასდოს საღვთო ჰარმონია და იმას გაატანოს ემოციის შხეფები და გულის ნაფლეთები და ისე გაუშვას მომავლის საბედისწერო გზაზე: უცხო გულებში, უცხო სამყაროში შესაღწევად, უცხო სულების დასაგეზავად...

გიგრძვნია შემოქმედებითი ეჭვი? ის ხომ შემოქმედების დარდზეც უფრო მძიმეა. აი, ემაგ ეჭვით დადრეკილი მეუბნება: ვინ ვიქნები მომავლის თვალში, ლიბრეტისტი, თუ პოეტი?.. რა ვუპასუხო? არაა იმის ძალა მომავლის შორეთიდან რომ შემოვხედოთ ყოველივე ამას და გავერკვეთ, რა იქნება და როგორ იქნება! აქ და ამ ადგილას კი ასე ვიტყვი: თუ ლიბრეტოებს წერდი, ლიბრეტისტად მოგიხსენიებენ, ხოლო თუ წმინდა ლექსებს წერდი, მაშინ პოეტად შეგრაცხავენ... და არცერთი ეს ცუდი და სათაკილო არ არი და ორივეთი შეიძლება რომ იამაყო ცისქვეშეთში, ჩემო ეჭვით ცხებულო ძმაო!.. ასწიე თავი, ეჭვის ლოდი გადააგორე და იაზრე, რომ ამ სიმძიმით დადრეკილი მარტო შენ არა ხარ!

რეალობა კი შემზარავია: ლესბიანურ-პედერასტული პროსტიტუციის ზეობა, ავადმყოფური სექსის ვაკხანალია!.. სწორედ ესაა არეკლილი იმ უდღეურ ნაწარმოებში... ასე უნდა შევხედოთ და არა ისე, როგორც ავადმყოფის ნაბოდვარს... აქ სიტყვიერი ქსოვილია მკითხველის მაშოკირებელი და მიუღებელიც!.. თუმცა ეს „მწერლის“ პოზიციაა და ჩვენ აქ ვერაფერს შევცვლით... მხოლოდ თვით ავტორმა უნდა უპასუხოს, რატომ დაწერა მაინცდამაინც ასე და არა სხვაგვარად!.. მე მგონია, რომ აქ ჩვენი კლასიკის პარადირებით რეალობის აღწერის მცდელობა: ეს არის ამაზრზენი რამ!.. ეს არის ექსპერიმენტი, რასაც, ჩემი აზრით, გაგრძელება არ უწერია, რადგან ამგვარ „ლიტერატურას“ ჩვენი პურიტანი მკითხველი ვერ იგუებს!.. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ, ე.წ. ექსპერიმენტს ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორი არ უნდა გადავაყოლოთ: ვიყოთ მიმტევებელნი!.. ამგვარი ექსპერიმენტები ძველადაც იყო. გავიხსენოთ ქართული ფუტურიზმის ზეობის ხანა; ფუტურისტი შალვა ალხაზიშვილი წერდა: „მივალ რუსთველზე ორსული თავით“... „ხეები დგანან, ვით ფალოსები“... და სხვა... და სხვა...

როგორც ვიცით, ამ ბილწსიტყვაობიდან არც მაშინ არაფერი გამოვიდა!..

წყოგილსიტყვას, ფოლკლორს იმთავიდანვე მოსდევდა საავტორო უფლების დაცვის მოთხოვნა. „ლექს არვინ დაითავისოს“... „ამ ლექსის მთქმელი ვარიო“... და სხვა. ეს იყო ზნეობრივი პრინციპი, დაუწერელი, უშუალო და შესრულებადი... ამას ემატებოდა გასამრჯელოს, ერთგვარი ჰონორარის მოთხოვნაც: „ე მაგის გამამლექსები ალვანში თუშის ქალია, სალექსო გამამიგზავნეთ თითო შიშაქი ცხვარია, წინ ვაცი გამააყოლეთ, რქაზე დაჰკიდეთ ზარია, გულდათუთქული დავდივარ, მეც იქ მამიკლეს ქმარია“... და კიდევ: „ლექს არვინ დაითავისოთ“ – ეს იყო საკუთრების ბეჭედი: შემოღობილი სივრცე...

ერთი ფრანგული სენტენცია: გენიოსები პროვინციაში იბადებიან და პარიზში კვდებიანო... იგივე შეიძლება ვთქვათ ჩვენს გენიოსებზეც: მათი უმრავლესობა სწორედ სოფელში დაიბადა და თბილისში აღესრულა: ეს არის დიდი სახელები: ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები, და სხვები...

მაშინ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი რეზო ინანიშვილზე „პოეტური რეკვიემი“. იმდღესვე დამირეკა. „ჯარჯო, შენი ფიქრით, როგორი წიგნი გამოვა, ჩემზე დაწერილი კარგი წერილები რო შევკრიბო და ცალკე გამოვცე?“ ვიგრძენი „კარგ წერილებში“ ჩემს წერილსაც გულისხმობდა და სხვა ისეთ წერილებსაც, პანეგირიზმის ამაზრზენი სუნი რომ არ დაჰკრავდა. ეს შეხმიანება მე მივიღე ერთგვარ მადლობად და დავეთანხმე, კარგი წიგნი გამოვა-მეთქი... მაგრამ ამ წიგნის შედგენა-გამოცემისათვის ეტყობა ვეღარ მოიცალა, შესაძლოა მკითხველსაც მოერიდა; შესაძლოა ვერც მოასწრო!.. მოგვიანებით ეს წიგნი მაინც გამოვიდა: „დაგვიანებული რეკვიემი“. წიგნი შეადგინა ჩვენმა დაუღალავმა და გულისხმიერმა ჯუმბერ თითმერიამ. წიგნი გამოვიდა რეზო ინანიშვილის 80 წლის საიუბილეოდ... და ეხლა იგივეს გავიმეორებ, რაც მაშინ ვუპასუხე: კარგი წიგნი გამოვიდა: რეზო ინანიშვილის დიდ სახელს რომ შეშვენის, სწორედ ისეთი!

გმიროზის შეგუბებული წყურვილი ხალხმა ყაჩაღების სახელებში გადაადნო. გავიხსენოთ: ხარება და გოგია, გოგია ჭიჭოშვილი, გოგია წიკლაური და სხვანი... და სხვანი... გმირობის გამოვლენის თავისუფალ უნარს როგორც კი დაიბრუნებს, ხალხი მაშინ უკვე თავისუფალია... ხალხი მაშინ შობს გმირებს, შობს ლეგენდებს: წერს თავისუფალი სულის ბიოგრაფიას...

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გალაკტიონს შეუდგენია თავისი შვიდტომეულის განხილვის გეგმა: ყოველი ტომი ცალცალკე უნდა განხილულიყო და ყოველ ტომს სხვადასხვა მომხსენებელი ჰყავდა; განრიგი ასეთია: I ტომი: მომხსენებელი ვახტანგ ჩხაიძე; II ტომი: მომხსენებელი ბესო ჟღენტი; III ტომი: მომხსენებელი არ იკითხება, ვგონებ, შალვა დემეტრაძეა; IV ტომი: მომხსენებელი ვანო წულუკიძე; V ტომი: მომხსენებელი დიმიტრი ბენაშვილი; VI ტომი: მომხსენებელი ბესიკ ადეიშვილი; VII ტომი: მომხსენებლები ეთერ შუშანია და სერგი ჭილაია; ეს პროექტი, რაც მაშინ ვერ განხორციელდა, ამით არის საგულისხმო, რომ მომხსენებელთა შორის სჩანს სრულიად ახალგაზრდა ბესიკ ადეიშვილი... ჯერ კიდევ მაშინ ენდობოდა დიდი გალაკტიონი ბესიკ ადეიშვილს, მთლად ჭაბუკს, მაგრამ ნიჭიერების ცეცხლით აღსავსეს: მან ბესიკ ადეიშვილს მეექვსე ტომის განხილვა ანდო. დიდი პოეტი, ცხადია, არც შემცდარა!

მოდი, ესეც დამიჯერე: პოეზიად შეიძლება გადადნეს ბევრი რამ, ოღონდ უზნეობა პოეზიად ვერ იქცევა, რადგან პოეზიის მკვებავი სიკეთის ფესვი არა აქვს, ეს მთავარი რამ არა აქვს! ამას უნდა შეეგუოთ!..

თარგმანი კარგი გამოდის მაშინ, როცა იმ თამაშს იზიარებ, რასაც სათარგმნელი პოეტი გვთავაზობს!.. სხვაგვარად ყოველგვარი მთარგმნელობითი სიზუსტე და ბუკვალიზმი წყალში ჩაყრილი და გაუმართლებელია... მოდი, ვითამაშოთ სხვისი თამაში: ვთარგმნოთ კარგად!

სიუჟეტი ფანტაზიის შედეგია: რეალურ ცხოვრებას სიუჟეტი არა აქვს: ის არის უსიუჟეტო, უძაფო...

შემოქმედებითი ეჭვი, მწერლობას რომ თანასდევს, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ადამიანურ საქმეთა წარმავალობას, გვიცხადებს არასრულყოფილების შიშს და ამგვარ დასკვნასაც გვაძლევს: წარუვალი და მარადიულია მხოლოდ ღვთიური საქმე და ის არავითარ ეჭვს არ იწვევს: უეჭვოა, დროის გარეთ მდგომია...

შემოქმედებით-ქმნადობის თამაშში მონაწილეობენ: 1. განუსაზღვრელი რამ სიდიდე, თვალუწიერი რამ, უხილავი, ინტუიციის გზებით რომ აღიქვამ, ყველგანმყოფელი და ყოვლისმეცნაური, დიდმა პოეტმა “რომელ” რომ დაარქვა... (თენგიზი ან პეტრე რომ რქმეოდა, ხომ არ გაგიკვირდებოდა! მაშ, “რომელ” რატომ გიკვირს?). რომელ ჰქვია, მორჩა და გათავდა!.. 2. ინტუიცია, ქმნადობის ჟამს რომ გაგიცხადებს: შემოქმედებითი დარდის ბურუსში რომ ჩაეშვები, სწორედ იმ მომენტს რომ დაგანახვებს, როცა ეს საჭიროა: არც გვიან და არც ადრე!.. 3. შემოქმედებითი დარდი, ოდესღაც განწყობას და მუზას რომ ეძახდნენ. ამას დიდი ახსნა-განმარტება აღარ უნდა: დარდია, დიდი დარდია და ეგაა, რაც არი!.. 4. გონი, გონება, რასაც ეს ყოველივე ადამიანურ განზომილებაში გადმოჰყავს და არ ტოვებს იმ სიტყვიერ ქაოსში, რაც მხოლოდ სიგიჟეს შეედრება!.. 5. ყნოსვა, სმენა, თვალი და აღქმის სხვა ორგანოები მიგაცილებენ ამ ბეწვის ხიდზე, რომ ესთეტიკის საზღვრებს არ გასცდე, რომ გაუთვალისწინებელ უფსკრულში არ გადაეშვა!.. და კიდევ: კალამი და სუფთა ფურცელი!.. და ბოლოს: წერტილი, ამ თამაშის დასასრულის მაუწყებელი...

„**სახე** მისი იყო, როგორც ელვა და სამოსი, სპეტაკი, როგორც თოვლი“ (მათე. 87.3) ანგელოზი, რომელიც გამოეცხადა მარიამ მაგდალელს და მეორე მარიას აღდგომის კვირა დილით ქრისტეს სამარხის შესასვლელთან...

მეუბნება: ეს შავი ფიქრი მაძრწუნებს: ხომ არა ვქმნით იმნაირ ქვეყანას, იმგვარ საზოგადოებას, სადაც ბედნიერი და ადამიანური ცხოვრება შეუძლებელი გახდება?! ხომ არ ვაშენებთ იმ სახელმწიფოს, სადაც მდიდარს თავისი სიმდიდრის შიში შეჭამს, ხოლო ღარიბს მარადიული სიღარიბის მწარე ხვედრი გააბითურებს? ჩვენს ცას უპერსპექტივობის ღრუბლებით ხომ არა ვბურავთ?

მერწმუნე: ყოველი კაცის სიკვდილი ბოლოს უღებს მთელს სამყაროს: იმ სამყაროს, რაც მან შეიცნო, იგრძნო და გაითავისა, რაც სხვების „სამყაროებს“ სულაც არა ჰგავს!

მოდი, ავაღორძინოთ ღვთითკურთხეული პოეტური მგრძნობელობა, გული... ამის გარეშე თანდათან ჩაკვდება ჩვენი პოეზია!.. ავაღორძინოთ პოეტური მგრძნობელობა, თუნდაც დაობებული წარსულიდან ამოსული რომანტიკოსები დაგვარქვან... ავაღორძინოთ გული, გავაცოცხლოთ პოეზია, გადავარჩინოთ ქართული ლექსი!..

ტერენტი გრანელის ერთი სურათი: ცას რომ შეჰყურებს; იქ უდაოდ ეძებს სინათლეს, რომელიც არ არის, არ არის! აქედანაა მისი პოეზიის სკეპსისი უსაშველო!..

მედროვე დრო! მედროვე პოეტი! მედროვე პოეზია!

საიდან იწყება დიდი მწერლობა? ახალგაზრდა ბოდლერი დაიმოწაფეს ბალზაკმა, რონსარმა, ედგარ პომ, გოტიემ, ფლობერმა და სხვა დიდმა მწერლებმა... ხოლო შემდგომ თვით ბოდლერმა დაიმოწაფა მრავალი პოეტი: ლამის მთელი მსოფლიო პოეზია!..

არ უნდა მოკვდე დროზე ადრე: მაშინ, როცა ბევრი მიზანი გაქვს აღსასრულები: ბევრი წიგნი დასაწერი და გამოსაცემი და წასაკითხი კიდევ უფრო მრავალი!.. ეს გინდა შენ, ეს იცის მედიცინის სასწაულებმა და, საბედნიეროდ, ეს იცის იმან, ვინც ყველაზე მაღლა სდგას!

ედგარ პო, შარლ ბოდლერი, ალექსანდრ ბლოკი, შოთა ჩანტლაძე: მუხთალი ბედისწერის განჩინებით ორმოცი წლის ასაკში აღსრულებულები!..

ამოვიცანი „სისულელის ქარი“: მან გადამიარა მოულოდნელად და ყველაფერს ნათელი მოეფინა, მათ შორის, ჩემს დარჩენილ სიცოცხლესაც: მე აღარ დავუბრუნდები ქალაქის ყოფას, ქალაქის ერთფეროვნებას, რუტინას! რასაც გადაწყვეტ, კიდეც უნდა აღასრულო!.. მთებშია ჩემი ადგილი: აქ ბევრია ჰაერი და ბევრია სიბნელეც, რომლის წიაღშიც დიდებულია პოეტური ენის თამაშობები... სიბნელე და მისი იდუმალება: ეს მერგო მე მსოფლიო პოეზიის წილისყრის ჟამს; მე ავირჩიე წყვდიადის ეს შემზარავი გარემო: მარადისობის შავი ნაპირი, უკუნეთი, სადაც მიექანება ჩვენი დაწყევლილი პლანეტა თავის მკვიდრი აჩრდილეთით და სინათლის ხილვის ფუჭი ოცნებებით...

თამაში ენაში: პოეტური ენით თამაში, გულში თამაში... ამაზე უკეთესი რამ თუ არის ამქვეყნად, ეს შენ არ იცი! საეჭვოა, რომ ვინმე სხვამაც იცოდეს!

ვინ იყო ქალთამზე, ვინც ვაჟკაცის გული ისე აამღვრია, რომ ათქმევინა: „ცეცხლი მოგედვას, ქალთამზევ; მეც შენთან მაბრიალაო!..“ ქალთამზე: რედინგის ციხის ტუსაღს ხელში ხანჯალი რომ ააღებინა! ქალთამზე: სიყვარულის მკვლელი!.. ჯამრულის სიყვარულის უარმყოფელი!.. და ბოლოს, ამ შესანიშნავი ლექსის ავტორ-პროტაგონისტის სიყვარულის არად ჩამგდები!.. განაჩენიც ხომ შესაბამისი დაიმსახურა: „ცეცხლი მოგედვას, ქალთამზევ!..“

მერწმუნე: თუ რამ გულშიჩამწვდომი შემიქმნია, ნაყოფია თამაშის, თამაშის და კიდევ თამაშის!

ფშაველი ლოთების მაჯამა: „კაცი: უღვინო, უარყო ეგრევე უნდა უარყო!“

„**იცხოვრე** შეუმჩნევლად!..“ გაუმარჯოს ეპიკურეს!

არ გატყდა წმინდა ვაჟა-ფშაველა! ვერ გატეხა შემზარავმა ციმბირის წყლულმა, ვერ გატეხა თანამდევმა სიღარიბემ, საყვარელი ცოლის უდროო გარდაცვალებამ, ოჯახის გაუდაბურებამ, სხვადასხვა სულიერმა და ფიზიკურმა ტკივილებმა!.. არ გატყდა, რადგან დაბადებით რაინდი იყო, შუასაუკუნეების ლეგენდებიდან გადმოსული, სამშობლოს ავკარგის მოყურიადე! ამას თვითონაც კარგად გრძნობდა და ჩვენც კარგად ვგრძნობთ, როცა იმის პორტრეტს შევყურებთ: რაინდის სამოსელში გამოწყობილს, რაინდის იარაღში ჩამჯდარს!.. როგორი მოკრძალებით უჭირავს თოფი, ხმალი, და... ძველი რაინდის ღაჭაურას მუზარადი!..

აჰა, სიყვარულის მკვლელი!.. როგორ მოვექცეთ მას?

მოდი, ასე ვთქვათ: საითაც არ უნდა წახვიდე, მაინც ევროპაში მიდიხარ!.. და ეს ბოლოკუდაც დავამატოთ: საითაც არ უნდა წახვიდე, მაინც კავკასიაში დგეხარ!..

სიცოცხლის მიწურულს ნიცშეს დაავიწყდა, რომ ის ნიცშეა და „გაახსენდა“, რომ ის არის ბედნიერების განსხეულება: ბედნიერების შესაკრებელი, ზეადამიანის კვარცხლბეკი და ღვთაებრივი ფეხმოსაკიდი...

მწერალი

მაკა ლდოკონენი

ამ ისტორიის მოყოლა ხშირად უწევს. მისმა ახლობლებმა ზეპირად იციან ქართველი ქალის ეშხს გამოდევნებული ფინელი ყმაწვილის რომანტიული ამბავი, თუმცა ჩვენთვის მას კიდევ ერთხელ იხსენებს:

ლდოკონენი ფინური წარმოშობის გვარია. ძირი — „ლდოკ“ — გემის კიჩოს ნიშნავს. ბაბუას მამა ფინელი იყო, რომელიც რუსეთში დასახლდა. მეუღლეც რუსი მოიყვანა. ისე მოხდა, რომ ბაბუა ახალგაზრდობაში გემით მოგზაურობდა. გემის კაპიტანს ქართველი ცოლი ჰყავდა, ულამაზესი შავგვრემანი ქალბატონი, რომელიც ყმაწვილს ძალიან მოეწონა. კაპიტანმა შეამჩნია და უთხრა, საქართველოში სულ ასეთი ლამაზი ქალები არიანო. სწორედ ამ ქალის ეშხმა ჩამოიყვანა ბაბუა საქართველოში. ჩამოვიდა, დასახლდა და ქართველი ცოლი შეირთო. იმდენად გაქართველდა, მარანიც ჰქონდა, ღვინოსაც აყენებდა და „ვეფხსიტყაოსანსაც“ კითხულობდა. პირველი, ვინც რუსთაველს მაზიარა, ბაბუა იყო თავისი რუსული აქცენტითო — იხსენებს ჩემთან საუბარში მაკა ლდოკონენი. ამ ადამიანმა მასზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა და აპირებს კიდეც თავისი მოთხრობის გმირად აქციოს, თუმცა ამაზე მოგვიანებით, ჯერ კი თავად „ქიშმიშიანი ამბების“ ავტორს გაგაცნობთ.

— ძალიან გამიმართლა, რადგან არაჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე. გარშემო უამრავი სითბო და სიყვარული მეხვია. ორივე მხრიდან საოცარი ბებია და ბაბუა მყავდა, ასევე მშობლებიც, რომელთაც იმდენად უყვარდათ ერთმანეთი, ერთი რომ გარდაიცვალა, მეორემ დიდხანს ვეღარ იცოცხლა. ბავშვობა სოლოლაკში გავატარე, ძალიან საინტერესო ადამიანების გარმოცვაში. ირგვლივ უამრავი კოლორიტული პიროვნება ცხოვრობდა. სწორედ ისინი გადმოვიყვანე ჩემს მოთხრობებში. ვისაც სოლოლაკში უცხოვრია, ადვილად ამოიცნობს მუნჯოს, რომლისაც ძალიან მეშინოდა, მზესუმზირის გამყიდველ ქალს მაჩაბლის ქუჩაზე, ძველ კინოთეატრს სოლოლაკში, სადაც მეგობრებთან ერთად დავდიოდი. ეს ყველაფერი დაგროვდა, დაგროვდა და ქიშმიშიან ამბებად ჩალაგდა.

— ამ ამბების საქვეყნოდ გამომზეურება როდის გადაწყვიტეთ?

— მოგვიანებით. თუ არ ვცდები, 2005 წელი იყო. ბავშვობაში ლექსებს ვწერდი, ვწერდი უამრავს. ახლა რომ ვკითხულობ, ზოგს გალაკტიონის გავლენა აქვს, ზოგს — რუსთაველის, იმის მიხედვით, რას ვკითხულობდი იმ პერიოდში. რა თქმა უნდა, არ დამიბეჭდავს. სტუდენტობისას მოთხრობებსაც ვწერდი, მაგრამ არც ისინი გამომიქვეყნებია. მერე არ ვიცი, რა მოხდა. ერთ დღეს გადავწყვიტე, მეცადა. მანამდე წიგნებს ვაფორმებდი, ეს უფრო იყო ჩემი ჰობი. ერთხელაც ჩემმა მეგობარმა თეონა დოლენჯაშვილმა ირმა მალაციძის საბავშვო წიგნის დასურათება მთხოვა. ირმასთან ურთიერთობაში ეს თემა ნელნელა წამოტივტივდა. თეონასთან ერთად იმდენი მიჩიჩინა, რომ გავბედე და „წიგნებში“ მივიტანე „საახალწლო საკითხავი,“ მოთხრობა ჩემს ოჯახსა და შვილებზე.

— მართლა საახალწლო საკითხავია, ახალი წლის სურნელს გრძნობ და ცოტა ხნით ბავშვობაში ბრუნდები, თავისი მარხილებიანი თოვლის ბაბუითა და ლამაზად შეფუთული საჩუქრებით.

— ახალი წელი ჩვენთვის ყველაზე ლამაზი დღესასწაულია და შევეცადე მოთხრობაში ეს განწყობა ჩამედო. თუ გახსოვთ, იქ პატარა ზღაპარიც არის დავიწყებული მოსაფერებელი სახელების შესახებ. ძალიან მიყვარს ეს ადგილი. არაბულს ვსწავლობდი სკოლაში და ამანაც ჰპოვა ასახვა ტექსტში. მერე „ლიტერატურულ პალიტრაში“ დავბეჭდე „ქიშმიშიანი ამბები.“ ესეც რეალურ ისტორიას ეფუძნება. ჩემი გარდაცვლილი კლასელის პირით ვყვები იმ დროზე, „როდესაც არ იყო მობილური ტელეფონები, ინტერნეტი, საკათედრო ტაძარი კი სიონი გახლდათ.“ შესავალს თუ წაიკითხავთ, გასაგები გახდება. მოთხრობებისთვის ასეთი განმარტებების გაკეთება ძალიან მიყვარს, „მეგზურებს“ ვეძახი და ბევრიც მაქვს, თუნდაც „კინოჩვენების“ წინათქმა. ეს მოთხრობაც სოლოლაკს ეძღვნება და ძალიან მიყვარს. ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და თავისებური კოლორიტი ჰქონდა. მერე „ჩვენს მწერლობაში“ დავბეჭდე „ზღაპართასხმულა“, კონკურსებშიც დავიწყე მონაწილეობა. იყო „პენ-მარათონი,“ „წერო,“ მოგვიანებით „საბა“. მერე რამდენჯერმე ჟიურიშიც მიმიწვიეს.

— მერე ეს მოთხრობები ერთად აიკინძა და „ქიშმიშიან ამბებად“ შეიკრა.

— მამა რომ გარდაიცვალა, დედას დაჟინებული თხოვნით გადავწყვიტე წიგნის გამოცემა — მოთხრობები დაგიგროვდა, თან გახალისდებიო. დავიწყე და მართლაც გავაკეთე ეს პატარა კრებული. დედა ძალიან ბედნიერი იყო. ჰქონდა თავისი ეგზემპლარი, უამრავჯერ გადაკითხული და სულ მთხოვდა, რამე წამიწერეო. ისე წავიდა, ვერაფერი დავუწერე. ახლა შენახული მაქვს და „დედას წიგნი“ აწერია. უკვე დაჭმუჭნულია, გაშავებული ფურცლებით, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

— 2009-ში ამ წიგნმა „საბა“ მიიღო საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში.

— ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, ემოციისგან ადგილზე გავქვავდი. გამარჯვებას საერთოდ არ ველოდი, თუმცა მერე ძალიან დიდი სტიმული მომცა, რომ საკუთარ თავზე მემუშავა. საერთოდ, ნებისმიერ კონკურსში გამარჯვება სტიმულია მწერლისთვის, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ლიტერატურული კონკურსები თითზე ჩამოსათვლელია. საზღვარგარეთ მათ რაოდენობას ვერ დათვლი: დეტექტივი, ფენტეზი, პროზა, პოეზია, საბავშვო... ჟანრების მიხედვითაა დანაწილებული, ჩვენ კი ორი-სამი კონკურსის ამარა ვართ. რაც შეიძლება მეტი კონკურსი უნდა იყოს. ეს ისევ ლიტერატურას და ავტორს წაადგება. ჩემი მეორე წიგნი, რომელიც ცოტა ხანში გამოვა, მთლიანად კონკურსებისთვის დაწერილი მოთხრობებითაა შედგენილი.

„მოთხრობა ლაკმუსივით არის“

— რამდენადაც ვიცი, ელექტრონულ ვერსიას გამოსცემთ. რატომ აირჩიეთ ეს ფორმატი?

— ბეჭდურ გამოცემას გარკვეული თანხა სჭირდება, ამიტომ გადავწყვიტე ელექტრონული ვარიანტის გაკეთება. წიგნს ერქმევა „ბიშეს ბალიშები“ – ერთ-ერთი მოთხრობის სათაური. ყდაზე მინდა გამოვიყენო ზურა გომელაურის ნახატი, რომლის მიხედვითაც ეს მოთხრობა დაიწერა. ზურა გომელაური ჩემთვის განსაკუთრებული ხელოვანია. ხატავს უზარმაზარ ქალებს, კაცებს, რომლებიც ხან მუთაქებზე გორაობენ, ხან ცაში დაფრინავენ ბედნიერებისგან. ამ მოთხრობის გმირი, აბადია, სწორედ ერთი მათგანია. ცოტა ექსცენტრული ხასიათი აქვს და დიდი გავა, რომლითაც, ერთი გამოთქმის არ იყოს, კაკალს ამტვრევს. მის გარშემო სულ კაკლის ნაჭუჭებია. სწორედ აბადიას და მისი გოლიათი მეუღლის ვნებიან-სევდიან-რომანტიულ სიყვარულზეა ეს მოთხრობა. ვინაიდან წიგნი ელექტრონულია, მასში ძველ ნაწერებსაც შევიტანდ. ექვსი ძველი მოთხრობა სოლოლაკთან იქნება დაკავშირებული, ექვსი ახალი კი კონკურსებისთვის შექმნილი ტექსტებია. ვფიქრობ, საინტერესო გამოვა. აქ არის ერთი მოთხრობა — „ანდერგრაუნდის საიუბილეო პერფორმანსი“, რომელიც „ლიტსახელების“ კონკურსისთვის დავწერე. ესეც ნამდვილ ამბავს ეფუძნება. ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი მხატვრები — ნიკო ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო და პოეტი — დავით ჩიხლაძე. სწორედ მათ ეძღვნება ეს ოპუსი. ბავშვობაში ამ ადამიანებს ვიცნობდი. ნიკოსთან უფრო ახლოს ვიყავი. მახსოვს, ერთხელ ბოტანიკურ ბაღში წამიყვანა და თავისი მომავალი პერფორმანსის შესახებ მიამბო, რომელსაც „ანდერგრაუნდოპერა“ უნდა რქმეოდა. მონაწილეები გვირაბის გავლით მეჩეთამდე მივიდოდნენ და გზადაგზა სხვადასხვა არტ-აქციას გამართავდნენ. ეს უნდა ყოფილიყო სიმბოლური სვლა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. წარმოიდგინეთ, მერვეკლასელი გოგონა როგორ მოვიხიბლებოდი ამ ყველაფრით. სამწუხაროდ, მერე ომი დაიწყო და ისე აირია ყველაფერი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კი არა, საკუთარი თავი აღარ გვახსოვდა, მაგრამ შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, ამდენი წლის შემდეგ მოთხრობად ვაქციე და ამ ადამიანებს მივუძღვენი. ნიკოს შეიძლება არც ახსოვდეს ეს ამბავი, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნო მოგონებაა. სხვათა შორის, კრებულში არის ერთი მოთხრობა — „ომები გასახსენებლად“, რომელიც თბილისის და ზოგადად, ბოლოდროინდელ ომებს ეძღვნება. თბილისის ომი მაინც გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მართლა ჩვენს თავზე გადაიარა. მიუხედავად იმისა, რომ ტყვიები გვაწვიმდა, სახლი მაინც არ დავტოვეთ და ავტომატების გუგუნში გავატარეთ ახალი წელი. ძალიან მძიმე პერიოდი იყო, რომელმაც ჩემს თაობას მძიმე კვალი დაატყო.

— როგორც ვხვდები, ეს წიგნი აღარ იქნება პირველივით ტკბილი და ქიშმიშიანი?

— ეს წიგნი უფრო რეალისტურია, უფრო მეტად არის მიმართული ადამიანის ხასიათის გახსნისაკენ. აქ უკვე მეორე ეტაპი ჩანს, როდესაც პირისპირ ეჯახები ცხოვრებას. ვყვები ტკივილებზე, რაც ამ გარდაუვალ შეჯახებას მოსდევს, მაგრამ წიგნს მაინც „ბიშეს ბალიშებს“ ვარქმევ, შედარებით ოპტიმისტური მოთხრობის სათაურს. ესეც ხასიათის შტრიხია. ზოგადად, ოპტიმისტი ვარ და ეს ჩემს ნაწერებსაც ეტყობა. მინდა, ჩემი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ ადამიანი დადებითად დაიმუხტოს და იმედი მიეცეს.

— მკითხველის ფაქტორი მნიშვნელოვანია თქვენთვის?

— მკითხველი უმთავრესია. მე მყავს ჩემი მკითხველი და ძალიან მიხარია. ფეისბუქზე წერილები მომდის სრულიად უცხო ადამიანებისაგან და ეს უზარმაზარი სტიმულია. ერთი მათგანის წყალობით შარშან ლიტვაში, ლიტერატორთა სემინარზეც აღმოვჩნდი. ეს არის ლიტვაში მცხოვრები ქალბატონი, ნანა დევიძე, ფილოლოგი, ლიტვური ენის სპეციალისტი. რამდენიმე წელია საქართველოდან სემინარზე პოეტები მიჰყავს, შარშან კი მწერლების წაყვანა გადაწყვიტა. მათ შორის მეც აღმოვჩნდი. როგორც გაირკვა, ჩემს მოთხრობებს კითხულობდა და ძალიან მოსწონდა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ერთ დღეს სრულიად უცნობმა ადამიანმა დამირეკა და ერთი კვირით ლიტვაში გამგზავრება შემომთავაზა.

— როგორ ჩაიარა სემინარმა?

— მშვენივრად, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნებისმიერი ახალი ქვეყანა არაჩვეულებრივი შთაგონების წყაროა მწერლისთვის. ჩავედით საზღვაო ქალაქ პალანგაში, სადაც ძალიან კარგად მიგვიღეს. ერთი კვირის განმავლობაში გვქონდა ვორქ-შოფები, სადაც ერთმანეთის შემოქმედებას ვეცნობოდით. ამას გარდა, გამგზავრებამდე ორივე მხარემ ვთარგმნეთ ერთმანეთის მოთხრობები, რომელთა რუსული ბწკარედები ნანა დევიძემ გააკეთა. სემინარზე ამ თარგმანების დეტალები დავაზუსტეთ და საბოლოო სახე მივეცით. ალბათ გამოვა ალმანახი, სადაც ეს ყველაფერი თავს მოიყრის. ითარგმნა ჩემი „ყველა ნივთი“ — მოთხრობა სამ დაზე, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს. ამ ერთი კვირის განმავლობაში ძალიან დავუახლოვდით მასპინძლებს. ამას დაემატა ისიც, რომ შემხვდა ძალიან კარგი მეწყვილე-ავტორი – ნიოლე კლიუკაიტე. აღმოჩნდა, რომ საბავშვო წიგნებსაც წერს და თავადვე აფორმებს. ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა. წამიყვანა კაუნასში, სადაც თავად ცხოვრობს და მომატარა გალერეები, ასე რომ, მხატვრული ჟინიც დავიკმაყოფილე. სხვათა შორის, იქ აღმოვაჩინე ლიტველი ზურა გომელაური — არტურას კავალიაუსკასი. ეს არის არაჩვეულებრივი მხატვარი, რომლის ნამუშევრებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მისი ნახატების მიხედვით მოთხრობას ვწერ, რომელსაც ერთ-ერთ კონკურსზე წარვადგენ. ცოტა ხნის წინ ნიოლესგან შეთავაზება მივიღე — უნდა, რომ თარგმნოს და გამოსცეს ჩემი „ქიშმიშიანი ამბები,“ მე კი მისი საბავშვო წიგნის თარგმნას ვაპირებ, რომელიც ძალიან მომეწონა. სხვათა შორის, საოცრად რომანტიული პიროვნებაა. ჩამოსვლიდან ერთ კვირაში მისგან ფოსტით წერილი მივიღე, სადაც ერთად გატარებულ დღეებს ნოსტალგიით იხსენებდა. თავიდან გამიკვირდა, რადგან ერთმანეთის ელექტრონული ფოსტებიც გვაქვს და ფეისბუქიც. წარმოგიდგენიათ, როგორია დღეს, განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში ვინმესთვის წერილის მიწერა? მაგრამ მერე მივხვდი — მწერალია და სხვანაირად აზროვნებს.

— მკითხველზე ვსაუბრობდით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მათგან წამოსული შთაბეჭდილებები, მოსაზრებები, თუნდაც ის, მოსწონს თუ არა მას თქვენი ნაწერი?

— მოთხრობა ლაკმუსივით არის. მკითხველის ხელში რომ ჩავარდება, სხვადასხვა ფერს იღებს, იმის მიხედვით, ვინ კითხულობს და როგორ აღიქვამს. ყოფილან ჩემს ირგვლივ ადამიანები, რომელთაც „ქიშმიშიანი ამბები“ მოსწონებიათ, მაგრამ „ყველა ნივთი“ ვერ გაიგეს. ეს სულაც არაა საგანგაშო, საინტერესოც კი არის დაკვირვების თვალსაზრისით — როგორ იგებს ან ვერ იგებს მკითხველი შენს ნააზრევს. უკუკავშირი მნიშვნელოვანია და აუცილებელი. სხვათა შორის, ელექტრონული წიგნის გაკეთების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო – ელექტრონულ მაღაზიაში ფიქსირდება, ვინ ყიდულობს კონკრეტულ გამოცემას, რამდენი ადამიანი. თანაც, ბოლო დროს ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობთ და იქაც ხომ არის წიგნის ადგილი?! იქნებ ამ „იოტა რიდერებმა“ და „ქინდლიმ“ გადაგვარჩინოს? თხელია, მოსახერხებელი, არც დიდ ადგილს იკავებს. რა თქმა უნდა, წიგნს ვერაფერი შეცვლის, მაგრამ იმ ეპოქაში, როდესაც გავიძახით, რომ არ გვაქვს დრო, სხვა რამე გვინდა და ციფრულ ტექნოლოგიებს ძალიან შევეჩვიეთ, იქნებ ეს მოწყობილობები დაგვეხმაროს კითხვაში. ჩემი შვილების თაობა, მაგალითად, აქტიურად იყენებს. კითხვა დაიწყეს, მოსწონთ, იმიტომ რომ ციფრულია. ამან უფრო მიბიძგა ელექტრონული წიგნისკენ. იყოს იქაც ჩემი წიგნი-მეთქი, — ვიფიქრე. მგონია, რომ ამის დრო მალე მოვა.

— თქვენი ელექტრონული წიგნი მალე გამოვა, მერე რა გეგმები გაქვთ, რაზე აპირებთ მუშაობას?

— მინდა დავწერო ზღაპარი ბებიებსა და ბაბუებზე, ამ საოცარ ფენომენზე, რომელიც განკუთვნილი იქნება როგორც დიდებისთვის, ასევე — ბავშვებისთვის. ძალიან მინდა დავასურათო გრაფიკული ილუსტრაციებით. ეს იქნება მცირე რომანი, რომელიც მიეძღვნება ჩემი მშობლების დიდ სიყვარულს, ასევე ჩემი ბებია-ბაბუების დიდ

დასასრული მე-16 გვერდზე

გიორგი ალიბეგაშვილი

მკითხველი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს უნივერსიტეტში ვეწვიე. შეხვედრამდე მას, როგორც სასულიერო მწერლობის სპეციალისტს და რამდენიმე წიგნის ავტორს ვიცნობდი. თუმცა, როგორც საუბრისას აღმოჩნდა, მისთვის განსაკუთრებით ფასეულია გია მურღულიასა და ვასილ მაღლაფერიძესთან თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელო, სახელწოდებით „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“ და თავისი „ქართული ხალხური პოეზია“. ამ სახელძღვანელოების მიმართ მკითხველის ინტერესი დღემდე არ ცხრება და ეს გასაკვირი არც არის, რადგან ეს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე შექმნილი ნაშრომებია.

უნივერსიტეტში მისულმა ბატონი გიორგი სტუდენტების გარემოცვაში ვიხილე, თუმცა საყვარელ ლიტერატურაზე სასაუბროდ მან დრო მაინც გამოძებნა.

— შეიძლება ითქვას, პროფესიონალი მკითხველი ბრძანდებით, სპეციალობით ფილოლოგს მთელი ცხოვრება ლიტერატურასთან გაქვთ საქმე. საინტერესოა, როგორია მხატვრული ტექსტის შეფასების თქვენეული კრიტერიუმები.

— ზოგადად, როცა მწერლობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალიწინოთ მისი ორი ასპექტი: პირველი — ისტორია და ადამიანი, ხოლო მეორე — ადამიანი და სიტყვა. ადამიანი ვერ იარსებებდა ისტორიის გარეშე, ისე როგორც ისტორია რეალიზდება მხოლოდ ადამიანში. რაც შეეხება სიტყვას, მხატვრულ სიტყვას, იგი ადამიანისგან მომდინარეობს და ადამიანსვე მიემართება. ასე იქმნებოდა და იქმნება უძველესი ეპოქიდან შუა საუკუნეებამდე და მომდევნო ხანებშიც, ვიდრე დღევანდელ დღემდე, მხატვრული სიტყვა და იგი ასწლეულებს მოიცავს.

დიდი ლიტერატურა გარკვეულ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს, ადამიანის შინაგან სამყაროს, მის სულიერ მისწრაფებებს უნდა ასახავდეს. მწერალმა უნდა გამიჯნოს მარადიული სულიერი ღირებულებანი წარმავალი ფასეულობებისგან, ამის გარეშე, ბუნებრივია, ის ვერ შექმნის დიდ ლიტერატურას. რა თქმა უნდა, დროებითზე, მომგებიანობაზე ორიენტირებული ნაწარმოებებიც არსებობს. ამგვარი მწერლობა თავისთავად მოაქვს ეპოქას, ის კონკრეტული დროის სულისკვეთების გამომხატველია, მაგრამ გადის ათეული წლები და მსგავსი ლიტერატურა აღარავის ახსოვს. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ იმ კონიუნკტურულ ნაწარმოებებს, რომლებიც კომუნისტურ ეპოქაში იქმნებოდა და იმ ავტორებს, დროსთან ერთად რომ ჩაბარდნენ წარსულს. თუ თანამედროვე მწერლობასაც გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ დღესაც არიან ავტორები, რომელნიც მხოლოდ ყურადღების მიქცევას ცდილობენ, წერენ იმაზე, რაც, მათი აზრით, მომგებიანია, მაგრამ ვერ ქმნიან დიდ ლიტერატურას. ნებისმიერ ეპოქას აქვს თავისი იდეალები, მოყოლებული უძველესი დროიდან დღემდე. ამ იდეალების ასახვა მხატვრულ ტექსტებში პიროვნების ნიჭსა და მის მწერლურ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

— ძველი ქართული ლიტერატურა თქვენი სფეროა. შეუძლებელია, შუა საუკუნეების მწერალთა გალერეაში, როგორც მკითხველს, თქვენი რჩეულები არ გყავდეთ. მიამბეთ მათ შესახებ.

— ძველი ქართული მწერლობა განსაკუთრებულად სათუთი თემაა. შუა საუკუნეების ავტორისთვის უმთავრესია ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო. მართალია, ნებისმიერი ეპოქის მწერლობაზე იგივე შეიძლება ითქვას, მაგრამ შუა საუკუნეების ლიტერატურაში, როგორც არსად, ასახულია ადამიანის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან და ჭიდილი მის ორგვარ ბუნებას — სულიერსა და ხორციელს შორის. მოგეხსენებათ, ადამიანი სულით ღმერთს ენათესავება, ხორცი კი არაა ღვთაებრივი. სულია ის, რაც ადამიანს სიკეთისა და მშვენიერებისაკენ იზიდავს, ხორციელი ბუნება კი ცვალებადია და წარმავალი. ამიტომაც არის, რომ ჰაგიოგრაფები განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის სულიერ ბუნებაზე ამახვილებენ. იგივე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების კედლის მხატვრობასა თუ ხატწერაზე. ვერ ნახავთ იმდროინდელ ფრესკას, ან ხატს, ადამიანის ხორციელ სილამაზეს რომ აშუქებდეს. ის, რაც ბუნებრივია ანტიკური სამყაროსთვის, ვგულისხმობ ხელოვნებაში ხორციელი მშვენიერების ხაზგასმას, უცხოა ქრისტიანული კულტურისათვის.

ჰაგიოგრაფიამ და, ზოგადად, შუა საუკუნეების მწერლობამ ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერების მყარი საფუძველი შექმნა. მკითხველს შევახსენებ, რომ ძველ დროში სარწმუნოების დაცვა ეროვნების დაცვას ნიშნავდა და პირიქით — ქართველობისთვის ბრძოლა სარწმუნოებისთვის თავგანწირვის ტოლფასი იყო. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი ქართველი წმიდანები — დედოფალი შუშანიკი, ევსტათი მცხეთელი, აბო თბილელი, — უცხო ეროვნების ადამიანები იყვნენ, მაგრამ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, რაკი თავი დასდეს ქრისტიანობისთვის, ქართველ წმიდანებად იწოდნენ. ამგვარ მაგალითებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერისთვის.

რამდენადაც მიმიწვდება ხელი შუა საუკუნეების უცხოენოვან სასულიერო ტექსტებზე — ვგულისმობ ბიზანტიურ, რუსულ, სომხურ ლიტერატურას — და მაქვს საშუალება ისინი ქართული სასულიერო მწერლობის ნიმუშებს შევადარო, შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ძველი ქართული მწერლობის დარი — არა მხოლოდ თავისი შინაგანი სამყაროთი, სულიერი დატვირთვით, არამედ მხატვრული დონითაც — სხვა არ მოიძებნება.

— ბუნებრივია, შუა საუკუნებში სასულიერო მწერლობის იდეალი სხვა იყო და საერო მწერლობისა — სხვა, თუმცა ლიტერატურული ნიმუშები დასტურია იმისა, რომ მათ შორის ძალზე ცხოველი კავშირები არსებობდა.

— მოგეხსენებათ, ქართული საერო მწერლობა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანით" იღებს სათავეს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ საგმირო-სარაინდო ნაწარმოების პერსონაჟები — სახელოვანი გმირი ამირან დარეჯანისძე და მისი თანამებრძოლები, წმიდა მხედრებად მოიაზრებიან. მათი რაინდული სახე საინტერესოდ იქნა შემდგომში ტრანსფორმირებული, გარდასახული თუ გარდათქმული და სვანეთის ერთ-ერთი ეკლესიის გარე ფასადზე წმიდა მხედართა გამოსახულებების სახით წარმოდგენილი.

აღარაფერს ვიტყვი „ვეფხისტყაოსანზე". აქაც იცვლება გარემო, მაგრამ უცვლელი რჩება ადამიანის სულიერი სამყარო. პოემის გმირები მაღალი ზნეობრივი ღირსების მატარებელნი არიან. ამიტომაა, რომ ისინი საიტერესონი რჩებიან ნებისმიერი ეპოქის, ასაკისა თუ მსოფლმხედველობის მკითხველისათვის. აკი მკითხველი იოლად ცნობს ფასეულსა და მარადიულს და განასხვავებს მას დროებითისგან, წარმავალისგან.

იგივე ითქმის სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილზე, რომელთაც შეძლეს გადაელახათ მიჯნა და მარადიული ლიტერატურისთვის ეზიარებინათ მკითხველი.

— მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაქვს. საინტერესოა თქვენი აზრი იმის თაობაზე, თუ რამდენად მოხდა ამ საგანძურის ათვისება, მისი გაზიარება მომდევნო საუკუნეების მწერლობაში?

— თუ ვისაუბრებთ თუნდაც მეოცე საუკუნის დიდ კლასიკოსებზე, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, სხვებზეც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უზადოდ ფლობდნენ ძველ ქართულ ლიტერატურას, საგანგებოდ სწავლობდნენ არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ საისტორიო, ლექსიკოლოგიურ მასალებსაც. სამწუხაროდ, თანამედროვე მწერლობაში ნაკლებად ვხედავ ამგვარ საფუძველს. ძალზე მნიშვნელოვანი და კარგია უცხოელ მწერალთა შემოქმედების დედნიდან კითხვა, მაგრამ, ვფიქრობ, შეუძლებელია შექმნა რაიმე ღირებული, თუკი შენი ეროვნული მწერლობის ძირიდან არ ამოხვალ, ამ მემკვიდრეობით არ ისაზრდოებ.

— ზოგადად, წიგნთან სიშორე ახალგაზრდა თაობის პრობლემაა. ალბათ ამის შესახებ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რადგან წლებია, პედაგოგიურ საქმინობას ეწევით.

— კითხვის კულტურა დღეს რომ ძალზე დაბალია, ამის მიზეზი სკოლაში უნდა ვეძიოთ. განათლების სისტემა წლების მანძილზე მოშლილი და განადგურებული იყო. ღმერთმა ქნას, რეფორმამ, რომელიც მიმდინარეობს, თანამედროვე სკოლებში არსებული მდგომარეობა გამოასწოროს. წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის მოსწავლეებთან მიხდებოდა მუშაობა და მინდა გითხრათ, რომ ჩემს თვალწინ წიგნიერების დონემ ახალგაზრდებში ნელ-ნელა იკლო. ამას გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 80-ინი წლების მიწურულს ქვეყანაში იმგვარი ვითარება შეიქმნა, რომ ბავშვები, რომელთაც უნდა ესწავლათ, განათლება მიეღოთ, სკოლიდან ქუჩაში აღმოჩნდნენ. ომიანობის პერიოდმაც ამ მხრივ ძალზე მძიმე შედეგი მოიტანა...

— თუმცა, უნდა ითქვას, ოჯახზეც ბევრია დამოკიდებული.

— დამეთანხმებით, მძიმე ეკონომიკური ვითარება, უცხოეთში სამუშაოდ გახიზნული მშობლები, დანგრეული ოჯახები — ყოველივე ეს პირდაპირ მოქმედებს ახალგაზრდა თაობის აღზდა-განათლებაზე. ფაქტობრივად, ჩვენ ვეღარ ვიცლით შვილებისთვის. რამდენადაც ვიცი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სკოლებში კითხვის გაკვეთილები უნდა დაინერგოს. ვფიქრობ, ეს სიტუაციას გარკვეულწილად გააუმჯობესებს. წიგნიერების ამაღლებაზე ეკლესიამ, სახელმწიფომ, საზოგადოებამ ერთობლივად უნდა იზრუნოს.

— ვფიქრობ, ბუნებრივი იქნება, თუ მომდევნო შეკითხვას ათონის მთაზე თქვენი მოგზაურობის შესახებ დაგისვამთ და გთხოვთ გვიამბოთ ქართული მწიგნობრობის იმ უძველესი კერის შესახებ, სადაც იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები მოღვაწეობდნენ. როგორია ივირონი დღეს?

— გასულ წელს ბატონ როინ მეტრეველთან, მწერალ კოტე ჯანდიერთან და ჟურნალისტ ელგუჯა ბერიშვილთან ერთად მოვიარე ათონი. იქაური მონასტრები მოვილოცეთ და ბრწყინვალე აღდგომას შევხვდით. მოგეხსენებათ, ათონის მთა, ისევე როგორც საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრია. ალბათ ამიტომ, ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე, ჩვენს სასულიერო პირებს განსაკუთრებული ლტოლვა აქვთ ამ წმიდა მიწის მიმართ. დღეს იქ ოცი მონასტერია, მათგან ჩვიდმეტი — ბერძნულია, არის სერბული, ბულგარული და რუსული სავანეებიც. აღდგომის დღესასწაულს სერბების მონასტერში, ხილანდარში შევხვდით. წმიდა მთაზე ბევრი სკიტი და სენაკია. გავრცელებულია სხვადასხვა სახე მოსაგრეობისა. არიან მეუდაბნოენი, დაყუდებულნი, განდეგილნი და სხვანი. იქ ყოფნის განმავლობაში არ გვტოვებდა შეგრძნება, რომ შუა საუკუნეებში ვმოგზაურობდით. ცივილიზაციაზე ორიოდე რამ მეტყველებდა — ელექტროენერგია, რომელსაც გენერატორების საშუალებით გამოიმუშავებენ, გზები და საავტომობილო ტრანსპორტი.

მოგეხსენებათ, X საუკუნის მიწურულს იოანე ქართველის მიერ დაარსებული ივირონი დღეს ბერძნების ხელშია. ივირონს, ათონის მონასტრების იერარქიაში — ათანასეს ლავრასა და ვატოპედის შემდეგ — დღემდე მესამე ადგილი უკავია. ქართველ ბერს ათონის თითქმის ყველა მონასტერში შეხვდებით, გარდა ივირონისა. უკანასკნელი ქართველი ბერი იქ 1955 წელს გარდაიცვალა. ათონელები, გარდა ივირონის ძმობისა, ქართველთა მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნი არიან.

— რაკი ამგვარი სიტუაციაა, ცხადია, ივირონის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების მოხილვის საშუალებას არავინ მოგცემდათ.

— რამდენადაც ვიცი, ივირონში ინახება ხელნაწერები, რომელთაც არავის აჩვენებენ. საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის იმპერატორები მონასტრებს უბოძებდნენ ხოლმე სიგელს, რომელსაც „ხრისობული" ანუ ოქრობეჭედი ეწოდებოდა. ივირონსაც გააჩნდა მსგავსი სიგელი თუ განჩინება, როგორც დასტური იმისა, რომ ეს ქართველთა მონასტერი იყო. სამწუხაროდ, არავინ იცის, სადაა დღეს ეს მეტად მნიშვნელოვანი საბუთი — დაცულია, დაკარგული თუ განადგურებული. ათონელებმა გვითხრეს, რომ წმიდა მთაზე არსებული ხელნაწერების ფოტოასლები თესალონიკის ბიბლიოთეკაში ინახება, ფირზე ისინი რამდენიმე წლის წინ გადაიღეს, რაც ევროკავშირში საბერძნეთის გაწევრიანებასთან იყო დაკავშირებული. არის თუ არა იმ ასლებს შორის ქართველთათვის ასე მნიშვნელოვანი ოქრობეჭედი ვერ გეტყვით.

— ივირონი ქართული მთარგმნელობითი კულტურის კერა იყო. თარგმანის განვითარებას კი, საზოგადოებაში განათლებისა და წიგნიერების ამაღლების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ცნობილია, რომ თარგმანის რეალურ სირთულეს ენათა შორის არსებული მსოფლმხედველობრივი განსხვავება ქმნის. ამავდროულად, რომ არ არსებობდეს ენებს შორის არსებული დიალექტიკური ერთიანობა, მაშინ თარგმანიც ვერ იარსებებდა. ენას აქვს უნარი გარდასახვისა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვასა თუ ფრაზას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სემანტიკური ველები გააჩნია, განსხვავებულია სინტაქსური წყობა და სიტყვათა დაკავშირებანი. ფრაზეოლოგიურ თუ იდიომატურ ერთეულებს განსაკუთრებული სიძნელეების წარმოქმნა შეუძლია, მაგრამ მთარგმნელმა დედნის ენა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს ვერ გაართმევს რეალურ სიტუაციას, ტექსტში აღწერილ გარეენობრივ სინამდვილეს, რომელიც კონკრეტულ, ნაწარმოებთან მიმართებით გასაგებ და ნათელ სურათს წარმოადგენს.

ნიჭიერი მთარგმნელი, ფაქტობრივად, ახალ ლიტერატურულ პროდუქტს ქმნის. აქედან გამომდინარე, ის არანაკლები სირთულეების წინაშე დგას, ვიდრე მწერალი. სხვათა შორის, ინგლისელ ედვარდ ფიცჯერალდზე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, პირველმა აღმოაჩინა, თარგმნა და ინგლისურენოვან მსოფლიოს გააცნო ომარ ხაიამი, ამბობდნენ, მასში სპარსი პოეტის სული ჩასახლდა და აამეტყველაო.

დასასრული მე-16 გვერდზე



„მწერლობა დულილის პროცესშია“

თამარ იაშვილი

თამაში წესების გარეშე

ღვინით ივსება ჭიქები...იცლება და კვლავ ივსება.

სევდას აქარვებს ღვინო...

რაც უნდა კარგი ლექსი დაწეროს, მაინც დამარცხებულად გრძნობს თავს, მაინც ვერ აღწევს იმას, იმ რაღაცას, რასაც უნდა რომ მიაღწიოს. ის რაღაც, გააზრებული თუ გაუაზრებელი მიზანი, რომლისკენაც ასე მიისწრაფვის, იქნებ არც მიიღწევა საერთოდ?.. მაინც წერს...კვლავ მარცხდება, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია. წერა შინაგან მოთხოვნილებად ექცა და ისევე სჭირდება, როგორც ჰაერი, პური, წყალი...იქნებ ეს არის მისთვის ჰაერიც, პურიცა და წყალიც.

სხეულში, სულში თუ გონში რაღაც შეუჩნდა და არ ასვენებს, აწამებს...ბოლოს გარეთ გამოსტყორცნის, ისე, როგორც შეუძლია, როგორც ეწერება, წესების გარეშე...დამარცხებისთვის განწირულ ლექსებად.წერას მაინც აგრძელებს...არ უბეჭდავენ...ცდილობს ღვინოში ჩააღრჩოს ტკივილი, თითო ჭიქა თითო ჩამღრჩვალი ლექსია: ერთი, ორი, სამი... ლექსები კი არ იძირებიან, პირიქით...ზემოთ, ზემოთ მოიწევენ, ჭიქის ფსკერიდან ზედაპირზე ამოდიან, მთვრალ ბაგეებს ასკდებიან და ღვინის წვეთებივით იფანტებიან ნახევრადჩაბნელებული სარდაფის შეზარხოშებულთა სახეებზე...

ხვალ ისევ დაწერს ლექსს, ისევ მოკრძალებით შეაღებს რომელიღაც ლიტერატურული ჟურნალის რედაქციის კარს და იქვე დასჯილ მოსწავლესავით აიტუზება...

ლექსებს უხალისოდ დაიტოვებენ, პირდაპირ უარს არ მიახლიან, წავიკითხავთო, დაპირდებიან და უკვე კარში გასულს მაინც შეხსენებასავით მიაძახებენ - თქვენ ბუღალტრად მუშაობთ, არა? განა არ იციან, ეს ისე, თითქოს თავს იზღვევენ, საფუძველს იმზადებენ, საქმეს იადვილებენ,რომ ორიოდ კვირის, თუ ერთი თვის შემდეგ ვინმე ბუღალტერს უცერემონიოდ დაუბრუნონ უკან დაწუნებული ლექსები.

მაგრამ ეს მერე, ახლა კი მას ჯერ კიდევ იმ ლექსის იმედი აქვს, ხვალ რომ დაწერს... ახლა ის ჭიქას ჭიქაზე ცლის და ვერც კი წარმოიდგენს, რომ მის სიცოცხლეში ერთი ლექსის დაბეჭდვასაც არ აღირსებენ.

ღვინო ქარვისფერია და ხიდისთავის თავთუხებს აგონებს, სევდა უფრო მეტად ეძალება, იმედგაცრუება იპყრობს, რა უნდა ქალაქში, რა ესაქმება აქ,სადაც მისი არ ესმით, სადაც სულის სალბუნი ვერ უპოვნია?! იქვე, წინ ბავშვობის მეგობარი უზის, საშა მგალობლიშვილი, თავად სანდრო დირბელს რომ ეძახის...შეჰყურებს მას, ყმაწვილკაცობა ახსენდება და სევდაც დირბის ყანებივით ლურჯი ხდება.

დირბელს შეიძლება დარდი გაანდოს, თავისი უბედობა შესჩივლოს, რა ხანია ხომ გვერდიგვერდ მიუყვებიან ცხოვრების უსწორმასწორო გზებს...

ლექსად გამოთქმა უფრო უადვილდება, სევდა პოეზიას უხდება... აბა ისე წუწუნი რა კაცის საქმეაო, ფიქრობს...

ჩვენ მივდიოდით აწეწილ გ ზებით,
ჩრდილი მოგვდევდა
ვით დათვის ბელი,
ღვინის სარდაფებს
ჩუმად ვეძებდით,
თუმცა რა გვქონდა
სამადლობელი.
ძურწა ბალახის
ღეროდ არ ვღირვართ,
ჩვენ სოფლელები
რისთვის ვქალაქობთ?
წვიმის გუბეში გულაღმა ვყრივართ
და ნაფოტივით ქარში ვქანაობთ.

ამ ლექსს რომ ამბობს, თავის გულისნადებს ამოთქვამს და ვერც კი წარმოიდგენს, რომ საშა დირბელის შვილიშვილი ამ ლექსს დედის არქივში წააწყდება და თავის ესსეში, როგორც გამოუქვეყნებელ ლექსს, ისე ჩართავს.თუმცა, ეს მერე იქნება, ნახევარი საუკუნის შემდეგ... მანამდე კი ეს ლექსი საშას ქალიშვილის - ლეილას არქივში უნდა მოხვდეს... ახლა კი,აქ, ამ ღვინის სარდაფში ლექსის ბედი არ ანაღვლებს, რადგან მისი საუკეთესო ლექსები ჯერ გამოუქვეყნებელია.

მან, რაღა თქმა უნდა, არ იცის, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ლექსების უმრავლესობა გამოქვეყნდება, მას აღიარებენ, მისი პოეზიის საღამოებს გამართავენ და გულწრფელად გაიკვირვებენ — ნეტავ ლექსებს რატომ არ ბეჭდავდაო?!

ახლა ის ღვინოს სვამს და საკუთარ უბედობას სასმელში აღრჩობს...

საკუთარ სისხლში მეხრჩობა სევდა,
ჩემში ღვთისმშობლის
ცხედარი ბუდობს,
ათას წლებს იქით შემომხედავენ,
ეს კაცი ყიდდა თურმე მუხუდოს.
რაღაცა ქონდა გულის ნაჭუჭში
შემონახული ყაჭის ბანდივით,
ის იძინებდა ავდრების ჭოჭში
და მოქანცული დგებოდა დილით.

ამ ლექსსაც იმ ესსეს მეშვეობით პირველად გაეცნობიან მისი პოეზიის მოყვარულები... მაგრამ ეს იქნება მერე, ნახევარი საუკუნის შემდეგ. მანამდე კი, ეს ლექსიც ლეილა მგალობლიშვილის არქივში უნდა მოხვდეს სხვა უამრავ ლექსთან ერთად, რომ შემდეგ ამ ესსეს ავტორმა აღმოაჩინოს.

მანამდე ჯერ უამრავი საღამოა დირბელის ოჯახში გასატარებელი...ამ ოჯახში ის სტუმრად არ გრძნობს თავს, ნებისმიერ დროს შეუძლია დაუკაკუნებლად შეაღოს კარი, თბილად შეხვდებიან, მის დანახვაზე პატარა გოგოსაც თვალები გაუბრწყინდება, საშას მეუღლეც დატრიალდება და სახელდახელოდ დააცხობს ხაჭაპურებს. და, საღამოც (თავად მეგობრები „პურის ჭამას“ რომ უწოდებენ) ღვინისა და ლექსების გარეშე არ ჩაივლის.

ამ ოჯახში პოეტური სიტყვა უყვართ, აქ მისი ლექსადნათქვამი გულისნადებიც ესმით, აქ არად დაგიდევენ წესებით წერას, აქ შეუძლია ფრთები გაშალოს, თავისი ლექსები გააცოცხლოს, ახალი ელვარებით შემოსოს. ისიც არაფერია, თუ კითხვის დროს რომელიმე სტრიქონი დაავიწყდება, პატარა ლეილა შეაშველებს, მისი ლექსები ხომ სულ ზეპირად იცის.

ეს მას ძალიან სიამოვნებს და შიგადაშიგ თამაშობს კიდეც:ვითომ დაავიწყდა, ვითომ ვერ იხსენებს, მერე დავიწყებულ სტრიქონს სახელდახელოდ ახლით ცვლის.

— ასე არ არის!— არ უთმობს ლეილა.

— აბა როგორ არის?— ეკითხება ის.

ახლა ლეილა იწყებს მისი ლექსების კითხვას...

— ამან ჩემი ლექსები ჩემზე უკეთესად იცისო,— იცინის,— აბა, ყური კარგად დამიგდე, კიდევ რამე არ შემეშალოსო, — ეშმაკურად ჭუტავს თვალებს. თავის ერთ-ერთ ძველ ლექსს კითხულობს — „საუბარი ჩემს ორეულთან“. მისი სიკვდილის შემდეგ ეს ლექსი გამოქვეყნდება (საუბარია ლექსზე „ნიკო სამადაშვილს“)... ჯერ ეს თვითონაც არ იცის, ჯერ ლექსი ბოლომდე დამუშავებულიც არა აქვს, წინა ღამეს ისევ ჩაასწორა, ახალი სტრიქონები დაამატა და ახლა მისი ლექსი „გამოცდას“ გადის.

კითხვას იწყებს... პირველ სტროფს ძველებურად კითხულობს, მეორე კი შეუცვლია:

ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა,
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა
ქვეყნის ბოლოდან...

ჩერდება. ლეილას რეაქციას ელოდება...

— არ იყო ეგრე, არ იყო!— ყვირის ლეილა.

— აბა როგორ იყო?— ეკითხება ვითომ გაკვირვებული. ლეილა ამ სტროფის თავდაპირველ ვარიანტს ამბობს:

ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ
შენ სხვა მხევალი გინდოდა ნიკო,
ზარის ხმა სივრცეს აზანზარებდა,
რომ პოეზია დაღუპულიყო.

— მერე, რომელი სჯობს?— ეკითხება გოგოს.

— ორივე კარგია!— პასუხობს ლეილა.

— ახლა კი კალამი მოიმარჯვე და ჩაიწერე, სულ ცინცხალი სტროფია, წუხელ მესტუმრა, — ამბობს და ლექსის კითხვას განაგრძობს:

შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს
გცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი.

ლეილა შეჰყურებს და ხმას ვერ იღებს,— მართლაც რა ზუსტად არის ნათქვამი...

უმრავლესობა ლექსების წერას მის ახირებად თვლის, ლექსებს უწუნებს და ურჩევს, — თავი დაანებოს წერას.

ეს მერე, მისი გარდაცვალების შემდეგ აღიარებენ პოეტად, ზეპირად ისწავლიან მის ლექსებს, მოუწყობენ დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებთან დაკავშირებულ საღამოებს, წიგნების პრეზენტაციებს...

თორემ ახლა, მხოლოდ ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის პატარა აივნიანი სახლის ბინადარნი არიან მისი მსმენელნიც და შემფასებელნიც. დიდებამდე ჯერ შორია, ჯერ მან კიდევ ბევრი ლექსი უნდა დაწეროს...ჯერ ლეილას უნდა ჩააწერინოს ამ ლექსის ახალი ვარიანტი, ამას კიდევ ახლადდაწერილი ერთი-ორი ლექსიც მიუმატოს, რომ მერე რომელიმე საღამოს კვლავ მოაწყონ მსგავსი თამაში.

ის ვერც კი წარმოიდგენს, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ლეილას ქალიშვილი დედის არქივში ამ ლექსის ძველ ვარიანტს აღმოაჩენს, აღმოაჩენს და გაიკვირვებს, რადგან თავად მას დედამ სულ სხვაგვარად ასწავლა...თავის ბავშვობისდროინდელ ზმანებებსაც გაიხსენებს... ასე ძლიერ რომ ჩაბეჭდვია სულში.

— გამარჯობა, ძია ნიკო!

— რა შენი ძია ვარ, პაპად გეკუთვნი, მე რომ წუთისოფელს გადავცილდი, შენ ორი წლისაც არ იქნებოდი.

— დედა სულ ძია ნიკოო, — ამბობს,— და რა ვიცი?!

დედაშენისთვის ძია ვიყავი, შენ კი პაპა ნიკო უნდა დამიძახო. რაო, რას შემომყურებ ეგრე გაკვირვებული?

— ლექსებმა მართლა ტანზე გამოგაყარა?

— ეგეც იცი?

— ერთხელ მეც რაღაცამ გამომაყარა, ასე ამბობდნენ, — ბატონებიაო...

— ლექსები კი ჩემი ბატონებია, მთელი ჩემი ცხოვრება მათ ვემსახურე. შენც რომ გაიზრდები, იქნებ ლექსებმაც გამოგაყაროს. დედაშენი შენს ასაკში უკვე წერდა.

— ვიცი.

— დედამ ჩვენი თამაში არ გასწავლა?

— მასწავლა.

— მერე, რომელი ჯობნით?

— დედა.

— უყურე შენ! მე კი სულ ვაგებინებდი, — იცინის ძია თუ პაპა ნიკო.

ათი წლის ბავშვს ბატონების მსახური ნიკოს წარმოდგენა უჭირს,ნიკო ძალიან სასაცილო კაცი ჰგონია...უფროსები ნიკოს იხსენებენ, ათასგვარ ამბებს ჰყვებიან მასზე, ხარობენ და იცინიან. ნიკოს მოგონილი თამაშიც დიდად ახალისებს. ახლახან დედამ მისი ლექსი წაუკითხა და ვეღარ გაუგია, ტანზე ლექსებგამოყრილი ნიკო სასაცილოა თუ საწყალი, გაიცინოს თუ მოიწყინოს!?

...ეს ყველაფერი მერე იქნება, ნიკოს გარდაცვალების შემდეგ, ახლა კი მან ჯერ დირბელის თერთმეტი წლის ქალიშვილი,რომელსაც მისი მიბაძვით ლექსების წერა დაუწყია, უნდა წაახალისოს: ლექსებისთვის ალბომი შეურჩიოს და ზედ ოქროსფერი ასოებით ამოატვიფრინოს,— „ლეილა მგალობლიშვილის ლექსები“; თავფურცელზე წარწერასაც არ დაიზარებს —„სახსოვრად პატარა პოეტესა ლეილას. ნიკო. 1939 წელი“.

მერე ახალ თამაშსაც ასწავლის: ჯერ თვითონ იტყვის ლექსს, ან ნაწყვეტს ლექსიდან, — ლეილამ ავტორი უნდა გამოიცნოს. მერე ლეილა ამბობს და მისი ჯერი დგება. ის ან საკუთარ ლექსს ამბობს ან გალაკტიონისას. ლეილამ ყველა ეს ლექსი ზეპირად იცის, გამოცნობას ვერავინ დაასწრებს.

მერე ლეილა საკუთარ ლექსს უკითხავს.

— გალაკტიონი? — ეკითხება ის.

— კი, — უდასტურებს ლეილა.

— ხომ ვამბობდი,რომ გალაკტიონი მაგარია! — ამბობს ის.

— ჩემი ლექსია, ჩემი! — იცინის ლეილა.

ისიც ჰყვება სიცილში...

ახლა ლეილა გალაკტიონის ლექსიდან უკითხავს ნაწყვეტს.

— ეს კი ნამდვილად შენია, ვეღარ მომატყუებ.

— გალაკტიონია... — ამბობს ლეილა და ისევ იცინიან...

რას წარმოიდგენს, რომ ეს პატარა გოგო წლების შემდეგ თავის ქალიშვილს ასწავლის ამ თამაშს, მის ლექსებსაც წაუკითხავს, მასზე ამბებს მოუყვება...ეს მერე, მანამდე ბევრმა წყალმა უნდა ჩაიაროს, ჯერ ლეილა მხოლოდ პოეტობაზე მეოცნებე ბავშვია, და ის მოსაყოლი ამბებიც ჯერ არ მომხდარა...

ახლა მას მხოლოდ ღვინო თუ უშველის, ახლა ის უგონობამდე უნდა დათვრეს... ღვინო აქარვებს დარდს.

არ იცის, რა დროა. ალბათ, უკვე გვიანია. ლაღია დირბელი, ბევრს სვამს, მაგრამ ცუდი სიმთვრალე აქვს მეტად. თუ კიდევ დალიეს, დირბელი უთუოდ აუხირდება ვინმეს, ჩხუბს ატეხს, მაგიდებს აატრიალებს და მილეწ-მოლეწავს იქაურობას... მასაც ჩაითრევენ ჩხუბში, დღეს კი მას ჩხუბი არ უნდა, დღეს ის ძალიან ბევრს დალევს და მერე ფეხარეული გაუყვება სახლის გზას...ბავშვებს ალბათ უკვე ძინავთ. შეიძლება, მშივრებმაც კი დაიძინეს. კიდევ უნდა დალიოს რამდენიმე ჭიქა. ჯერ ისე არ დამთვრალა, რომ სახლში წავიდეს. ფხიზელი თვალს ვერ გაუსწორებს ცოლს...ნეტავი ერთი ლექსი მაინც დაებეჭდათ, მაშინ ხომ ამაყად შეაღებდა სახლის კარს, მაშინ ხომ აღარც მისი სიმთვრალე და შემოხარჯული ხელფასი იქნებოდა სათვალავში ჩასაგდები. ახლა კი... ახლა ძალიან მაგრად უნდა დათვრეს... სჯობს, ისევ სიმთვრალისთვის უსაყვედურონ, ოღონდ ლექსის წერისთვის არავინ დაძრახოს, მის დაღლილ ფიქრებს არავინ შეეხოს...

ხვალ ისევ დაწერს ლექსს, ისევ წაიღებს ლიტერატურულ ჟურნალში დასაბეჭდად, ამჯერადაც არ გაუმართლებს. მოუბოდიშებენ, აქაოდა მწერალთა კავშირის ჟურნალიაო, შენ კი მწერალთა კავშირის წევრი არა ხარო. თქვე დალოცვილებო, წევრი როგორ გავხდები, თუ ლექსები არ დამიბეჭდეთო?! სხვაგან წაიღეო, ურჩევენ... ეს ისე, სხვათაშორის ეტყვიან, თორემ თავადაც იციან, წასასვლელი არსადაა... ისევ დირბელს უნდა შესჩივლოს, ისევ მას გაუმხილოს დარდი, ლაღია დირბელი და უღალატო...

ლეილა „პატარა პოეტესა“ აღარ არის, მის ლექსებს ბავშვური გულუბრყვილობა დაუკარგავთ, სევდა შეჰპარვიათ... გაზრდილა და უფრო მეტად წააგავს მამას, მამასავით ლაღია, საკუთარი ლექსების ბედი დიდად არ ანაღვლებს, ჯერ არ უგრძვნია წლობით უჯრაში გამომწყვდეული ლექსების ტკივილი, თუმცა ერთი ლექსის დაბეჭდვა მაინც უცდია. არ დაუბეჭდეს, ერთი სტრიქონი არ მოეწონათ, — „ლურჯი ზეცა იღვრებოდა ყანწებიდან“, „ლურჯი“ შეცვალე და დაგიბეჭდავთო, ცისფერყანწელებზეა მინიშნებაო... გაჯიუტდა ლეილა, არ შეცვალა. აკი არც დაუბეჭდეს.

— ძალიანაც კარგი ჰქენი, რომ არ შეცვალეო, — უწონებს საქციელს; თან შიშობს: ჩემსავით შენ ლექსებსაც უიღბლობა არ დაჰყვესო.

რას წარმოიდგენს, რომ ლეილა ისე წავა ამ ქვეყნიდან, ერთ ლექსსაც არ გამოაქვეყნებს, არც არსად მიიტანს, თუმცა კი, მოგვიანებით მასაც დაამძიმებს დაუბეჭდავი ლექსების სევდა, მაგრამ არც ისე მძაფრად, არც ისე მტკივნეულად, ლაღია ბუნებით, დირბელს ჰგავს...

ეს ყველაფერი იქნება მერე, ჯერ კი, ის ისევ დაწერს ლექსს, არც თუ ხალისით, მაგრამ მონდომებით...ახლა ეს ლექსია მისი იმედი,ამან უნდა გაატანინოს...

ლეილას „რჩევით“ ბელადზე წერს ლექსს, „პარავოზია“ საჭიროო, — აბა ნახე, სხვა მწერლები როგორ იქცევიან, ჯერ ბელადზე, საბჭოთა საქართველოზე, პარტიაზე დაწერენ, მერე შიგადაშიგ კარგ ლექსებსაც შეაპარებენ... ეგრე რომ არ იქცევი, იმიტომაც არ გიბეჭდავენ, ცოტა მოხერხებაა საჭიროო...

— შენ რატომ არ იქცევი ეგრე, იმ ლექსში ერთი სიტყვაც რომ ვერ შეგაცვლევინესო? — იჭვნეულად კითხულობს, არ ეშვება ლეილა. რომელიღაც პოეტის ლექსების კრებულს აკითხებს. მართლაც, ჯერ ბელადზე დაწერილი ლექსები „მიდის“, ამას ჰქვია „პარავოზიო“, — უხსნის...მერე კი პოეტური შედევრები ჩაბმიან ერთმანეთს ვაგონებივით...

კარგა ხანს ებრძვის საკუთარ თავს... იმას, მასში საყდრის ჩიტივით რომ უსტვენს, მოფერება და პატრონობა რომ სჭირდება... ბოლოს, ბოლოს კი მაინც დაიხშობს ყურებს, რომ მისი სტვენა ცოტა ხნით დაადუმოს, ისევ მისთვის, ისევ მის გადასარჩენად...

თან ეჭვობს, ვაითუ გაბრიყვდეს.მაგრამ მიამიტია და მიმნდობი, ადვილად ეგება ლეილას ამ პატარა ხუმრობაზე, თანაც არც სიმართლისგან არის შორს. რაც არის, არის, დაწერს და რედაქციაშიც მიიტანს, ეგეც თქვენი „პარავოზიო“. ამდენი წვალება სულ წყალში ეყრება, არც ამას დაუბეჭდავენ. თან უკვირს, თანაც ბრაზდება. ისევ საშას მიაკითხავს, ის არის მისი გულშემატკივარი...

— წაიკითხე, რა დაწერეო, — ეუბნება დირბელი.

— ბელადზე დავწერეო, — პასუხობს და კითხვას იწყებს:

ის კამკამებდა ვით ცრემლის გუბე,
ალალი გულის ფიქრებით სავსე,
ის დაიღუპა, იქნებ დაღუპეს,
ნეტავი რისთვის? ნეტავი რაზე?!
ისმოდა წყევლა შეშლილ ქოშებით,
და თავგანწირვა უიღბლო ცისთვის,
ზარი გოდებდა ხანგამოშვებით:
ნეტავი რაზე? ნეტავი რისთვის?!

სიცილით კვდება დირბელი: — დაგიბეჭდეს კი არა, მადლობელი არა ხარ, რომ არ დაგიჭირესო?

ფიქრდება ისიც, გარეთ 53 წელი დგას, არეული...ამას კი რა დაუწერია,— ამხელა კაცი ლეილამ როგორ გამაბრიყვაო, — იცინის გულიანად. და ვერც კი წარმოიდგენს, როცა მისი სიკვდილის შემდეგ მისი ლექსების კრებული გამოვა, ეს ლექსიც დაიბეჭდება. ალბათ, როგორ გაიკვირვებს ლეილა, ამ ლექსს სხვა სათაურით რომ ნახავს დაბეჭდილს და სქოლიოში ამოიკითხავს, რომ ლექსი ეძღვნება ალექსანდრე გამყრელიძეს — ცნობილ მკვლევარსა და მთარგმნელს, თუმცა იქვე ჩათვლის, რომ კრებულის შემდგენლებს შეეშალათ, რადგან საშა გამყრელიძე რომ გარდაიცვალა, ნიკო სამადაშვილი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და საშას დაღუპვას ვერაფრით გამოეხმაურებოდა. თანაც 1953 წელს საიდან უნდა სცოდნოდა ნიკო სამადაშვილს, რომ 1971 წელს საშა გამყრელიძე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპებოდა?! (საშა გამყრელიძე გარდაიცვალა 1971 წელს. ნიკო სამადაშვილი გარდაიცვალა 1963 წელს).

...ეს იქნება მერე, კარგა ხნის შემდეგ ...ახლა კი ის გულიანად იცინის და პირველად იცინის არდაბეჭდილი ლექსის გამო. ბრაზი უქრება და თითქოს სევდაც აღარ ეძალება.

ლექსი გადასაგდებად მაინც ენანება, მოგვიანებით სათაურს შეუცვლის,— „სტალინის სიკვდილის“ ნაცვლად „სამიკიტნოში“-ო წააწერს, სათაურის ქვეშ კი პატარა მინაწერს გაუკეთებს: „ჩემს საშას“. სწორედ ასეთი სახით გამოქვეყნდება ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს ლექსი.

რას წარმოიდგენს, რომ ეს პატარა მინაწერი წლების შემდეგ თავსატეხს გაუჩენს საშა დირბელის შვილიშვილს— ამ ესსეს ავტორს, ვერ წარმოიდგენს, რადგან როცა ამ ლექსს წერს, თუ მინაწერს აკეთებს, ჯერ საშას შვილიშვილის დაბადებამდე კარგა შორია...

ჯერ არც ის იცის, მისი ლექსები რომ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდება, თორემ ეტყოდა ამ ესსეს ავტორს: რა თავს იტეხავ, ნეტავი შენ, ეს ლექსი რა დიდი საფიქრალიაო...ის ვერც კი წარმოიდგენს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, ის და მისი ლექსები ასეთ ინტერესს გამოიწვევენ, თითქმის ყველა, ვინც იცნობდა და არ იცნობდა, „მემუარებში“ მოიხსენიებს, მასთან ყოველ შეხვედრას გაიხსენებს, ესსეებს დაწერს, მასთან ნაცნობობას შეიფერებს და ამით თავსაც მოიწონებს...ვინც ვერ შესწვდება კი, ბოღმით იტყვის: უნიჭო იყოო. დაე, მათ სინდისზე იყოს ნიკოს ნიჭისა და სულიერი სიღრმეების ვერდანახვაც და მისი ხილვების ვერშეცნობაც. სინდისიერებას სხვას ვერ მოსთხოვ...თავად ნიკოს აუგი არავისზე დასცდებოდა და ამ ესსეს ავტორიც ვერ მისცემს თავს ამის უფლებას

ამ ესსეს ავტორს საშა გამყრელიძის ქვრივის მოგონებაცაქვს წაკითხული, თითქოს როგორ აჩუქა ნიკომ ეს ლექსი მის მეუღლეს...ის თავს უფლებას ვერ მისცემს, ამ მონათხრობში ეჭვი შეიტანოს... მიუხედავად ამისა,ისევ და ისევ ნიკოს სულის პატივისცემის გამო, ის ფაქტებს მაინც ვერ დამალავს და ჰყვება იმ ამბებს, რაც დედისაგან და პაპისგან მოუსმენია ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნიკო სამადაშვილის ლექსები დღის სინათლეს იხილავდნენ... წერს, რადგან ფიქრობს, რომ ნიკოს სათაკილო და მისაჩქმალი არაფერი სჭირდა და თავდაპირველად ვისადმიც არ უნდა იყოს ეს ლექსი მიძღვნილი, ნიკოს პიროვნებას ჩრდილს ვერანაირად მიაყენებს. თანაც თავად ნიკოს ცხოვრების ბოლომდე სულ ეხუმრებოდნენ: როგორ იყო სტალინზე ლექსი რომ დაწერე და კინაღამ დაგიჭირესო? ამაზე ნიკო გულიანად იცინოდა და არასოდეს უთაკილია. აი, საშა გამყრელიძის ქვრივის მონათხრობი: თუმცა, ეს ყველაფერი მოხდება მერე, ახლა კი მას—ავტორს, მსჯელობებისთვის არ სცალია. მეგობრები ნავთლუღში მიდიან, დირბელის ვენახში, იქ ქეიფს რა სჯობს:ხის მაგიდაზე სახელდახელოდ გაწყობილი სუფრა, ვენახის შრიალი, დირბელის ხელით დაწურული საუკეთესო ღვინო...ეს ყველაფერი სოფლის ნოსტალგიას აყუჩებს, ორივეს რომ თან სდევს მუდამ...

აქ, ამ ესსეს ავტორს ერთი სული აქვს , მომავალში გადაინაცვლოს და ყველაფერი წინასწარ თქვას, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი დღეა ნიკო სამადაშვილის ცხოვრებაში...ამ დღეს უნდა გადაწყდეს მისი ლექსების პირველი კრებულის ბედი...

მაგრამ ავტორი მაინც ამჯობინებს თავი შეიკავოს და თანდათანობით მიჰყვეს მოვლენებს, რადგან ნიკომაც ჯერ არაფერი იცის, და ვერც ვერაფრით წარმოიდგენს...

ზვიად კვარაცხელიას „ყიფლიბანდი“

(საერთო შთაბეჭდილება)

ზვიად კვარაცხელიას ახალ წიგნში წინა პლანზეა ინტელექტი და ტექნოლოგია: ცდა, ფრაზის ორიგინალურად ჩამოყალიბებისა, ხშირია ავტორისეული კომენტარებიც, ზოგჯერ ზუსტი და აუცილებელი, ზოგჯერ ზედმეტი და ბუნდოვანი. ხშირია არაპოპულარული სიტყვები, მეტაფორები და ეპითეტები, რაც ხანდახან ამძიმებს ფრაზას. ეპითეტი ყოველთვის არ აძლიერებს აზრს, არ გვაახლოვებს საგანთან.

სათაურები კრებულში შესული ნოველებისა ზოგჯერ ბუნდოვანია, ასევეა ეპიგრაფებიც. ხანდახან მიწევდა წინადადების რამდენჯერმე წაკითხვა, რომ მის აუცილებლობას მივმხვდარიყავი. ეს ასუსტებდა ემოციას.

არ გამოვრიცხავ: დაბრკოლებები, რასაც ვაწყდებოდი, ჩემი დასუსტებული აღქმის შედეგი იყოს. აღქმის უნარი ბერდება.

საერთოდ კი, წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. ბევრია აქ ორიგინალური, თვითმყოფადი პერსონაჟი, საინტერესო სიუჟეტი, კინემატოგრაფსაც რომ შეშურდებოდა. არის იშვიათი დაკვირვებები, აზრები, შეხედულებები, შთამბეჭდავია კოლხური პეიზაჟის (განსაკუთრებით ავდარში) სევდიანი განწყობილება. ფრაზებს შორის მკითხველს მეგრული ჰანგები გესმის. დროდადრო მიჩნდებოდა სურვილი, ტექსტის ზოგიერთი ადგილი მეგრული ყოფილიყო. ჩემში დღემდე ბრძოლაა ორ საწყისს შორის და ყურს რომ მოვკრავ ხატოვან მეგრულ სიტყვას, მეგრელისგან წარმოთქმულს, აზრიც რომ არ მესმოდეს, მაინც ვგრძნობ ფონეტიკით. მაგალითად: „ოჭიშ ეკოხიფილ აფუ“ – იდიომი, რომელსაც ერთ-ერთი ნოველის პერსონაჟი ამბობს.

სხვანაირად არის საქმე არაპოპულარული ქართული სიტყვის მოსმენისას. უცებ ვერ აღვიქვამ ემოციურად, ალბათ იმიტომ, რომ ის ჩემი ქვეცნობიერის საკუთრება არ ყოფილა. ასეთი ლექსიკონური სიტყვები „ყიფლიბანდშიც“ ბევრია.

და ბოლოს, მიჩვეული ვარ მონოტონურ თხრობას. ცნებაში „მონოტონური“ ვგულისხმობ არა მოსაწყენ ერთფეროვნებას (როგორც მიღებულია საზოგადოდ), არამედ სტილის მკაცრ მთლიანობასა და უბრალოებას. რის მაგალითადაც მიმაჩნია დავით კლდიაშვილის პროზა. ასევე პუშკინი, ტოლსტოი, ჩეხოვი, ეგნატე ნინოშვილი... რა ვქნა, ატონალურ მუსიკას (ფართო გაგებით) უკვე ვერ ვეგუები. სამაგიეროდ, სიყმაწვილეში მხიბლავდა. სიყმაწვილე კი კაიხანია წავიდა.

რეზო კვესელავა

მაკა ლდოკონენი:

„მოთხრობა ლაკმუსივით არის“

დასასრული

სიყვარულს, როგორც ერთმანეთის, ასევე გარშემომყოფთა მიმართ და იმ პატარა სასნაულებს, რომლებიც ყოველთვის ხდებოდა ჩვენს ოჯახში. რა თქმა უნდა, გავაგრძელებ მოთხრობების წერასაც. ზოგადად, ჩემს თავს მაინც მოთხრობების მწერლად ვხედავ, მაგრამ საბავშვო ლიტერატურაშიც მინდა მოვსინჯო თავი. არ ვიცი, რამდენად გამომივა.

— ალბათ გამოგივათ, რადგან საბავშვო ლიტერატურა ის ჟანრია, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო ის სითბო და სიყვარული, რაც ზოგადად დაიკარგა ადამიანებში, მწერლობაში, თქვენს მოთხრობებში კი ასე უხვადაა მიმობნეული.

— შეიძლება არ დაკარგულა, მაგრამ გამოხატვა გვეზარება, ზედაპირულები გავხდით. შეხვდები ადამიანს, დაელაპარაკები, მოხვალ სახლში და გული გეთანაღრება – რაც გინდოდა, ვერ უთხარი, ვერ დაიცალე. ცხოვრებამ მასწავლა, რომ სათქმელი დროზე უნდა თქვა. სხვათა შორის, ბოლო დროს ჩემს მეგობრებზეც ვაკეთებ ჩანახატებს. მინდა, ყველას თავისი წილი სათქმელი ვუთხრა, არავინ გამოვტოვო. ადამიანები ამას იმსახურებენ. სულ ვამბობ, ნებისმიერი ადამიანი ახალი მოთხრობა თუ არა, მისი პერსონაჟი მაინც არის. მთავარია, არ დაგეზაროს და დაინახო.

ესაუბრა ნანა კობაიძე

კონკურსი რადიარდ კიპლინგის შედევრის – „If“ თარგმნაზე!

გამომცემლობა „ინტელექტი“ გახმაურებული სერიის – „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანის“ – ფარგლებში აცხადებს კონკურსს რადიარდ კიპლინგის შედევრის – „If“ თარგმნაზე.
ჟიური კრებულისთვის შეარჩევს თარგმანებს, რომელთაგან სამი საუკეთესო დაჯილდოვდება ფულადი პრემიით:
I ადგილი – 300 ლარი,
II ადგილი – 200 ლარი,
III ადგილი – 100 ლარი.
გთხოვთ, გამოგზავნოთ თქვენი თარგმანი 1 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 5, ან ელ-ფოსტაზე:
ertishedevri@gmail.com

კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს:
პუბლიცისტიკა. კრიტიკა. ესეისტიკა.
ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური, კრიტიკული ან ესეისტური ნაწარმოები, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 25 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე:
konkursi2012@yahoo.com
ნაწარმოებს თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი.
ნაწარმოების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2012 წლის 5 აპრილი.
სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება მაისში.
გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი ლიტერატორისგან შემდგარი ჟიური.
გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.
I პრემია — 1000 ლარი
II პრემია — 800 ლარი
III პრემია — 600 ლარი

გიორგი ალიბეგაშვილი:

„მწერლობა დუღილის პროცესშია“

დასასრული

იმავეს ვიტყოდი ვახუშტი კოტეტიშვილზე, მაგალი თოდუაზე, ნომადი ბართაიაზე, სხვებზე — ვისაც სხვადასხვა დროს აქვს თარგმნილი ომარ ხაიამი, და ზოგადად, სპარსული პოეზია.

ქართულ ლიტერატურაში ბევრი კარგი თარგმანია. ჩვენს ქართველ ერს ნიჭიერი მთარგმნელები თუ ერთი ენიდან მეორეზე გადმომღებლები არ დაელევა, მაგრამ კვლავ ზემოთქმულს დავუბრუნდები: მთარგმნელი კარგად უნდა ფლობდეს უცხო ენას, მაგრამ, ამავდროულად, საუკეთესოდ უნდა იცოდეს მშობლიური. ინგლისურის საუკეთესო სპეციალისტები გვყავდა და გვყავს, მაგრამ შექსპირის სონეტების გადმოთარგმნა რეზო თაბუკაშვილზე უკეთ შეძლო ვინმემ? ქართული თარგმანის განვითარებაზე საუბრისას შეუძლებელია, ბაჩანა ბრეგვაძე არ ვახსენოთ, რომელიც, ძველი ათონელების დარად, ათეული წლების მანძილზე უხმაუროდ თარგმნის დიდ ლიტერატურას და ასე მიგვაახლოვებს უცხოენოვან კულტურასთან. მას საოცარი ქართულით გადმოაქვს კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და ამავე დროს არ შორდება დედანს. პროფესიონალიზმიც ესაა.

— ბატონო გიორგი, ცოტა ხნის წინ ვუსმინე ერთ-ერთ რადიოგადაცემას, სადაც ნიკო სამადაშვილზე საუბრობდით. მაშინ ვიფიქრე, რომ ჩვენი შეხვედრისას ორიოდ სიტყვას იტყოდით ამ პოეტის შემოქმედების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სამადაშვილი ბევრს უყვარს, ჩვენი რუბრიკის რესპოდენტებს იგი არასდროს უხსენებიათ.

— ნიკო სამადაშვილი ათწლეულების განმავლობაში უცნობი იყო მკითხველისათვის. სტუდენტობისას მის შესახებ ბევრი არც მე და ჩემმა მეგობრებმა ვიცოდით. ეს პოეტი თამაზ ჩხენკელმა შეგვაყვარა, აღნიშვნის ღირსია ბატონი თამაზის წვლილი სამადაშვილის პირველი კრებულის გამოცემაში. ის პირადად იცნობდა პოეტს, ძალზე სათუთად, სიყვარულით გვიყვებოდა ხოლმე მის შესახებ. იხსენებდა, როგორ მოდიოდა მასთან ნიკო, მოჰქონდა ბოთლით ღვინო, ყველის ნაჭერი და ცოტა მწვანილი, სხდებოდნენ სუფრასთან და პოეზიაზე საუბარში ათევდნენ ღამეს. ამგვარი მოგონებებით შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში ნიკო სამადაშვილი, შემდეგ კი მისი ლექსების კითხვა დავიწყეთ.

რადგან თამაზ ჩხენკელი ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ გვანცამ, მისმა ქალიშვილმა, როცა პირველკურსელები ვიყავით, გრიგოლ რობაქიძის, იმ დროისთვის აკრძალული მწერლის ფოტოსურათები დაგვირიგა. ის ბატონ თამაზს გამოეტანებინა. დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის შენი მასწავლებელი. „მასწავლებელში“ მხოლოდ მას არ ვგულისხმობ, ვინც ლექციებს გიკითხავს, ან გაკვეთილებს გიტარებს, არამედ უფრო იმ ადამიანს, ვინც თავისი საქციელით, ცხოვრების წესით გაძლევს მაგალითს, თავისი საუბრებით გიღვივებს ინტერესს... მართალია, თამაზ ჩხენკელი ჩვენი პედაგოგი არ ყოფილა, მაგრამ მან არაერთი გასაოცარი სამყარო აღმოგვაჩენინა — სხვა კუთხით გაგვაცნო ქართული ანბანი, სხვა თვალით დაგვანახა გალაკტიონი, თავის მოგონებებში გაგვიცოცხლა ნიკო სამადაშვილი და ა. შ.

დიდი ლიტერატურაც მკითხველის სულიერი სამყაროს ნაწილი ხომ იმიტომ არის, რომ საყვარელი მწერლები ჩვენი მასწავლებლები ხდებიან, ჩვენ კი — მათი შინაგანი გამოცდილების გამზიარებელნი.

— თანამედროვე ქართველ ავტორებს რაც შეეხება...

— მათზე საუბრისას ყოველთვის ძალიან ვფრთხილობ. პირადად ჩემთვის, თანამედროვე ქართული მწერლობის იდეალად, უკვე წლებია, ბატონი ნუგზარ შატაიძე რჩება. ის გოგლა ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებდა და, ამავე დროს, თავისებური, გამორჩეული ხელწერის პროზას ქმნიდა. ძალზე საინტერესო მწერლად მიმაჩნია კოტე ჯანდიერი და ალბათ არავის გაუკვირდება, იმავეს თუ ვიტყვი გიო ახვლედიანზე. საინტერესო ავტორები ახალგაზრდებს შორისაც მოიძებნებიან. თუმცა მე, როგორც უფროსი თაობის მკითხველს, მხატვრულ ტექსტებში უფრო სხვა სიღრმეების აღმოჩენა მსურს ხოლმე და მხოლოდ საინტერესო სიუჟეტის კითხვას ვერ ვჯერდები.

თანამედროვე მწერლობა დუღილის პროცესშია. მჯერა, პოსტმოდერნისტული ეპოქა თავის ჩამოყალიბებულ იერსახეს მიიღებს და ჩვენ კარგი მწერლობის წინაშე აღმოვჩნდებით.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com